

ნინო ჯერენაშვილი

საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების ეკონომიკური
პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივნისი, 2016

საავტორო უფლება © 2016 წ. ჯერენაშვილი ნინო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნინო ჯერენაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

30.06.2016

ხელმძღვანელი: პროფ. გ. ტყეშელაშვილი

რეცენზენტი: პროფ. თ. კილაძე

რეცენზენტი: პროფ. მ. ჯულაყიძე

ავტორი: ჯერენაშვილი ნინო

დასახელება: საქართველოს კვების მრეწველობის
განვითარების ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის
მიმართულებები

ფაკულტეტი : სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის
შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების
უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან
სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი
ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო
უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა
ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ
მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია
სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს
პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები.

კვების მრეწველობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. აღნიშნული მიუთითებს კვლევის მაღალ აქტუალობაზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს კვების მრეწველობის როლის და ადგილის განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკასა და მრეწველობაში.

დისერტაციის ლიტერატურული მიმოხილვის ნაწილში განხილულია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები კვების მრეწველობის განვითარების შესახებ.

ზოგიერთი ავტორის აზრით, აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში წარმოებული კვების პროდუქტების, მათ შორის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა.

ჩვენ ვიზიარებთ რიგი ეკონომისტების შეხედულებებს, აგრეთვე ვეთანხმებით მათ დასკვნებს, რომ საქართველოს კვების მრეწველობაში საბაზრო ურთიერთობათა ძირითად ორგანიზაციულ საფუძველს წარმოადგენს: პრივატიზება და საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა/საკონკურსო პირობებზე კონტროლი და საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

გამოკვლეულია საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეები და მისი შემცირების მიზეზები. საწარმოო სიმძლავრეთა ცნება დინამიკურია.

საწარმოო სიმძლავრეთა გაანგარიშებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს წარმოების მუშაობის რეჟიმს. მანქანა-მოწყობილობის მუშაობის დრო გაიანგარიშება წელიწადში სამუშაო დღეთა, დღე-ღამეში ცვლების რაოდენობისა და ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

განხილულია საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების მაკროეკონომიკური პრობლემები და მათი ანალიზი, სადაც ვასკვნით, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, რაც უმეტესწილად განპირობებულია უმუშევრობის დაბალი დონით, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობით, ფასებისა და ფინანსური სექტორის სტაბილურობით. საქართველოს კვების მრეწველობის ფუნქციონირების მიკროეკონომიკური პრობლემები განვიხილეთ კახეთის მაგალითზე.

სხვადასხვა ავტორები განიხილავენ, რომ ბრაზილია და აშშ არიან მთავარი მოთამაშეები მსოფლიოს სოფლის მეურნეობასა და სურსათის ბაზრებზე. თუ შევადარებთ საქართველოს კვების მრეწველობას აშშ და ბრაზილიას, დავინახავთ, რომ სოფლის მეურნეობის სისტემა აშშ-ში და ბრაზილიაში არის ძალიან დიდი აბსოლუტურ და ფარდობით ზღვარზე.

ორივე ქვეყანა არის სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტების ნეტო ექსპორტიორი და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი მიმღები კვების ინდუსტრიაში.

აშშ-ს კვების პროდუქტების დანადგარები მნიშვნელოვან საინვესტიციო პოზიციებს იკავებს საზღვარგარეთ. 1990 წელს ორივე ქვეყანა აქტიურად იყო ჩართული რეგიონული სავაჭრო ბლოკის ფორმირებაში.

აშშ არის ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წევრი (NAFTA), როცა ბრაზილია არის სამხრეთის საერთო ბაზრის წევრი. (MERCOSUR).

უნგრეთის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ას წელზე მეტია იწარმოება და იყიდება დაკონსერვებული კვების პროდუქტები უნგრეთში. მისი მნიშვნელობა შეინიშნება ბოლო რამდენიმე ათწლეულში საექსპორტო ბაზრებზე.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (და დღესაც) უნგრეთის საკონსერვო კვებითი მრეწველობა რამდენიმე გამოწვევის და პრობლემის წინაშე დადგა. მიმდინარე საბაზრო კონკურენციის პირობებში ყველაზე დიდი გამოწვევა არის ის, რომ შეინარჩუნოს და არ დაიკარგოს მომხმარებელთა ინტერესი აღნიშნული პროდუქტების მიმართ.

შევეცადეთ გამოგვეკვლია და გაგვეანალიზებინა, რომ სამრეწველო პროდუქციის წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მრეწველობის უზრუნველყოფა ნედლეულითა და სათბობენერგეტიკული რესურსებით. ყურადღება ექცევა მისი ხარისხის ამაღლებას და ასორტიმენტის გაფართოებას.

გამოკვლეულია საწარმოო პოტენციალი, როგორც რთული და მრავალწახნაგოვანი ეკონომიკური კატეგორია. შესწავლილია პოტენციალის თითოეული ელემენტი, რომელიც ასრულებს თავის განსაკუთრებულ, შეუცვლელ ფუნქციას, რაც გამოწვეულია მისი როლით წარმოებაში.

დადგენილია, რომ კვების მრეწველობის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მისი ეფექტიანობის განსაზღვრა მათემატიკური მოდელირებით.

მათემატიკური მოდელირებისათვის ვისარგებლეთ საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით. აღნიშნული სისტემები ამოვხსენით გაუსის მეთოდის საშუალებით.

სისტემა თავსებადია და გააჩნია ერთი ამონახსნი. აღნიშნული მოდელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შევამჩნევთ საქართველოს არასტაბილური სამეწარმეო ბიზნესს და ამ სფეროში დასაქმებული კადრების არასტაბილურობას.

მიღებული მოდელი ადასტურებს სამეწარმეო კვების მრეწველობის ძირითადი აქტივების ზრდას.

Abstract

In the dissertation are considered Georgian food industry economic problems and its solution directions.

The food industry is an important part of Georgian economic industry. The mentioned fact points at the high topicality of the research.

The aim of the study is to determine the role and place of Georgian food industry in the Georgian economic and industry.

In the literature review of the thesis are considered the opinions of various researchers concerning the content of the food industry development.

Some authors consider the notion, which the main problem in the Georgian food industry is to improve the quality of alcoholic and non-alcoholic drinks.

We share the view of a number of economists, who represent, that in the Georgian food industry the main organizational basis are: privatization and appropriate legislative support. Foreign and Georgian experts believe that Georgia has a great potential of food industry export.

In the thesis is determined production capacity of Georgia and its reducing causes. The concept of production capacity is dynamic. For calculate of production capacity essential is the regime of production capacity.

It is discussed the macro-economic problems of Georgian food industry development and their analysis, which concludes that the country's economic development is the foundation of a stable macro-economic environment, which is largely due to the low level of unemployment, an independent monetary policy, price and financial sector stability.

Different authors analyze that Brazil and the United States are key players in world agricultural and food markets. If we compare Georgian food industry to Brazil and United States, the agro-food system in both countries is very large in absolute and relative terms.

Both are net exporters of agricultural and food products and major recipients of foreign direct investments (FDI) in the food industry.

In addition, US food processors hold substantial investment positions abroad. In the 1990s, both countries were actively involved in the formation of regional trade blocs. The United States is a member of the North American free Trade Agreement (NAFTA), while Brazil is a member of the Southern Common Market (Mercosur).

If we discuss example of Hungary, Hungarian canned food industry has been manufacturing and selling its products for a hundred years. Its importance can be seen from its several decades long presence and results on export markets.

In the past few years (and nowadays too) the Hungarian canned food industry had to face several difficulties. Probably in recent market competitions the biggest challenge is to keep up consumers' interest in these products.

It looks as if canned foods have lost their attraction in this competition. The first aim of my research was to answer which products consumers consider to be canned foods. It is fundamentally necessary to carry out the research to answer this question.

In the thesis we tried to analyze and examine, that the main condition of industrial production is to ensure it by raw and energy resources. Attention is paid to increase quality and to expand the range.

In the thesis is considered food industry as agricultural products processing industry, which is an integral part of agro-industrial complex, Pre-revolution food industry, also food industry in the middle of the 19th century, in the 1985 so-called Transformation period.

In the thesis investigated the production potential, as a difficult and multi-faceted economic category. Is considered each element of potential, which performs its specific, unchangeable function, which is due to its role in the production.

It is estimated, that in food industry development one of the important direction is to determining the effectiveness by mathematical modeling.

For the mathematical modeling we used official statistical information of Georgia. These systems are solved by Gauss method.

The system is compatible and has one solution. The model suggests of unstable entrepreneurial businesses and people who works in the area of instability.

The model confirms the growth of the business in the food industry. This is achieved through the increase of investments in entrepreneurship.

შინაარსი

შესავალი	გვ.12
1. ლიტერატურის მიმოხილვა	გვ.17
2. შედეგები და მათი განსჯა	გვ.42
2.1 საქართველოს კვების მრეწველობის წარმოშობის და განვითარების ისტორიული ექსკურსი.....	გვ.42
2.2 საქართველოში კვების მრეწველობის ფუნქციონირებისათვის სანედლეულო ბაზის დახასიათება.....	გვ.62
2.3 საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეები და მისი შემცირების მიზეზების კვლევა.....	გვ.74
2.4 საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების მაკროეკონომიკური პრობლემები და მათი ანალიზი	გვ.93
2.5 საქართველოს კვების მრეწველობის ფუნქციონირების მიკროეკონომიკური პრობლემების გამოვლენა.....	გვ.106
2.6 საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების პროგნოზირება.....	გვ.132
3. ძირითადი დასკვნები.....	გვ.143
გამოყენებული ლიტერატურა	გვ.146
დანართი.....	გვ.154

ცხრილების ნუსხა

ცხრილის ნომერი	დასახელება	გვერდი
1	კვების პროდუქტების უმნიშვნელოვანესი სახეების სამრეწველო წარმოება საქართველოში 1913 წელს	გვ.43
2	კვების პროდუქტების ძირითადი სახეების სამრეწველო წარმოება 1928-1940 წლებში	გვ.54
3	კვების პროდუქტების წარმოება 1990-2002 წლებში	გვ.58
4	ძირითადი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 1940-1981 წლებში (ყველა კატეგორიის მეურნეობაში)	გვ.71
5	საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა კვების მრეწველობაში (%)	გვ.82
6	გემოკვების მრეწველობაში ნორმირებულ და არანორმირებულ საბრუნავ საშუალებათა თანაფარდობა (%)	გვ.84
7	კვების მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2006-2013 წლებში (ლარი)	გვ. 104
8	ინფლაცია 2014-2015 წლებში	გვ.117
9	ხორბლის წარმოება რეგიონების მიხედვით ათ ტონა	გვ. 118
10	ხორბლის წარმოება რეგიონების მიხედვით ათ ტონა	გვ.120
11	საქართველოს კვების მრეწველობის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები	გვ.139

ნახაზების ნუსხა

ნახაზის ნომერი	დასახელება	გვერდი
1	მრეწველობის გამოშვების მოცულობა მლნ.ლარი (2014)	გვ.102
2	მრეწველობის გამოშვების მოცულობა მლნ.ლარი (2013)	გვ.102
3	დასაქმებულთა რაოდენობა ათასი კაცი შრომის ანაზღაურება ლარი	გვ.103
4	დამამუშავებელი მრეწველობა 2014 წლის 1-4 კვარტალი	გვ.105

მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწიეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის დეკანმა, პროფესორმა ოთარ გელაშვილმა, სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარემ, პროფესორმა ჯუმბერ იოსებიძემ, მეცნიერ-ხელმძღვანელმა, პროფესორმა გოდერძი ტყეშელაშვილმა, რომელთა განსაკუთრებული დახმარებითა და რჩევით შესაძლებელი გახდა დისერტაციის შესრულება, რისთვისაც მათ მიმართ დიდ მადლიერებას გამოვხატავ.

განსაკუთრებულად მინდა მადლობა მოვახსენო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ გოდერძი ტყეშელაშვილს რჩევებისათვის და იმისათვის, რომ მისი მონდომებითა და ხელმძღვანელობით ვეზიარე მეცნიერული აზროვნების ხელოვნებას.

მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ.

ასევე მადლობა ჩემს ოჯახს გვერდში დგომისათვის, თანაგრძნობისათვის. ასევე მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში დახმარება გამიწია რჩევით თუ მორალურად.

შესავალი

სამუშაოს აქტუალურობა: საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი ხანგრძლივია და მისი ფუნქციონირება ბიზნესის და მეწარმეობის განვითარებაზე დამოკიდებული.

დღესდღეობით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსახლეობის ძირითადი სასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილებას ენიჭება. აღნიშნულ სფეროში წარმოებასა და მოხმარებას შორის კავშირის აღდგენისათვის კვების მრეწველობის ეფექტიანობის განსაზღვრაა საჭირო.

კვების მრეწველობა ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს, რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია. მასში გაერთიანებულია დაახლოებით 30-ზე მეტი სპეციალიზებული დარგი.

კვების მრეწველობის განვითარებაზე დამოკიდებულია ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა შორის განსხვავების დაძლევა, ადამიანთა შრომითი საქმიანობის აქტიურობის ასამაღლებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა და სხვ.

რევოლუციამდელი პერიოდის კვების მრეწველობის საწარმოები ხასიათდებოდა ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დაბალი დონით. წარმოების არასაკმარისი მექანიზაცია და მასთან დაკავშირებული კვების მრეწველობის მუშათა შრომის დაბალი ნაყოფიერება, ნაკლებად აწუხებდათ მეწარმეებს, რადგან შრომის ორგანიზაციის ყველა ნაკლს ისინი ფარავდნენ მშრომელთა გაძლიერებული ექსპლოატაციით - ახანგრძლივებდნენ სამუშაო დღეს, აწესებდნენ დაბალ ხელფასს და ა.შ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იწყება კვების მრეწველობის გეგმაზომიერი აღორძინება და კომპლექსური განვითარება. თუმცა, საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე შეუდგა საქართველოში მისი ძირითადი დარგების აღდგენას.

მსხვილი კვების მრეწველობის განვითარებისათვის არ შეიძლება და შექმნილიყო პირობები.

აღდგენითი პერიოდის მანძილზე, ქვეყანას არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყო საკმარისი სახსრები კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზის შექმნისა და გაუმჯობესებისათვის.

კვების მრეწველობის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

კვების მრეწველობის საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ორგანიზაციაზე. სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვების მრეწველობას, რომელიც ნედლეულს უშუალოდ სოფლის მეურნეობიდან ან შესაბამისი დამამზადებელი პუნქტებიდან იღებს, გადაამუშავებს მას სასურსათო პროდუქტებად და აღნიშნული პროდუქტებით მოსახლეობას ამარაგებს.

თემის აქტუალურობას განსაზღვრავს ის, რომ საქართველოს კვების მრეწველობა წარმოადგენს ქვეყნის სახალხო მეურნეობის და მათ შორის, მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს და მას მიეკუთვნება წამყვანი ადგილი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და საბიუჯეტო შემოსავლების გადიდების საქმეში.

კვების მრეწველობის ეკონომიკა შეისწავლის საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების კონკრეტულ გამოვლინებას კვების მრეწველობაში.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, რაც უმეტესწილად განპირობებულია უმუშევრობის დაბალი დონით, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებულებით, ფასებისა და ფინანსური სექტორის სტაბილურობით.

თემის აქტუალურობა კიდევ უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კვების მრეწველობაში დიდი ყურადღება ეთმობა დარგის საწარმოო პოტენციალის განსაზღვრას, მის მიკრო და მაკროეკონომიკურ გარემოს. საწარმოო პოტენციალის გამოყენებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეესაბამება ნედლეული რესურსებისა და მათი გადამამუშავებელი საწარმოების შესაძლებლობები ერთმანეთს. საწარმოო პოტენციალის მაჩვენებელთა სისტემა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს დარგის განვითარების არასასურველი ტენდენციები და ეკონომიკური სიტუაციის სასურველი მიმართულებით შესაცვლელად მიღებულ იქნას ოპერატიული ზომები.

საქართველოში კვების მრეწველობის განვითარება და მისი გადაჭრის მიმართულებები დღემდე არ გამხდარა ფართოდ შესწავლის საგანი, შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა აღნიშნულითაც დასტურდება.

სამუშაოს მიზანია საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებების განსაზღვრა.

ძირითადი ამოცანები:

- ✓ საქართველოს კვების მრეწველობის წარმოშობის და განვითარების ისტორიული ექსკურსი;
- ✓ საქართველოში კვების მრეწველობის ფუნქციონირებისათვის სახელეულო ბაზის დახასიათება;
- ✓ საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეები და მისი შემცირების მიზეზების კვლევა;
- ✓ საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების პროგნოზირება;

კვლევის საგანია საქართველოს კვების მრეწველობა და მისი შემადგენელი ცალკეული საწარმოები და ფირმები.

მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- ✓ პირველადაა გამოკვლეული საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში კვების მრეწველობის პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები;
- ✓ კრიტიკულად არის გააზრებული საქართველოში კვების მრეწველობის არსებული მდგომარეობა და მასზე მოქმედი ფაქტორები;
- ✓ დადგენილია, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სჭირდება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კვების მრეწველობის განვითარება. სამრეწველო საწარმოში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების მანქანა-მოწყობილობის რაციონალურ დატვირთვას და პროდუქციის წარმოების მოცულობის სისტემატურ გადიდებას;
- ✓ დამუშავებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც ადასტურებს სამეწარმეო კვების მრეწველობის ძირითადი აქტივების ზრდის და შრომის საშუალებების განახლების აუცილებლობას, ეს კი მიღწევადია მეწარმეობაში ინვესტიციების ზრდის საშუალებით. მათი მოზიდვა შესაძლებელია ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებით, მაკროეკონომიკური სტაბილურობით, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებით, გადასახადების ლიბერალიზაციით და დიფერენცირებით, საფინანსო-საკრედიტო სისტემის მოწესრიგებით.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

მიღებული თეორიული დასკვნებისა და წინადადებების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში კვების მრეწველობის განვითარებას.

მათი გამოყენება ასევე შესაძლებელია, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესში, ასევე სამთავრობო სტრუქტურების და სატრანსპორტო ფირმების მენეჯმენტის სრულყოფისათვის.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სისტემური მიდგომა. კვების მრეწველობა განიხილება, როგორც ღია სისტემა, რომელზეც მოქმედებს შიგა და გარე ფაქტორები კომპლექსურად და დინამიკაში.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია დიალექტიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს: ვაღიაროთ მოვლენათა განუწყვეტელი მოძრაობა და განვითარება, სუბიექტისაგან (მკვლევარი) ობიექტის (დარგი) დამოუკიდებლობა; ობიექტზე სუბიექტის მოქმედების გავლენა. კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის და სინთეზის მეთოდები. მასთან კავშირში კი სტატისტიკური მასალები და ორგანიზაციათა კვლევის შედეგები თუ გამოკვლევები.

ნაშრომი დაფუძნებულია ეკონომიკისა და მენეჯმენტის ზოგად თეორიებზე, მის გარე და შიგა ფაქტორების შესწავლაზე და გამოვლენის ხერხებზე, თავს უყრის ეკონომიკური ზრდის შესახებ კვლევების, თეორიების, ეკონომიკური ციკლების და მათი გაზომვის, ანალიზის და განზოგადების საშუალებებს.

ჩვენ უფრო სიღრმისეულად განვიხილეთ საქართველოს კვების მრეწველობის პრობლემები. ცალკეული საკითხების დამუშავებისას გამოყენებული იქნა ეკონომიკურ მოვლენათა და მაჩვენებლთა ანალიზისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა. დისერტაცია მოიცავს 140 გვერდს, შედგება შესავალის, ექვსი თავის, 11 ცხრილის, ძირითადი დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის და დანართისაგან.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

კვების ინდუსტრია მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მოსახლეობის საარსებო, ყოველდღიური მოთხოვნები კვების პროდუქტებზე და შექმნას სასურსათო საქონლის რეზერვები, რომელიც უზრუნველყოფს ამ აუცილებელი პროდუქციით მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას.

საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთს კვების მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაცია და განვითარება (ღვინო და ღვინოპროდუქტები, ჩაი, სასმელი და მინერალური წყლები, ხილისა და ბოსტნეული კონსერვები, ეთერზეთები) წარმოადგენს.

კვების მრეწველობის განვითარებაზე მრავალი მეცნიერ-ეკონომისტი მუშაობს როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოშიც და შესაბამისად, მრავალი ნაშრომია შექმნილი ისეთი მეცნიერების მიერ, როგორებიც არიან ქართველებიდან: ლ. ბერიძე, ა. ბრეგვაძე, მ. ვანიძე, ა. კალანდია, ა. ნიჟარაძე და სხვ., ხოლო უცხოელებიდან: პოკრაშინსკაი ნ.ვ, აგოსტონი. ტ, ვილკინსონ. ჯ, ოჯინაკა მ.ს. და სხვ.,

საქართველოსათვის სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა ჩატარდა უმეტესად კვების ინდუსტრიის იმ სექტორისათვის, რომლებიც მასალად მცენარეულ ნედლეულს იყენებენ. მათი ხვედრითი წილი უდიდესია ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოებაში. ბუნებრივია, რომ დიდი ადგილი ეთმობა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოების და მისი ხარისხის გაუმჯობესების პრობლემებს, პურისა და პურპროდუქტების, საკონსერვო და ა.შ. წარმოების ეკონომიკური პრობლემების შესწავლას მეცნიერულ საფუძვლებზე და სხვ. მათ გააჩნიათ ზოგადი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა. მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

კვების მრეწველობაში ობიექტურად მომწიფდა ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების სასაქონლო ბაზრის შექმნის აუცილებლობა, განსაკუთრებით ყოველდღიური მოხმარების პროდუქტთა სახით; ესენია: პურ-პროდუქტები, მაკარონი და საკონდიტრო ნაწარმი, ცხიმოვანი პასტები (კრემები), ბალზამები, ნექტარები, სასმელები, საწებლები და სხვ.

ხუციძე ცირა სადოქტორო დისერტაციაში, რომლის სახელწოდებაა (სუბტროპიკულ კულტურათა ნაყოფებისა და არატრადიციული მცენარეული ნედლეულის გამოყენებით ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების ტექნოლოგიის შემუშავება) მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი - ერის ჯანმრთელობაა[1].

ავტორის კვლევის მიზანია გამოიკვიოს და შეიმუშავოს ფუნქციონალური და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების კვების პროდუქტების ტექნოლოგიების სხვადასხვა სუბტროპიკულ კულტურათა ნაყოფები, ასევე არატრადიციული მცენარეული ნედლეულის კომპლექსური გამოყენების ბაზები.

გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ფუნქციონალური კვების პროდუქტების წარმოებისათვის მაღალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყაროს წარმოადგენს სუბტროპიკულ კულტურათა ნაყოფები: ლეღვი, თუთა, ბროწეული, კივი, არატრადიციული - ფუტკრის ფქვილი, ჯიჯლაყა (ამარანტი) და სხვა.

ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ ბიოაქტიური ნაერთების მაღალი შემცველობით ხასიათდებიან სუბტროპიკულ მცენარეთა ნაყოფები: ლეღვი, თუთა, ბროწეული, კივი. მათი კომპლექსური გადამუშავებით მიიღება ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტები - ფიტოსიროფები, უალკოჰოლო სასმელები, საწებლები, სადესერტო ტკბილი კერძები და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია არატრადიციული მარცვლოვანი კულტურის ჯიჯლაყას (*Amaranthus*) ქიმიური შედგენლობა,

მიკროსტრუქტურა, პურცხოვის, ტექნოლოგიური, ფუნქციონალური თვისებები და ფიზიოლოგიური მოქმედება. დადგენლია ამ კულტურის უპირატესობა სხვადასხვა პარამეტრებით ხორბლის I ხარისხის ფქვილთან შედარებით და ნაჩვენებია, რომ ის წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული პურის წარმოებაში.

ყმუშავებულია პურის მომზადების ტექნოლოგია ამარანტის ფქვილისაგან მომზადებული ნახარშის გამოყენებით, დადგენლია ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური პარამეტრები.

განსაზღვრულია ახალი ასორტიმენტის პროდუქტების კვებითი ღირებულება.

შეცნიერულად დასაბუთებული და ექსპერიმენტალურად დადასტურებულია ფუნქციონალური პროდუქტების ახალი ასორტიმენტის კომპონენტური შემადგენლობა. ყმუშავებულია რეცეპტურები და მათი მომზადების ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მაღალ ხარისხს და უსაფრთხოებას.

ბეგიაშვილი ნანა სადოქტორო დისერტაციაში (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გაუმჯობესების მეცნიერულ საფუძვლები) აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში, საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში განვითარებულმა მოვლენებმა, სხვა დარგებთან ერთად ქვეყნის აგროსამრეწველო და სასურსათო სექტორსაც უდიდესი ზიანი მიაყენა. შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა[2].

განისაზღვრა კომპლექსის შემდგომი ფუნქციონირების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება, კვების მრეწველობის რეაბილიტაცია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავება, დარგში დასაქმებულთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

ავტორს მიაჩნია, რომ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში წარმოებული კვების პროდუქტების, მათ შორის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი და ასევე უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გაუმჯობესება მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

დისერტაციაში შესწავლილია საქართველოში გავრცელებული ხილ-კენკროვანთა წვენებისა და ღვინომასალების ქიმიური შედგენილობების ზღვრული მნიშვნელობები და დადგენილია მათი ნატურალობის მაჩვენებელი ფიზიკო-ქიმიური კრიტერიუმები.

გამოკვლეულია საქართველოში გავრცელებული ყურძნის სამრეწველო ჯიშებში ტოქსიკური ელემენტების დაგროვების მიზეზები_ყურძნის გადამუშავების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების _ ყურძნის წვენების, მისტელებისა და ღვინომასალების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება.

საქართველოში გავრცელებული ყურძნის წითელი ჯიშების _ საფერავისა და კაბერნეს გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფა მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მათგან ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისათვის საჭირო ნატურალური არომატიზატორების მიღების მიზნით.

საქართველოში გავრცელებული ხილ-კენკროვანთა წვენებისა და ღვინომასალების ქიმიური შედგენილობის ზღვრული მაჩვენებლების გამოკვლევა, მათი ნატურალობის მაჩვენებელი ფიზიკო-ქიმიური კრიტერიუმების დადგენის მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომში დასმული და გადაჭრილია საქართველოს კვების მრეწველობისათვის აქტუალური საკითხი _ ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის გამოყენებით ალკოჰოლიანი და

უალკოჰოლო საკვები კვების პროდუქტებისა და დანამატების წარმოების მეცნიერული საფუძვლები.

საქართველოში არსებული მცენარეული ნედლეულის რესურსების მრავალწლიანი ქიმიკო-ტექნოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე ნედლეულის მიღების, გადამუშავებისა და მზა პროდუქციის შენახვის სტადიებზე, ავტორი აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

პირველად იქნა შესწავლილი ჰერბიციდების, პესტიციდებისა და მინერალური სასუქების გამოყენების გავლენა ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ხარისხზე; დადგენილია გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ყურძნის ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებაზე; გამოკვლეულია სხვადასხვა ექსტრაგენტების გამოყენების ეფექტურობა ტოქსიკური ელემენტების შემცველობის შემცირებაზე ყურძნის გადამუშავების პროდუქტებში. კვლევის მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულია ბავშვთა კვებისათვის გამიზნული ეკოლოგიურად სუფთა ყურძნის ნატურალური წვენის წარმოების ტექნოლოგია.

გამოკვლეულია საფერავისა და კაბერნეს ჯიშის ყურძნების ღურდოს ფერმენტული პრეპარატით დამუშავებისა და თბური დამუშავების გავლენა მზა პროდუქციის ხარისხზე.

პირველად იქნა გამოკვლეული “საფერავი”-ს ღვინომასალის შენახვის გავლენა მცირე მოცულობის კასრებსა და დიდი ტევადობის ტარაში (ბუტები, ცისტერნები) ღვინის ხარისხზე.

დადგენილია, რომ ორწლიანი დაძველების შემდეგ ბუტებში ღვინო ასწრებს დამწიფებას ჟანგბადის პორციული მიწოდების პირობებში. პორციული მიწოდებისას ემალირებულ ცისტერნებში დავარგებული წითელი ღვინოების ცხლად ჩამოსხმა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ღვინის ფერსა და გემოს, ზრდის მის სტაბილურობას შენახვის პირველად იქნა გამოკვლეული ტარხუნის ნატურალური არომატიზატორის წყლის ორთქლით გამოხდის პროცესის მექანიზმი, შედგენილია

მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა უშუალოდ ნედლეულის გამოხდის პროცესში მივიღოთ ესტრაგოლით გამდიდრებული ეთეროვანი ზეთის ფრაქცია.

ყესწავლილია საქართველოში გავრცელებული ხილ-კენკროვანთა ნედლეულისაგან მიღებული წვენების ფიზიკო-ქიმიური თვისებები მათი ნატურალობის მაჩვენებელი კრიტერიუმების შემუშავების მიზნით.

ნატურალური წვენების (ვაშლის, კომშის, ტყემლის, ქლიავის, ალუბლის, მარწყვის, შინდის, მოცვის) ფალსიფიკაციის დასადგენად აუცილებელია შემდეგი მაჩვენებლების განსაზღვრა: არაშაქრული ნივთიერებების შემცველობა, საერთო ფენოლების შეცველობა, კატექინებისა და ლეიკოანტოციანების შემცველობა, ორგანული მჟავების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, ხვედრითი ელექტროგამტარებლობა, ბუფერული ტევადობა, ნაცრის შემცველობა.

გამოკვლეულია აღნიშნული მაჩვენებლების ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები ნატურალურ პროდუქტებში.

ერქომაიშვილი გულნაზი მონოგრაფიაში - (მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში) ყურადღებას ამახვილებს საბაზრო ეკონომიკაზე. მისი, როგორც ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებაზეა დამოკიდებული. ბიზნესის მთავარი სფერო - წარმოებაა[3].

საქართველოში ბიზნესის ცივილიზებული ფორმები თანდათანობით ვითარდება, კერძოდ - მრეწველობაში, სადაც დიდი ყურადღება მოსახლეობის ძირითადი სასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილებას ეთმობა.

ავტორი განიხილავს მეწარმეობისა და ბიზნესის ორგანიზაციის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, მათი ფორმირების თავისებურებებს საქართველოში, ასევე მეწარმეობის წარმოშობისა და განვითარების პერიოდიზაციასა და ეტაპებს.

ავტორი ხაზს უსვამს მეწარმეობის ფორმირების საფუძვლებს და განვითარების თავისებურებებს საქართველოს კვების მრეწველობაში, განიხილავს კვების მრეწველობის საწარმოთა სტრუქტურის განვითარების მექანიზმებს, იკვლევს კვების პროდუქტების სამომხმარებლო ბაზარს და ეკონომიკურ შეფასებას, კვების მრეწველობის საექსპორტო-საიმპორტო პოტენციალის ანალიზს.

ავტორი ასკვნის, რომ საქართველოს კვების მრეწველობაში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ობიექტურ აუცილებლობას ბაზრის შექმნა წარმოადგენს.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს საბაზრო ურთიერთობათა ეროვნული მოდელი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ტრადიციული მრავალსაუკუნოვანი მეურნეობრიობისა და თანამედროვე მსოფლიო გამოცდილების სინთეზს. აღნიშნული სინთეზის მთავარი ორიენტირი ადამიანი უნდა იყოს.

კვების მრეწველობაში მეწარმეობის, ბიზნესის განვითარების მიზანია საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მოგების მიღება.

საქართველოს კვების მრეწველობაში საბაზრო ურთიერთობათა ძირითად ორგანიზაციულ საფუძველს წარმოადგენს:

1. პრივატიზება;
2. კვების მრეწველობის დარგებში ერთობლივი საწარმოებისა და უცხოური ფირმებისათვის თანაბარი პირობების შექმნა;
3. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა და საკონკურსო პირობებზე კონტროლი;
4. საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

კვების მრეწველობის განვითარებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია მისი ადექვატური ორგანიზაციულ-სამართლებრივი

ფორმების შერჩევა და ურთიერთშეხამება, სადაც რეალურად მოხდება თანამშრომლობის ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების შერწყმა.

კვების მრეწველობაში მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუციელებელია შეიქმნას სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რათა პრაქტიკაში დაინერგოს საკუთრების ყველა ფორმის სამართლებრივი მექანიზმი.

უცხოელთა მიერ ადგილობრივ წარმოებაში ჩართვის ყველაზე პოპულარულ ფორმას ერთობლივი საწარმო წარმოადგენს.

კვების მრეწველობაში ერთობლივი საწარმოები აქვთ გერმანელ, ფრანგ, ამერიკელ, ჰოლანდიელ და თურქ ინვესტორებს.

კერძოდ, ამერიკელთა პარტნიორობით ღვინის მრეწველობაში შექმნილია ერთობლივი საწარმოები, რომელმაც ჩამოსახმელი საშუალებები შემოიტანა საქართველოში (საგარეჯო), ასევე „რიარდ გრუპი“ (ფრანგული) დანიური ფილიალით, რომელსაც დიდი რაოდენობით ღვინო და კონიაკი გააქვს როტერდამში ჩამოსახმელად და შემდეგ ყიდის რუსეთში.

მეჩაიბოასა და ჩაის მრეწველობაში ჩართულია სამი უცხოური კომპანია: გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერი“, სინგაპურის კომპანია „აჯიო“ და თურქული კომპანია, რომლებიც აფინანსებენ ჩაის მრეწველობას და შედარებით მცირე მასშტაბით მეჩაიეობას.

ავტორის აზრით, საქართველომ კურსი უნდა აიღოს ძირითადად დსთ-ს ქვეყნების ბაზრების დასაბრუნებლად, რამდენადაც დღევანდელ პირობებში რთულია ქართული ჩაის მსოფლიო ბაზარზე დიდი რაოდენობით გატანა. მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ მოხდება დარგის შესატყვისი რესტრუქტურირება.

ავტორი ასკვნის, რომ უცხოელი ექსპერტებისა და ქართველი სპეციალისტების აზრით, საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება, რომელსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. მან თავისი

ეკონომიკური პოლიტიკა საქსპორტო პროდუქციის წარმოების სტრატეგიაზე უნდა ააგოს.

ფრანჩაიზინგის სისტემის გამოყენება ხელსაყრელი იქნება ჩაის და საკონსერვო მრეწველობაში. საქართველოს კვების მრეწველობაში ფრანჩაიზინგი შეიძლება განვითარდეს შემდეგი ფორმით: საზღვარგარეთული ფრანჩაიზერი - საქართველო ფრანჩაიზი, ხოლო შემდეგ როდესაც მსხვილი ფირმები აღმოცენდება, ისინი თავის თავზე იღებენ ფრანჩაიზერის როლს და აღნიშნული სისტემა შეიძლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდეს, როგორც საწარმოო, ისე სავაჭრო და მომსახურების სფეროში.

ავტორის აზრით, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კვების მრეწველობაში მარკეტინგული სამსახურების სრულყოფასა და განვითარებას, რაც გულისხმობს სამომხმარებლო ბაზრებში კვების პროდუქტების მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრას, ბაზრის ტენდენციების შესწავლას, მომხმარებელთა მოთხოვნის კვლევას.

კვების პროდუქტების რეალიზაცია უნდა წარიმართოს მხოლოდ სერტიფიცირებისა და ლიცენზიების საფუძველზე და აქცენტი აღებული უნდა იქნეს საბაზრო ქსელის ადგილობრივი წამროების კვების პროდუქტებით გაჯერებაზე.

ზედგენიბე ირაკლი წიგნში - (შესავალი სპეციალობაში) დეტალურად იკვლევს საკვები პროდუქტების ქიმიურ შემადგენლობას, მათ ფიზიკურ თვისებებს, აღნიშნული პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის მეთოდებს და საშუალებებს, კვების მრეწველობის პროდუქციის ექსპერტიზის და სერტიფიკაციის საფუძველებს[4].

მოლაშხია ირმა დისერტაციაში - (საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოო პოტენციალი) განიხილავს უკანასკნელ წლებში საქართველოს კვების პროდუქციის წარმოებაში მიმდინარე პროცესების დინამიკისა და სტრუქტურის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ ძირითადი დასკვნები საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების შესახებ ახალ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, დავსახოთ გზები დარგის შემდგომი განვითარებისათვის ადგილობრივი პოტენციალისა და საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

კვებისა მრეწველობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

კვების მრეწველობის განვითარების პროგრამის შემუშავებისას წამყვანი ადგილი ენიჭება დარგის საწარმოო პოტენციალის განსაზღვრას. სწორედ, საწარმოო პოტენციალის გამოყენებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეესაბამება ნედლეული რესურსებისა და მათი გადამამუშავებელი საწარმოების შესაძლებლობები ერთმანეთს. მისი მაჩვენებელთა სისტემა საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს დარგის განვითარების არასასურველი ტენდენციები და ეკონომიკური სიტუაციის სასურველი მიმართულებით შესაცვლელად მიღებულ იქნას ოპერატიული ზომები.

დღეისათვის, სამამულო კვების მანქანათმშენებლობის განვითარების არასაკმარისი დონე იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე განახლდეს დარგის საწარმოო აპარატი აუცილებელი მასშტაბებით. ეკონომიკური დაცემა წარმოების ნგრევას, უსახსრობა კი დარგის განვითარებისათვის მთავარი პრობლემაა [5].

ავტორის კვლევის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ დამუშავდეს და წარმოებას მიეცეს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები აღნიშნულ პრობლემათა წარმატებით გადაწყვეტისათვის.

კვების მრეწველობის ჩქარი ტემპებით განვითარება წინ წაწევს ქვეყნის სურსათით მომარაგების საქმეს, ხოლო საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე ზრუნვა აუცილებელია, რადგან საქართველომ გარკვეული

ადგილი დაიკავოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებით საერთაშორისო ბაზარზე.

პრობლემის აქტუალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ ის მიძღვნილია კვების მრეწველობის სპეციალიზებული დარგების დიდი, საშუალო და მცირე საწარმოების საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისათვის საჭირო რეზერვების გამოვლენისადმი.

კვლევის მიზანია, საქართველოს კვების მრეწველობის ცალკეული დარგების დიდი, საშუალო და მცირე საწარმოების არსებული და პერსპექტივაში შესაძლებელი საწარმოო პოტენციალის კომპლექსურად შესწავლა.

დისერტაციის კვლევის საგანია კვების მრეწველობის საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება და დარგის შემდგომში განვითარების პერსპექტივები.

ავტორი ასკვნის საქართველოში კვების მრეწველობის სპეციალიზებული დარგების მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების ფუნქციონირების ანალიზს, ამუშავებს მათი შემდგომში განვითარების კონცეფციებს საბაზრო ურთიერთობების პირობებში.

სადისერტაციო ნაშრომში განსაზღვრულია კვების მრეწველობისა და მისი ცალკეული დარგების საწარმოო რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა და გამოვლენილია მათი მწარმოებლურად გამოყენების შესაძლებლობები.

დადგენილია ამ რესურსების გავლენის ხარისხი მთელ საწარმოო პოტენციალზე. გაანგარიშებულია კვების მრეწველობის მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების სპ გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი.

კვების მრეწველობისა და მისი სპეციალიზებული დარგების მიერ გამოშვებული პროდუქტის მოცულობის ნეგატიური და ღირებულებითი მაჩვენებლების მიხედვით გაანგარიშებულია ძირითადი კვების პროდუქტების ფაქტიური მოხმარება საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში.

ავტორი იკვლევს საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საქართველოში კვების მრეწველობის განვითარების წინამძღვრებს და ადგენს, რომ:

1. საქართველოს კვების მრეწველობის სპეციალიზებული დარგების დიდი, საშუალო და მცირე საწარმოების ფორმირების ანალიზი და მათი შემდგომი განვითარების მიმართულების დამუშავება;
2. საბაზრო ეკონომიკურ პირობებში კვების მრეწველობის და მისი ცალკეული დარგების საწარმოო პოტენციალის ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება;
3. კვლევის ობიექტებში ძირითადი საწარმოო ფონდების, შრომის და სანედლეულო რესურსების გამოყენების, როგორც საწარმოო პოტენციალის შემადგენელი ნაწილები, ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი და შეფასებები;
4. იმ ფაქტორებისა და პირობების, ზონალური თავისებურებების ანალიზი, რომლებიც განაპირობებენ კვების მრეწველობის განვითარების ზონაში საკვლევი ობიექტის ფუნქციონირებას;
5. კვების მრეწველობის საკვლევი დარგების დიდი, საშუალო და მცირე საწარმოების საწარმოო პოტენციალის განსაზღვრა და მისი შემდგომი განმტკიცებისათვის საჭირო წინადადებათა და რეკომენდაციათა დამუშავება.

ავტორის აზრით, კვების მრეწველობის განვითარებისათვის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებაა აუცილებელი, როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე რეგიონულ დონეზე. კვების მრეწველობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლაზე შემუშავებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ორი დარგის - სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგის - კვების მრეწველობის ინტერგრაციას საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ვადაჭკორია ვ.ი. ნაშრომში - (საქართველოს კვების მრეწველობა მერვე ხუთწლედში) განიხილავს იმ წარმატებებს, რომლებიც მოიპოვეს

ჩაისა და ღვინის, პურისცხობისა და საკონდიტრო, მინერალური წყლებისა და ლუდ-ლიმონათის, ეთერზეთების, თამბაქოს და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სხვა დარგების კოლექტივებმა მერვე ხუთწლედში[6].

ქელბაქიანი. ი მონოგრაფიაში - (შესავალი სპეციალობაში) ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: კვების მრეწველობის ძირითად დარგები, კერძოდ ჩაის, ღვინის პურ-პროდუქტებისა და მაკარონის, ლუდის, უალკოჰოლო გაზიანი სასმელების, ლიქიორ-არყის, საკონდიტრო, საკონსერვო, ხორცისა და რძის წარმოების მიმოხილვაზე[7].

ავტორი იკვლევს კვების მრეწველობაში გამოყენებულ მანქანებსა და აპარატებს, ისეთი ტექნოლოგიური პროცესების ჩასატარებლად გამოყენებული ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე, როგორცაა მექანიკური, ჰიდრავლიკური, თბური და მასათა ცვლის პროცესები.

კრებული (საქართველოს კვების მრეწველობა 60 წლის მანძილზე) კოლექტიური ნაშრომია, სადაც თავმოყრილია ცნობილი მეცნიერების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, წარმოების ხელმძღვანელებისა და ორგანიზატორების წერილები: ნ. სანთელაძის, ა. ნიჟარაძის, ვ. დანელიას, კ. გულიას, მ. ზაუტაშვილის, ა. ქურდაძის, დ. დოლიძის და სხვათა სტატიები[8].

„კვების პროდუქტების წარმოება, - წერდა ვ. მარქსი - უშუალო მწარმოებელთა და საერთოდ, ყოველგვარი წარმოების სიცოცხლის უპირველესი პირობაა.“

მე-19 საუკუნის შუა წლებში, ტრადიციული კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში იქმნებოდა მომავალი კვების მრეწველობის პირველ სახედ.

1913 წელს საქართველოში კვების მრეწველობის ცხრა ათასამდე პატარა საწარმო ითვლებოდა, რომლებშიც დასაქმებული იყო დაახლოებით 27-28 ათასამდე კაცი, თუმცა სტატისტიკის აღნიშნული მონაცემები ვერ გადმოგვცემს იმდროინდელი მდგომარეობის სინამდვილეს. მხოლოდ

ცნობილია, რომ ყველა საწარმოში სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ გლეხის იაფფასიან შრომას.

კრებულში მეცნიერები ხაზს უსვამენ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას - საქართველოს მაღალმთიან რაიონებში საწარმოების შექმნისა და იქ არსებული მდიდარი სანედლეულო რესურსების სამეურნეო ზრუნვაში მოქცევის პრობლემა.

კვების მრეწველობის ჩამოყალიბებას მომდევნო წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ მნიშვნელოვან მომენტს: სამეცნიერო ბაზის ქსელის განვითარებას და მანქანათსაშენებელი სამირკვლის შექმნას.

ავტორები ასკვნიან, რომ საქართველოს ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები კვების მრეწველობისათვის ქმნიან აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის - ჩაის, ყურძნის, თამბაქოს, ხილის, ციტრუსების, ეთერზეთოვანი მცენარეების და სხვ. კულტურების უხვად წარმოების უზარმაზარ შესაძლებლობებს.

გიორგობიანი ოთარ მონოგრაფიაში (კვების მრეწველობის ეკონომიკა) საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობის გათვალისწინებით განიხილავს საქართველოს კვების მრეწველობის ეკონომიკის ძირითად საკითხებს[9].

ნაშრომის მიზანია გაანალიზდეს კვების მრეწველობის არსი და მნიშვნელობა, დაახასიათოს მისი თავისებურებები, დაასაბუთოს მისი განვითარების ობიექტური აუცილებლობა, წარმოაჩინოს ეკონომიკის ძირითადი საკითხები საბაზრო ეკონომიკის გათვალისწინებით.

კვების მრეწველობის ეკონომიკა მოწოდებულია გამოიკვლიოს სამრეწველო საწარმოთა, გაერთიანებათა და მთლიანად დარგის ფუნქციონირების ყველაზე აქტუალური პრობლემები.

ავტორის აზრით, კვების მრეწველობის აქტუალურ პრობლემებს მიეკუთვნება:

1. კვების მრეწველობის და მისი დარგების განვითარების ოპტიმალური ტემპების განსაზღვრა;
2. სამრეწველო საწარმოთა ჩამოყალიბებული სტრუქტურის შესწავლა;
3. მრეწველობის მართვის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესება;
4. საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების სისტემის სრულყოფა;
5. საწარმოო ფონდების და კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურის გაუმჯობესება;

კვების მრეწველობის დარგების ეკონომიკური თავისებურებები განისაზღვრება ერთი მხრივ, წარმოებული პროდუქციის ეკონომიკური დანიშნულების და მეორეს მხრივ, გამოყენებული ნედლეულის წარმოშობასა და წარმოების პროდუქციის რეალიზაციის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური თავისებურებით.

ჯანხოთელი გრიგოლი მონოგრაფიაში (კვების მრეწველობის ეკონომიკა) განიხილავს კვების მრეწველობის ეკონომიკის ძირითადი საკითხებს, აღწერს დარგის განვითარების მდგომარეობას 1991 წლამდე პერიოდისა და პერსპექტივებს საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით[10].

ავტორის აზრით, მეურნეობის ყველა დარგი და მისი შემადგენელი რგოლები მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული წარმოების განვითარების, განაწილებისა და გაცვლის პროცესში, ისინი ქვეყნის ეკონომიკის ერთიან კომპლექსს წარმოადგენენ. კვების მრეწველობის ეკონომიკა კი, როგორც დარგობრივი ეკონომიკა, ასახავს ეკონომიკური კანონების მოქმედებას და მისი გამოვლენის სპეციფიკურ ფორმებს კონკრეტულ დარგში.

კვების მრეწველობის ეკონომიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და გამოვლინების ფორმების შესწავლა კვების მრეწველობაში.

ძირითადი ამოცანებია:

1. კვების მრეწველობის დარგის განვითარების ეკონომიკური ანალიზი, მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა;
2. წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრა;
3. კვების მრეწველობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;

ნაშრომში განხილულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი. დიდი ყურადღება ეთმობა წარმოების გეოგრაფიულ განლაგებას, სანედლეულო ბაზის, კაპიტალური მშენებლობის განვითარებას.

ავტორი ასკვნის, რომ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, პირველხარისხოვანი როლი ენიჭება ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია შრომითი რესურსებისა და სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებასთან, საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებასთან, ამასთან: მასალტევადობის შემცირება, ეკონომიის რეჟიმის დაცვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება - ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვაცია.

ძნელაძე დავითი მონოგრაფიაში (კვების მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა) განიხილავს კვების მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკას, ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხებს, ძირითადად: ღვინის, კონსერვისა და ჩაის მრეწველობის საწარმოთა მუშაობის მაგალითზე.

ავტორის აზრით, სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის საწარმოში წარმოების პროცესის ორგანიზაცია გამომდინარეობს იმ ეკონომიკური პირობებიდან და ტექნოლოგიური თვისებებიდან, რომლებიც კონკრეტულ პირობებში განსაზღვრავენ საწარმოში შრომისა და საერთოდ წარმოების ორგანიზაციის მთლიან პროცესს.

კვების მრეწველობის საწარმოთა მოქმედების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იაფი და მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტების სიუხვის შექმნა, აქედან გამომდინარე წარმოების ორგანიზაციის და დაგეგმვის,

როგორც მეცნიერების გარკვეული დარგის, მთავარ ამოცანას წარმოადგენს წარმოებისა და შრომის პროცესის ორგანიზაციის კანონზომიერებათა დადგენა და მისი სისტემატური მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების საფუძველზე.

წარმოების ორგანიზაციის დარგში ღონისძიებათა მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს წარმოების ყველა უბნის შეთანხმებული მუშაობა, საწარმოო პროცესების ყოველი ელემენტის შეთანწყობის საფუძველზე.

ავტორის აზრით, კვების მრეწველობის საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა, როგორც მეცნიერების დარგი, ერთგვარ შუალედ ადგილს იკავებს კვების მრეწველობის ეკონომიკასა და ამ დარგის ტექნოლოგიას შორის.[11]

სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის მეთოდების სრულყოფა წარმოადგენს მისი კოლექტივის მოქმედების დამოუკიდებელ სფეროს და მოიცავს წარმოებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელობის მრავალფეროვანი მუშაობის ფართო წრეს. ავტორი აღნიშნულ მუშაობას შემდეგი ძირითადი მიმართულების საკითხების სახით აჯგუფებს:

1. კვების მრეწველობის საწარმო, მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, მართვისა და დაგეგმვის ორგანიზაცია;
2. წარმოების ძირითადი და დამხმარე დარგების ორგანიზაცია;
3. საწარმოო საშუალებების გამოყენების ორგანიზაცია;
4. შრომისა და ხელფასის ორგანიზაცია;
5. წარმოებაზე დანახრჯების განსაზღვრა, საფინანსო მეურნეობისა და ანგარიშწარმოების ორგანიზაცია;

ტიმეს აგოსტონი დისერტაციაში (Marketing Possibilities of Functional Foods Produced by Canned Food Industry) განიხილავს ფუნქციური საკვების მარკეტინგულ შესაძლებლობებს დაკონსერვებული კვებით მრეწველობაში უნგრეთის მაგალითზე.

ავტორის აზრით, უნგრეთში ას წელზე მეტია იწარმოება და იყიდება დაკონსერვებული კვების პროდუქტები. მისი მნიშვნელობა შეინიშნება ბოლო რამდენიმე ათწლეულში საექსპორტო ბაზრებზე.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (და დღესაც) უნგრეთის საკონსერვო კვებითი მრეწველობა რამდენიმე გამოწვევის და პრობლემის წინაშე დადგა.

მიმდინარე საბაზრო კონკურენციის პირობებში ყველაზე დიდი გამოწვევა არის ის, რომ შეინარჩუნოს და არ დაიკარგოს მომხმარებელთა ინტერესი აღნიშნული პროდუქტების მიმართ.

კვლევის უმთავრესი მიზანია, დაადგინოს მომხმარებელთა ინტერესი თუ რომელი პროდუქტი უნდა დაკონსერვდეს. აღნიშნული საკითხის გამოკვლევა არის ფუნდამენტურად აუციელებელი კვლევისათვის. [12]

მეორე მთავარი მიზანი არის ის, რომ გაირკვეს თუ რომელი კვებითი პროდუქტის ატრიბუტები ახდენენ გავლენას მომხმარებლის გადაწყვეტილების მიღებაზე, მათ შორის ჯანმრთელობაზე.

ავტორი ასკვნის, რომ ბავშვთა საკვები და დაკონსერვებული თევზი სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის.

პოკრაშინსკაია ნ.ვ. ნაშრომში (Особенности формирования стратегий развития предприятий пищевой промышленности) იკვლევს კვების მრეწველობის ფორმირების განვითარების სტრატეგიებს და აღნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება სხვა ბაზრებისაგან, არის ბაზარი, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლის ყურადღებისთვის ბრძოლასა და სურვილის შედეგად თავიანთი პროდუქციისა და სასაქონლო კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე. [12]

ავტორი ასკვნის, რომ დღევანდელ სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში საჭიროა არა მხოლოდ ზრუნვა და საწარმოს შიდა ეკონომიკური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი, ასევე ინოვაციური

სტრატეგიების შემუშავება კების მრეწველობის განვითარებისათვის და კვების მრეწველობაში შესაბამისი სტრატეგიების შესაძლებლობების შექმნა.

ჯონ ვილკინსონი კვლევაში (The Food Processing Industry, Globalization and Developing Countries) განიხილავს მთავარ იდენტიფიცირებად მიმართულებებს კვების მრეწველობაში მსოფლიოს სამ განვითარებულ რეგიონულ ბლოკში: ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი სავაჭრო სივრცე, ევროკავშირი და იაპონია.

კვლევაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი არატრადიციული კვების მრეწველობის ექსპორტს განვითარებად ქვეყნებში და მის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოს წამყვანი კვების ორმოცდაათი დანადგარიდან უკავია 40% და ამერიკის შეერთებული შტატები არის უმსხვილესი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყანა დამუშავებულ საკვებსა და სასმელში.

ევროკავშირს აქვს ჭარბი ვაჭრობა საკვებისა და სასმლის სექტორში, რომლის ექსპორტი მოიცავდა 45 მილიარდ ევროს 2001 წელს, ამერიკის შეერთებული შტატები - 9 მილიარდი ევრო, იაპონია - 3,7 მილიარდი ევრო, შვეიცარია - 2,6 მილიარდი ევრო და რუსეთი - 2, 6 მილიარდი ევრო.

კვების მრეწველობაში იაპონიის შემდეგ 5 წამყვანი ექსპორტიორი ქვეყანაა: აშშ, ავსტრალია, ჩინეთი, ტაილანდი და ტაივანი.[13]

ავტორი ასკვნის, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (FDI) როლი განსაზღვრავს არატრადიციული ექსპორტის ხელშეწყობას განვითარებად ქვეყნებში და განიხილება, როგორც კვების მრეწველობის კონკურენტულ გარემოდ გარდაქმნის მექანიზმი განვითარებად ქვეყნებში.

ავტორი ასკვნის, რომ ერთის მხრივ, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სიღარიბის, შიმშილის და სიმსუქნის მზარდი კომბინაცია. მეორეს მხრივ, კვების მრეწველობა გახდა მთავარი გასაღები დასაქმების შესაძლებლობებისა.

ოჯინაკა მ.ს. მონოგრაფიაში (The Food Industry in Nigeria: Development and Quality Assurance) განიხილავს კვების მრეწველობას ნიგერიაში, კერძოდ მის განვითარებასა და ხარისხის დაზღვევას. [14]

ნიგერიაში კვების გადამამუშავებელი სექტორი დომინირებს როგორც საშუალო და მცირე საწარმოებში, ასევე მრავალეროვნული კვების კომპანიებში.

ხარისხის სტანდარტები, როგორც წესი, კვების პროცესების უსაფრთხოების გაუმჯობესებას უკავშირდება.

ავტორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული სტანდარტები არის არსებითი ელემენტები ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესისათვის, რომელიც მრეწველობის განვითარებითა და სავაჭრო გზით ხელს შეუწყობს ეკონომიკურ პროგრესს.

ნიგერია, როგორც ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყნები, დგას გამოწვევის წინაშე, რომ თავის ხალხმრავალ მოსახლეობას მიაწოდოს ადეკვატური საკვები. მას სჭირდება შესაბამისი და პრაგმატული ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს სურსათის უვნებლობის და ხარისხის შიდა მოხმარება და ექსპორტი.

ავტორი ასკვნის, რომ საკვების უვნებლობის ხელშეწყობა გლობალური საკითხია და ყველა მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ის, რომ შენარჩუნდეს დადგენილი სტანდარტები და უსაფრთხო საკვები იყოს გარანტირებული.

დორფმან ჯეფრეი მონოგრაფიაში - (Economics and Management of the Food Industry) განიხილავს კვების მრეწველობის ეკონომიკას და მენეჯმენტს.

ავტორის აზრით, ახალი პროდუქტი ყოველთვის კონკრეტული პროდუქტის გათვალისწინებით იქმნება. პროდუქტის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი არის ის, რომ ყველა ინგრედიენტი იყოს გამოყენებული, პროდუქციის პროცესი, დისტრიბუციის სისტემა,

ეტიკეტირება, შეფუთვა ნებისმიერი ახალი პროდუქტისა უნდა შეესაბამებოდეს მთავრობის მიერ დადგენილ კანონებსა და რეგულაციებს.

კვების მრეწველობას აქვს რიგი სპეციალური ფუნქციებისა, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს სხვადასხვა ინდუსტრიაში.

ავტორი განიხილავს იმ ფუნქციებს, რომელიც მოიცავს ვერტიკალურად ინტეგრირებულ კოორდინირებულ კომპანიებს, კოოპერატივებს და ფრანჩიზებს [15].

ავტორი იკვლევს მთავრობის როლს კვების მრეწველობაში, რომელიც მოიცავს ისევე როგორც ფასის მხარდაჭერას და ფერმერებისთვის მოსავლის დაზღვევას, ასევე სურსათის უვნებლობის რეგულაციებს.

ავტორი განიხილავს ვერტიკალურ ინტეგრაციებსა და კოორდინაციებს კვების მრეწველობაში, ასევე ფრანჩაიზინგს, რომელიც კონცენტრირებულია რესტორნის ინდუსტრიაზე.

ფედერალური და ადგილობრივი მთავრობა დიდ როლს ასრულებს კვების მრეწველობაში, რომელიც განსზღვრავს იმ ადგილმდებარეობებს ქალაქსა თუ სოფელში, სადაც შეიძლება რესტორნებისა და ბარის ბიზნესის განვითარება.

აშშ-ში (და სხვა განვითარებულ ქვეყნებში) ფედერალური მთავრობა სთავაზობს სუბსიდიების მრავალ ფორმას ფერმერებს.

პიტი.ე და თრეილი ვ.ბ მონოგრაფიაში - (Competitiveness in the food industry) განიხილავენ კონკურენტუნარიანობას კვების მრეწველობაში, რომელიც ფართოდ არის განხილული, როგორც ბიზნესმენებისაგან და პოლიტიკოსებისაგან, ასევე ეკონომისტებისაგან.

სამწუხაროდ, ისინი ერთსა და იმავე ენაზე არ საუბრობენ. არსებობს მნიშვნელოვანი გაუგებრობები აღნიშნულ ჯგუფებს შორის ტერმინ - კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით.

ავტორები ფოკუსირებულნი არიან დარგობრივ კონკურენციაზე და განიხილავენ განსხვავებულ მეთოდოლოგიებს კონკურენტუნარიანობის

გასაზომად და გვიჩვენებს ევროპის ექვსი წევრი ქვეყნის შედეგებს კვების მრეწველობაში სექტორში.

ავტორები იკვლევენ თუ როგორ შეიძლება გაიზომოს კონკურენტული შესრულება და როგორც შეიძლება აიხსნას წარმატება ან მარცხი.

აღნიშნულ შემთხვევაში პროფესორ მაიკლ პორტერის პრინციპული მეთოდოლოგიებია გამოყენებული. პორტერის ანალიზი ფართოდ გამოიყენებოდა ბიზნეს სტრუქტურებში 1990 წელს. ავტორის აზრით, პორტერის მიგნება არის საუკეთესო, რომელიც არის არსებითად თვისებრივი და მრავალ-წახნაგოვანი, ვიდრე ეკონომეტრიკა [16].

ირანული, იტალიური, ბელგიური სწავლებები არის პორტერის მეთოდოლოგიის პირდაპირი პროგრამები შედარებით წარმატებულ ინდუსტრიებში. ბელგიელები იყენებენ კარგად ცნობილი ბოსტონის კონსულტაციური ჯგუფის მეთოდოლოგიებს.

შვედები იყენებენ პორტერის მიღწევას, რადგან გააანალიზონ განვითარებადი ბაზრები, რადგან გამოიკვლიოს შეუძლია თუ არა მრეწველობას მიაღწიოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას მომავალში.

ლონდონის მაგალითი ვრცელდება პორტერის ანალიზზე არაკონკურენტუნარიან ინდუსტრიაში. ბოლოს, ავტორი იკვლევს განსხვავებულ პოლიტიკას აგრო და კვებით მრეწველობაში.

ავტორები ასკვნიან, რომ პორტერმა შემოგვთავაზა სასარგებლო ინსტრუმენტი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გასაანალიზებლად. კერძოდ, ის გვთავაზობს იმ ნივთების სიას, რომლებიც განიხილება და იმ სამართავ გზებს, სადაც ისინი შექმნიან წარმატებულ ურთიერთობებს კონკურენტულ დინამიკაში.

ავტორები განიხილავენ კვების მრეწველობას ფინეთში და ისინი აღნიშნავენ, რომ მას მესამე ადგილი უკავია მეტალისა და ტყის ინდუსტრიის შემდგომ. ფინეთის წევრობას ევროკავშირისათვის აქვს

ფუნდამენტური და დაუყოვნებლივი ეფექტი სოფლის მეურნეობასა და საკვებ პროდუქციაზე.

ბოლო წლების მნიშვნელოვანი ინოვაცია არის მაღალი ტემპერატურის საშრობი მაკარონის გაკეთების პროცესში, რომელიც საშუალებას იძლევა საუკეთესო ხარისხით დამუშავდეს ის.

აღნიშნული მეთოდი გვიჩვენებს თვისებრივი ანალიზის ღირებულებას, ნაშრომში გაერთიანებულია თეორიული და პრაქტიკული მიღწევები კვების მრეწველობაში.

აზევედო პ.ფ; ჩადად ფ.რ; ნაშრომში - (The Food Industry in Brazil and the United States: The Effects of the FTAA on Trade and Investment”) განიხილავენ, რომ ბრაზილია და აშშ არიან მთავარი მოთამაშეები მსოფლიოს სოფლის მეურნეობასა და სურსათის ბაზრებზე.

სოფლის მეურნეობის სისტემა აშშ-ში და ბრაზილიაში არის ძალიან დიდი აბსოლუტურ და ფარდობით ზღვარზე. ორივე ქვეყანა არის სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტების ნეტო ექსპორტიორი და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი მიმღები კვების ინდუსტრიაში.

აშშ-ს კვების პროდუქტების დანადგარები მნიშვნელოვან საინვესტიციო პოზიციებს იკავებს საზღვარგარეთ. 1990 წელს ორივე ქვეყანა აქტიურად იყო ჩართული რეგიონული სავაჭრო ბლოკის ფორმირებაში.

აშშ არის ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წევრი (NAFTA), როცა ბრაზილია არის სამხრეთის საერთო ბაზრის წევრი. (MERCOSUR).

კვლევის მთავარი მიზანია გაანალიზოს პოტენციური ეფექტები ამერიკის თავისუფალი სავაჭრო სივრცის ვაჭრობაში და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ბრაზილიასა და ამერიკის კვების მრეწველობაში.

ავტორები განიხილავენ კვების მრეწველობას ზოგად ასპექტში როგორც ბრაზილიაში, ასევე აშშ-ში და ადგენენ მათ ეკონომიკურ მნიშვნელობას .

ორმხრივი სავაჭრო ნაკადები აღნიშნულ ორ ქვეყანაში ფოკუსირებულია სოფლის მეურნეობასა და საკვებ პროდუქტებზე.

ავტორები ნაშრომში აღწერენ და ადარებენ კვების მრეწველობის სტრუქტურებს ბრაზილიასა და აშშ-ში, რომლებიც შემდგომ ცვლადებზეა დაფუძნებული: ფირმების რაოდენობა, დაწესებულების რაოდენობა, გადაზიდვის ღირებულება, დამატებითი ღირებულება, მოგება, დასაქმება, გეოგრაფიული ჭრილი და ალტერნატიული ფორმების და ორგანიზაციების მონათესავე ეკონომიკური მნიშვნელობა[17].

ადგილმდებარეობა არის მნიშვნელოვანი ცვლადი კონკურენტული ანალიზისათვის, იმიტომ რომ ის არის მნიშვნელოვანი დეტერმინანტი ხელფასების, ტრანსპორტის ხარჯის და კვალიფიციური სამუშაოს ხელმისაწვდომობის.

ავტორები ასკვნიან, რომ მთავარი განსხვავება ბრაზილიასა და აშშ-ს შორის არის დომინანტური პოზიცია მულტინაციონალური საკვებისა ბრაზილიის მარკეტებში.

ტირელ ბენჯამინი დისერტაციაში (Organizational Economics and the food processing industry) განიხილავს აშშ-ს საკვები სისტემის ინდუსტრიალიზაციას და ასკვნის, რომ ძირეულად შეიცვალა დამოკიდებულება სასოფლო-სამეურნეო პროცედურებსა და კვების მწარმოებლებს შორის. [18]

სოფლის მეურნეობის ქმედებების სტრატეგიები დღესდღეობით პირდაპირ გავლენას ახდენენ კვების მწარმოებელ კომპანიებზე.

ორგანიზაციული ეკონომიკა ეფექტური ინსტრუმენტია კვების დანადგარების დინამიკის ანალიზისათვის. ორი ყველაზე ფართოდ აღიარებული ორგანიზაციული თეორიაა: ტრანზაქციული ფასების ეკონომიკა და სააგენტოს თეორია.

კვლევის მიზანია განისაზღვროს, თუ რომელი თეორია აღწერს უკეთესად კვების პროდუქტების დანადგარების ქმედებებს. ავტორმა

შეიმუშავა ლოგიკური პროგნოზები კვების გადამამუშავებელ მრეწველობაში.

ავტორის აზრით, ტრადიციული ტრანზაქციული ფასის ეკონომიკა საუკეთესოდ აღწერს კაპიტალის სტრუქტურას და საქმიანობის გაფართოებას კვების მრეწველობის ინდუსტრიაში.

თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე კვების მრეწველობაზე მსოფლიოში უამრავი ლიტერატურა და გამოკვლევაა გამოქვეყნებული. მათი აღნიშნულ განყოფილებაში არათუ განხილვა, არამედ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. ამიტომ ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა აქ დავასრულოთ.

2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. საქართველოს კვების მრეწველობის წარმოშობის და განვითარების ისტორიული ექსკურსი

კვების მრეწველობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

კვების მრეწველობა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგი, აგროსამრეწველო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია.

რევოლუციამდელი საქართველოს კვების მრეწველობა დაბალი დონით ხასიათდებოდა. ის წარმოდგენილი იყო არა რაციონალურად განლაგებული, არამედ კაპიტალისტური მანუფაქტურისა და სარეწების ტიპის, წვრილი საწარმოებით, პრიმიტიული ტექნიკითა და წარმოების კუსტარული მეთოდებით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა კვების პროდუქტების შინაურ გამოშვებას.

რევოლუციამდელი საქართველოს კვების მრეწველობის განლაგება ასახავდა ამ პერიოდის ეკონომიკის საერთო ჩამორჩენილობას.

ცარიზმისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა მიმართული იყო რუსეთის კოლონიებში მრეწველობის განვითარების შენელებისაკენ, რომლებიც ცდილობდნენ ისინი გადაეყციათ ცენტრალური სამრეწველო რაიონების აგრალურ-სანედლეულო დანამატად.

საქართველოში მრეწველობა ისევე ვითარდებოდა, როგორც მეფის რუსეთის სხვა კოლონიებში, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეესაბამებოდა მეტროპოლიის ინტერესებს, მისი კოლონიალური სისტემის შენარჩუნებასა და განმტკიცების პოლიტიკას.

1913 წელს საქართველოში კვების მრეწველობის ცხრა ათასამდე პატარა საწარმო ითვლებოდა, რომლებშიც დასაქმებული იყო 27-28

ათასამდე კაცი. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის მთლიან მოცულობაში, კვების დარგი შეადგენდა დაახლოებით 1/3-ს. [19]

უმნიშვნელოვანესი კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოების ნათელ სურათს იძლევა ცხრილი 1- ის მონაცემები.

ცხრილი 1.

კვების პროდუქტების უმნიშვნელოვანესი სახეების სამრეწველო წარმოება საქართველოში 1913 წელს

დასახელება	ზომის ერთ	წარმოების მოცულობა
რძე და რძის პროდუქტები	ტ	5336
ღვინო	ათას დეკალიტრი	0,230
კონსერვები	მ.პ.კ.	0,1
ლუდი	დეკალიტრი	360
მინერალური წყლების ჩამოსხმა	მლნ ბოთლი	9,0
პირველადი გადამუშავების ჩაი	ათას ტ	0,1
პაპიროსი	მილიარდი ც	1,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999, თბილისი, 1999 წ., გვ.166

საქართველოს მრეწველობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, 1999 წ., თბილისი, 2000წ., გვ.91

კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოების უმნიშვნელო საერთო მოცულობის პირობებში უკიდურესად არასაკმარისი იყო ამ პროდუქციის გამოშვება ერთ სულ მოსახლეზე.

სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ კვების მრეწველობის განვითარების დონეს 1913 წელს, სრულიად არ ასახავენ მის მდგომარეობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა და მენშევიკების მმართველობის მომდევნო წლებმა (1918-1921) საქართველოს რევოლუციამდელი კვების მრეწველობა სრულიად გაანადგურეს.

რევოლუციამდელი პერიოდის კვების მრეწველობის საწარმოები ხასიათდებოდა ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დაბალი დონით. წარმოების არასაკმარისი მექანიზაცია და მასთან დაკავშირებული კვების მრეწველობის მუშათა შრომის დაბალი ნაყოფიერება, ნაკლებად აწუხებდათ მეწარმეებს, რადგან შრომის ორგანიზაციის ყველა ნაკლს ისინი ფარავდნენ მშრომელთა გაძლიერებული ექსპლოატაციით - ახანგრძლივებდნენ სამუშაო დღეს, აწესებდნენ დაბალ ხელფასს და ა.შ.[20].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იწყება კვების მრეწველობის გეგმაზომიერი აღორძინება და კომპლექსური განვითარება. თუმცა, საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე შეუდგა საქართველოში მისი ძირითადი დარგების აღდგენას. მსხვილი კვების მრეწველობის განვითარებისათვის არ შეიძლებოდა შექმნილიყო პირობები.

აღდგენითი პერიოდის მანძილზე ქვეყანას არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყო საკმარისი სახსრები კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზის შექმნისა და გაუმჯობესებისათვის. სოფლის მეურნეობა სიმძნელებს განიცდიდა, ხოლო კვების მრეწველობამ, 1928 წელსაც კი ვერ მიაღწია 1913 წლის დონეს, იმ დროს, როდესაც სსრკ-ის მთელმა მრეწველობამ ამ პერიოდისათვის 32%-ით გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

სოფლად სოციალისტური გარდაქმნების განხორციელების შემდეგ, გაუმჯობესდა საქართველოს კვების მრეწველობის ნედლეულის ბაზა, გაიზარდა როგორც ტექნიკური კულტურების სათესი ფორმები, ასევე კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეები.

30-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში დაიწყო უახლესი მანქანებით აღჭურვილი კვების მრეწველობის ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობა. მომზადდა სპეციალისტთა კადრები ადგილობრივი

მოსახლეობისაგან, რომლებიც კარგად დაეუფლნენ მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიას და სწორედ ამ დროიდან თანდათან შეიქმნა წინაპირობები რევოლუციამდელი წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული დარგის ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის.

ყველა საწარმოში სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ გლეხის იაფფასიან შრომას. მენშევიკთა ბატონობის დროს სილატაკემ მოიმტა. ზოგიერთმა დარგმა შეწყვიტა არსებობა, ზოგიერთი საწარმო კი საერთოდ დაიხურა.

1921-1928 წლებში ჩატარდა კვების მრეწველობის წვრილი საწარმოების აღდგენისა და ახალი საწარმოების მშენებლობის სამუშაოები. ამ პერიოდში ამოქმედდა სახელმწიფო კვების ზოგიერთი საწარმო:

- ✓ 1921 წელს - კარდენახისა და თერჯოლის ღვინის ქარხნები;
- ✓ 1925 წელს - სოხუმის საკონსერვო ქარხანა და თამბაქოს ფაბრიკა;
- ✓ 1926 წელს - შრომის ჩაის ფაბრიკა;
- ✓ 1927 წელს - ბობოყვათის ჩაის ფაბრიკა;
- ✓ 1928 წელს - სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა და ქინძმარაულის ღვინის ქარხანა.

კვების ინდუსტრიის საწარმოებისათვის ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა მოითხოვს თეორიული და გამოყენებითი მეცნიერული კვლევის მუდმივ განვითარებას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული დარგობრივი სამეცნიერო ცენტრების შექმნას.

30-იანი წლებში საქართველოში დამთავრდა კვების მრეწველობის ძირითადი დარგებისათვის სამეცნიერო დაწესებულებათა შექმნა.

1930 წელს ანასეულში შეიქმნა ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1952 წელს, ამ ინსტიტუტის ტექნოლოგიური განყოფილებისა და ანასეულის საცდელი ჩაის ფაბრიკის ბაზაზე, შეიქმნა ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1976 წლიდან, ინსტიტუტისა და სამი

ჩაის ფაბრიკის ბაზაზე, მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ჩაიმრეწვი“, რომელიც უდიდესი ჩაის მრეწველობის ცენტრი იყო საქართველოში.

1937 წლიდან კვების მრეწველობის საწარმოთა დაპროექტებას განაგებდა დარგობრივი საპროექტო ინსტიტუტი - საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა საპროექტო ინსტიტუტი. მისი პროექტებით ჩაის ფაბრიკები აშენდა:

- ✓ საქართველოში;
- ✓ აზერბაიჯანში;
- ✓ ვიეტნამში;

აღნიშნული ინსტიტუტი ამავე დროს ამუშავებდა კვების მრეწველობის თითქმის ყველა დარგისათვის, როგორცაა პურის ცხობის, ხორცის, რძის, ლუდსახდელი, მინერალური წყლების დარგები, ასევე სოფლის მეურნეობისათვის.

მე-19-ე საუკუნის შუა წლებში, ტრადიციული კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში იქმნებოდა მომავალი კვების მრეწველობის პირველ სახედ. აღნიშნულ პერიოდში დაიწყო წვრილკუსტარული და ნახევრადკუსტარული საწარმოების დაშლა ან დიდ საწარმოებად გაერთიანება.

მომრავლდა კერძო სააქციო კომპანიები და ამხანაგობები, ეს პროცესი კი მიმდინარეობდა მეღვინეობის დარგში. „კახეთი“, „კონკორდია“, „საუფლისწულო მამული“, რომლებიც წარმოადგენდნენ ამხანაგობებს და სარდაფებსა და ღვინის ქარხნებს განაგებდნენ.

შეიქმნა თამბაქოს პირველი ფაბრიკები, რომელთა ინტენსიურ ნედლეულის ბაზას გლახთა პლანტაციებზე გაშენებული სურნელოვანი თამბაქო „სამსუნი“ და „ტრაპეზუნდი“ წარმოადგენდა. ასევე განვითარდა ლუდის წარმოება.

მე-19 საუკუნის შუა წლებში საქართველოში შეიქმნა რძის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებსაც გერმანიიდან და

შვეიცარიიდან გადმოსული კერძო მეწარმეები აშენებდნენ. ამავე ხანებში დაიწყო მოსახლეობის ზრდა, რაც ქმნიდა წანამძღვრებს კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოებისათვის.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან კაპიტალისტური ტიპის ახალი საწარმოები ჩნდება:

- ✓ ვეტცელის ლუდის სახარში ქარხანა - 1862 წელს;
- ✓ სარაჯიშვილის თბილისის კონიაკის ქარხანა - 1888 წელს;
- ✓ ბოდარჯიანცის, ენფირჯიანცის და სხვათა თამბაქოს ფაბრიკები.

კვების მრეწველობაში კაპიტალისტური ტიპის უფრო მსხვილი საწარმოების როლის გაძლიერებასთან ერთად, რომლებიც დევნიდნენ ხელოსნობას და წვრილ გლეხურ წარმოებას, რევოლუციამდელ საქართველოში თანდათან ყალიბდებოდა კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგი.

ქართული მევენახეობის სათავეები საუკუნეთა სიღრმეში მიდის. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებისათვის ის ეყრდნობოდა წვრილ გლეხურ და კერძო მესაკუთრულ მეურნეობებს.

მეღვინეობაში წარმოების კაპიტალისტური ფორმები განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მე-19 საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც მას ხელი მოჰკიდეს საუფლისწულო უწყებებმა.

სოფელ მუხრანში ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის მეურნეობაში, მეღვინეობა დაყენებული იყო ევროპაში დიდი ხნის წინ გამომუშავებული ყოველგვარი წესების მიხედვით.

კაპიტალისტ ანანოვისა და ზოგიერთი მემამულის საუფლისწულო უწყებათა მეღვინეობის საწარმოები წმინდა კაპიტალისტური ხასიათის იყო, თუმცა ასეთი საწარმოების ხვედრითი წონა საქართველოს მეღვინეობის საერთო პროდუქციაში უმნიშვნელო იყო.

რევოლუციამდელ საქართველოში არ არსებობდა ხორცის მრეწველობის მსხვილი საწარმოები. საქონლის დაკვლა წარმოებდა

გლეხების ეზოებში, ან ცუდად გამართულ და ტექნიკურად მოუწყობელ სასაკლაოებზე. შედარებით მსხვილი სასაკლაო აშენდა თბილისში. 1910 წლის 10 მაისს, 32 წლიანი მსჯელობის შემდეგ ქალაქის ხელისუფლებამ გამოიტანა დადგენილება - თბილისში პირუტყვის სასაკლაოს მოწყობის შესახებ, მშენებლობა დაიწყო 1910 წლის ოქტომბერში და დასრულდა 1914 წელს.

რუსული და უცხოური კაპიტალი იჭრებოდა უმთავრესად იმ რაიონებსა და მეურნეობებში, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათთვის მაქსიმალურ მოგებას. მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, რომელსაც საქართველოს განვითარების დიდი პოტენციალური შესაძლებლობები გააჩნდა, ყველის წარმოება იყო.

მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში ახალმოსახლე რუსებმა, ასევე შვეიცარიელმა და გერმანელმა ცალკეულმა კერძო მეწარმეებმა, საქართველოში დაიწყეს ადგილობრივი რძის გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობა. მათი ძირითადი საქმიანობა შვეიცარიული ყველისა და ადგილობრივი სხვადასხვა სახეობის ყველის გამოშვება იყო.

აკად. პ.ვ. გუგუშვილის მონაცემების მიხედვით, ამიერკავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც 70-90-იან წლებში ჩნდება რძის გადამამუშავებელი გაერთიანებები, რაც ხელს უწყობდა წარმოების კაპიტალისტური წესის შემდგომ ზრდას და აქედან გამომდინარე, წვრილი, კუსტარული მეწარმეების გაკოტრებას.

მიუხედავად განვითარების ხელსაყრელი პირობებისა (სუბალპური და სამოვრების დიდი და მოხერხებული მასივების არსებობა, პროდუქციის გასაღების ფართო ბაზარი და სხვ), საქართველოს რძის მრეწველობა მაინც მეტად დაბალ დონეზე რჩებოდა და განსაკუთრებული ტექნიკური ჩამორჩენილობით ხასიათდებოდა.

რევოლუციამდელ საქართველოში ყველ-კარაქის მრეწველობა თავმოყრილი იყო ორ რაიონში - ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში. საქართველოს სხვა რაიონებში კი ვერ განვითარდა.

რძის მრეწველობის განვითარებას აფერხებდა მეცხოველეობის დაბალი საქონლიანობა, მზა პროდუქციის მალფუჭებადი ხარისხი და სამაცივრე მეურნეობის არასაკმარისი განვითარება.

კვების მრეწველობის ჩამოყალიბებას მომდევნო წლებშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ მნიშვნელოვან მომენტს: სამეცნიერო ბაზის ქსელის განვითარებას და მანქანათმშენებელი საძირკვლის შექმნას.

1958 წელს მანქანების, ავტომატებისა და კომპლექსური ხაზების კონსტრუირებისათვის, თბილისში შეიქმნა სასურსათო მანქანათმშენებლობის სპეციალური საონსტრუქტურო ბიურო. აქ შემუშავდა და დაინერგა ათობით ახალსახეობათა მოწყობილობა ჩაის, მეღვინეობის, რძის, ლუდ-უალკოჰოლო, საკონსერვო, თამბაქოს, პურის საცხობი და კვების მრეწველობის სხვა დარგებისათვის.

კვების პროდუქტების წარმოების მასშტაბისა და მოცულობის ზრდა, სხვადასხვა ეტაპზე, ახალ ამოცანებსა და პრობლემებს იწვევდა, რაც თავის მხრივ სპეციალიზებული სამეცნიერო ორგანიზაციების შექმნას მოითხოვდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა მრეწველობის კიდევ ერთი დარგი - თევზჭერის დარგი. ის ყოველ წელს ვითარდებოდა.

1960 წელს, თბილისში შეიქმნა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. არსებობის 20 წლის მანძილზე ის კვების ინდუსტრიის დიდი სამეცნიერო ბაზა გახდა ბათუმისა და ქუთაისის ფილიალებით.

1962 წლიდან წარმატებით მუშაობდა დირექტიული ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი საქართველოს საოკეანო თევზჭერის ფლოტი.

ამავე პერიოდში განვითარდა სამრეწველო თევზჭერა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ყველა დარგს განეკუთვნებოდა ეს იყო საქართველოს მაღალმთიან რაიონებში საწარმოების შექმნისა და იქ

არსებული მდიდარი სანედლეულო რესურსების სამეურნეო ზრუნვაში მოქცევის პრობლემა.

1966 წელს, საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროში მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების პროექტების შემუშავებისათვის, ასევე ნორმატიული მეურნეობის დაწესებისათვის, შეიქმნა საპროექტო-საკონსტრუქტურო ბიურო [21].

1968 წელს, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში შეიქმნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრალური ლაბორატორია მართვის ავტომატიზებული სისტემის პროექტების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

1974 წელს შეიქმნა „საქვებმრეწვის“ მართვის ავტომატიზებული სისტემის სპეციალური საკონსტრუქტურო ბიურო. აღნიშნული ორგანიზაციები წარმოადგენდნენ კვების მრეწველობის სამინისტროს საუწყებო მეცნიერულ ბაზას, არსებობის შედარებით არც თუ ისე დიდი ხნის მანძილზე, მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს საწარმოო სიმძლავრეთა გადიდების, წარმოების ეფექტიანობისა და კულტურის ამაღლების, საწარმოთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

კვების ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო დარგობრივი მანქანათმშენებლობის შექმნა და განვითარება. ის მოიცავს სამ ქარხანას:

- ✓ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა;
- ✓ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა;
- ✓ 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნები.

ორი უკანასკნელის ბაზაზე, 1977 წელს შეიქმნა საწარმოო გაერთიანება „საქლვინმანქანა“, სადაც ზოგიერთი სახის მანქანა

გათვალისწინებული იყო არა მარტო საქართველოს კვების ინდუსტრიისათვის, არამედ ექსპორტისთვისაც.

1980 წელს საქართველოს სამრეწველო გაერთიანებები - „საქართველოს ჩაი“ და „სამტრესტი“ დამოუკიდებელ გაერთიანებებად ჩამოყალიბდნენ. კვების მრეწველობის მუშაკებს თავიანთი პროდუქცია 22 სახელმწიფოში გაჰქონდა. ესენია:

- ✓ ყველა სოციალისტური ქვეყანა
- ✓ კანადა
- ✓ ავსტრალია
- ✓ გერმანია
- ✓ საფრანგეთი
- ✓ ნიდერლანდები
- ✓ იტალია
- ✓ მაროკო
- ✓ ფინეთი
- ✓ იაპონია
- ✓ პერუ

კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი სოფელი იყო. ნედლეული ბაზის პარალელურად იქმნებოდა მრავალდარგოვანი კვების მრეწველობის მძლავრი ტექნიკური და მეცნიერული საფუძველი. დიდი სამამულო ომის შემდეგ კვების მრეწველობის ათობით საწარმო აშენდა.

შეიქმნა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტები, საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი;

1990 პერიოდისათვის და 1981-1985 წლებში საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების დარგის ძირითადი ამოცანები დარგების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფა და მათი პეციალიზაცია იყო იმ მიზნებით, რომ დაკმაყოფილებულიყო საკავშირო მოთხოვნა ჩაის, ღვინის,

კონსერვის, თამბაქოს, ეთერზეთოვან და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის პროდუქციაზე.

მე - 19 საუკუნის ბოლოს, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ აჭარაში, დაიწყო ჩაის კულტურის გაშენება, ამავე პერიოდს მიეკუთვნება ჩაის წარმოების დაწყება. მაგალითად, 1895 წელს, კერძო მფლობელებმა კ. პოპოვმა და ა. სოლოვცევმა მოახერხეს ჩაის ფოთლის გადამუშავება სალიბაურისა და ჩაქვის კუსტარულ საწარმოებში.

საქართველოში შვიდი ჩაის ფაბრიკა აშენდა:

- ✓ 1929 წელს - გალში
- ✓ 1932 წელს - ჩოხატაურში
- ✓ 1935 წელს - ლანჩხუთში
- ✓ 1936 წელს - ოჩამჩირესა და ბათუმში
- ✓ ტექნიკური ბაზის გაფართოებასა და ჩაის წარმოების ზრდასთან ერთად, ტარდებოდა პროდუქციის ახალი სახეების ათვისებისა და გამოშვებული ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, 1937 წელს დაიწყო მწვანე ჩაის სამრეწველო წარმოება, რომელმაც სწრაფად მოიპოვა ფართო პოპულარობა.
- ✓ 1932 წელს მუშაობა დაიწყო ჩაქვის ჩაის საწნეხმა ფაბრიკამ, რომელმაც იმავე წელს გამოუშვა მწვანე აგურა ჩაი.

საქართველოსი ჩაისა და ღვინის მრეწველობის პროდუქციის წარმოების გაფართოებაში დიდი როლი შეასრულეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის და ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა, როლებიც ძირითადად ღვინისა და ჩაის მრეწველობისათვის მოწყობილობებს უშვებდნენ.

1928 წელს ხელახლა აშენდა გორის საკონსერვო ქარხანა, 1933 წელს მწყობრში ჩადგა ქუთაისის საკონსერვო ქარხანა.

1940 წელს აშენდა ხორცის გადასამუშავებელი 12 საწარმო: თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ახალციხის, გორის, ჭიათურის, ბორჯომის, თელავის, ხაშურისა და ბათუმის ხორცკომბინატები.

ამგვარად, 1928-1940 წლებში, კვების მრეწველობის რიგი დარგები - ჩაის, კონსერვის, ხორცის - შეიქმნა ხელახლა. ამ პერიოდში ამოქმედდა კვების მრეწველობის სხვა მსხვილი საწარმოებიც. მათ შორის - აგარის შაქრის ქარხანა. განვითარდა პურის საცხობი, საკონდიტრო, ცხიმეულისა და კვების მრეწველობის სხვა დარგები.

1926-1937 წლებში შეიქმნა მატერიალური წინაპირობები, რომ საქართველოს მსხვილი კვების მრეწველობა სოციალისტური წარმოების ინდუსტრიულ დარგად გადაქცეულიყო.

კვების მრეწველობის მრავალი დარგის დაჩქარებული განვითარების პროცესში, არსებითი ცვლილებები ხდებოდა მის დარგობრივ და ქვედარგობრივ სტრუქტურაში.

მრეწველობის, მეღვინეობის და ჩაის დარგებმა წამყვანი ადგილი დაიკავეს. კვების მრეწველობის პრონციპულად ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში.

ომამდელ პერიოდში სამრეწველო კვების პროდუქტების წარმოების ზრდას მოწმობენ მე-2 ცხრილში მოყვანილი მონაცემები.

ცხრილი 2.

კვების პროდუქტების ძირითადი სახეების სამრეწველო წარმოება 1928-1940 წლებში

პროდუქცია	საერთო მოცულობა		წარმოება ერთ სულ მოსახლეზე	
	1928წ	1940წ	1928წ	1940წ
ხორცი ათას.ტ	-	11,5	-	3,2კგ
კონსერვები მლნ. პ.ქ.	1,3	29,01	0,5 პ.ქ.	8 პ.ქ.
მცენარეული ზეთი	-	4,6	-	1,3კგ

ყურძნის ღვინო მლნ დ/ლ	-	2,2	-	0,6 დ/ლ
შამპანური მლნ. ბოთლი	-	1,7	-	0,4დ/ლ
პირველადი გადამუშავების ბაიხოს ჩაი, ათას.ტ	0,3	11,1	0,1	3,0 კგ
მინერალური წყლები მლნ. ბოთ. (0,5ლ)	9,0	24,4	3,4	6,7 ბოთ
პაპიროსები და სიგარეტები მილიარდ ცალებში	2,1	4,7	0,8 ათასი ცალი	1,2 ათასი ცალი
შაქრის ფხვნილი ათას ტ	-	13,1	-	3,6კგ
საკონდიტრო ნაწარმი ათას. ტ	-	9,5	-	2,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999, თბილისი, 1999 წ., გვ. 166

საქართველოს მრეწველობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, 1999 წ., თბილისი, 2000წ., გვ. 91

1951-1955 წლებში საქართველოს კვების ინდუსტრიაში დაბანდებულ იქნა დაახლოებით 63,7 მილიონი მანეთი, ხოლო 1956-1960 წლებში - 61,2 მილიონი მანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი აღნიშნულ წლებში გამოყოფილი იყო მეღვინეობისა და ჩაის მრეწველობის განვითარებისათვის.

1951-1955 წლებში ამოქმედდა პირველადი მეღვინეობის ქარხნები კარდენახში, კურდღელაურში, კვალითში, წნორში, ტვიშში და საგარეჯოში.

1961-1980 წლების პერიოდში საქართველოს კვების მრეწველობის განვითარება ხასიათდებოდა ტექნიკური ბაზის შემდგომი ზრდითა და სრულყოფით. ამ მიზნით გამოყოფილი იყო მსხვილი კაპიტალდაბანდებები, ამავე წლებში მათ შეადგინეს რძის კომბინატი, ქუთაისის მინის ტარის ქარხანა და დარგის სხვა მნიშვნელოვანი საწარმოები.

კაპიტალისტურ მშენებლობათა ფართო მასშტაბებმა, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი ახალი სიმძლავრეების ამოქმედებამ და კვების მრეწველობის ნედლეულის ბაზის დაჩქარებულმა

განვითარებამ შესაძლებელი გახადა საქართველოში ფართოდ გამოიყენო მრავალფეროვანი კვების პროდუქტების მასობრივი წარმოება.

საქართველოს თანამედროვე კვების მრეწველობა, თავისი მასშტაბებითა და ხარისხობრივი მახასიათებლებით წარმოადგენს მაღალგანვითარებული დარგებისა და წარმოების რთულ კომპლექსს, რომელიც ძირითადად ემყარება ადგილობრივი მრავალფეროვანი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის ბაზას, ასევე არასასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეულის რესურსებს(თევზჭერა, მინერალური წყლების მოპოვება და სხვ) და კვების მრეწველობის სხვა დარგების გადამუშავების პროდუქტებს.

1960-1980 წლების პერიოდში სპეციალიზებული დარგების (ჩაის, მეღვინეობის, საკონსერვო თამბაქოსა და მინერალური წყლების წარმოება) პროდუქციის გამოშვების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად განვითარდა მომსახურების დარგებიც, რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივი მოსახლეობის, დამსვენებლების და ტურისტების მოთხოვნილებებს. მხედველობაში გვაქვს ისეთი დარგები, რომლებიც აწარმოებენ კვების უმნიშვნელოვანეს პროდუქტებს და მთავარ როლს ასრულებენ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში - ხორცის, რძის, თევზის და სხვა მრეწველობები.

ცალკეულ კერძო მესაკუთრეთა ხელში იყო თამბაქოს, ეთერზეთების, პურის საცხობი, საონდიტრო და სხვა კვების საწარმოები, ხილის წყლებისა და ლუდის წარმოება.

ფაბრიკის ტიპის რამდენიმე მსხვილი კაპიტალისტური საწარმოსა, წვრილი და უწვრილესი სარეწების შეხამება, ამ უაკანსკნელთა სიჭარბე, საქართველოს კვების მრეწველობის დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი განვითარების გასაბჭოებამდე პერიოდში.

1979 წელს საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა საექსპორტოდ გააგზავნეს 25 სახის პროდუქცია მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში:

- ✓ ყველა სოციალისტური ქვეყანა
- ✓ აშშ
- ✓ დანია
- ✓ ინგლისი
- ✓ საფრანგეთი
- ✓ კანადა
- ✓ გვინეა
- ✓ ფინეთი

საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების წლებში ჩამოყალიბდნენ და გაიზარდნენ ტექნიკური ინტელიგენციის მაღალი კვალიფიკაციის კადრები, საკვლევი და სასწავლო ინსტიტუტების სამეცნიერო ძალები; ინჟინრები და ნოვატორები წარმოებაში წყვეტენ ტექნიკური პროგრესის პრობლემებს და უზრუნველყოფენ დარგის დაჩქარებულ განვითარებას.

კვების მრეწველობის მრავალ საწარმოში შექმნილი იყო ლაბორატორიები, სადაც მიმდინარეობდა კვლევა წარმოების ეკონომიკური და ფიზიკურ-ქიმიური კონტროლის ტექნოლოგიური პროცესებისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ.

კვების მრეწველობის სპეციალისტებს უმაღლესი განათლებით ამზადებენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კათედრები: ქუთაისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

საბჭოურ პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გეგმების შედგენასა და მათ რეალიზაციას. გეგმა კარნახობდა საწარმოებს რა პროდუქცია ეწარმოებინათ.

80-იანი წლების შემდეგ დაიწყო ეკონომიკაზე ცენტრალიზებული კონტროლის შესუსტება და ყურადღება გამახვილდა ინდივიდუალური ინიციატივის გაფართოებაზე.

1985 წლიდან დაიწყო ე.წ. გარდაქმნის პერიოდი. წინა პლანზე წამოიწია საწარმოთა სამეურნეო ანგარიშობის პრინციპზე გადაყვანა. საწარმოები სახელმწიფოს მხრიდან დოტაციებს აღარ მიიღებდნენ და ისინი შესაბამისი ღონისძიებების გატარების შედეგად მომგებიანი უნდა გამხდარიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაკოტრდებოდნენ. ის არ ითვალისწინებდა ამა თუ იმ პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდებას, ამის გამო ხშირად ადგილი ჰქონდა პროდუქციის დეფიციტს[22].

კვების მრეწველობისათვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი ეტაპი რთული აღმოჩნდა. ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა გამოიწვია სასურსათო სფეროს კატასტროფული დაცემა.

ცხრილი 3.

კვების პროდუქტების წარმოება 1990-2002 წლებში

	დასახელება	1990	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	პური და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი, ათ. ტ	856	296	262	205	171	113,1	113,1	88,1	91,6
2	ფქვილი, ათ.ტ.	952	334	211	180	147,5	115,2	103,5	79,9	78,3
3	ბურღული ტ	6683	56,8	81,6	285	415	559	407	135	171
4	საკონდიტრო ნაწარმი ტ	59504	346	378	231	276	131	111,3	88,1	91,6
5	მაკარონის ნაწარმი ტ	2100	4327	546	296	816	465	270	293	505
6	შაქრის ფხვნილი ტ	33821	206	25806	19695	-	20000	35300	-	47900
7	მცენარეული ზეთი ტ	14336	10,1	422	739	548	454	144	51	76

8	არაყი და ლიქიორ- არყის ნაწარმი, ათ.დკლ	822	103	132	247	1127	473	439,4	529	135,9
9	კონიაკი, ათ.დკლ	2165	158	135	74	37,81	30,4	71,3	73	73,2
10	ღვინო ყურძნის, ათ.დკლ	16283	3670	2283	2458	2179	1859	1700	2000	1900
11	შამპანური, ათ.დკლ	1451	49,2	94,6	137	51,9	64,7	87,7	115,1	117,7
12	ლუდი, ათ.დკლ	9477	653	476	785	971,3	1254,6	2300	2600	2700
13	უალკოჰოლო სასმელები.ათ.დკლ	14405	598	1610	4026	2891	2192	2900	3500	3800
14	მინერალური წყლები, მლნ.ნახევ.ლ	224	9,4	36,1	66,4	58,2	52,3	72,3	79,7	119,2
15	ჩაი ნატურალური, ათ. ტ	126	4,2	3,7	5,6	4,2	4,1	3	3,8	3,1
16	ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, მლნ პირობითი ქილა	680	8,6	7,8	9	1,9	3,8	11,2	29,1	28,9
17	მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, ათ.ტ	250	4,4	4,1	5,4	6,4	7,6	4,2	4,8	5,5
18	ყველა ცხიმიანი, ტ	15941	445	277	142	46,8	94,1	63	28	32
19	კარაქი, ტ	923	22,9	15,3	877	263	1407	813	519	203
20	ძებვეულის ნაწარმი, ტ	27081	226	410	897	1188	1425	987	414	573
21	ხორცი ტ	76715	72,2	79,5	45,3	179	6	66	1,2	0,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999, თბილისი, 1999წ., გვ.166

საქართველოს მრეწველობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, 1999 წ., თბილისი, 2000წ., გვ.91

კვების პროდუქტების წარმოება 1990-2002 წლებში, რომელიც ნაჩვენებია მე-3 ცხრილში ნათლად ჩანს, რომ აღნიშნულ წლებში მკვეთრად

შემცირდა ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება. მაგალითად, პური და პურ-ფუნთუშეულის წარმოება 2002 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა 9,3-ჯერ. 1995 წელთან შედარებით 3,2-ჯერ; 1996 წელთან შედარებით 2,9-ჯერ, ხოლო 2001 წელთან შედარებით გაიზარდა 1,02-ჯერ. საკონდიტრო ნაწარმი 2002 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა 54-ჯერ, მაკარონისა - 42-ჯერ. მცენარეული ზეთის წარმოება 1998 წლიდან 2002 წლამდე შემცირდა 7,2-ჯერ.

შაქრის ფხვნილის წარმოება 1995 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა 164-ჯერ, 1996 წელს 1995 წელთან შედარებით 125-ჯერ გაიზარდა, თუმცა 1997 წელთან შედარებით 1,3-ჯერ შემცირდა, ხოლო 1999 წელს უკვე წარმოებულია 20 ათასი ტონა. 2002 წელს 1999 წელთან შედარებით 2,4-ჯერ გაიზარდა.

მკვეთრად შემცირდა მცენარეული ზეთის წარმოება, ყურძნის ღვინის წარმოება, რომელიც 1995 წელს შემცირდა 1990 წელთან შედარებით 4,4 - ჯერ. 1999 წლის მაჩვენებელი 8,8 - ჯერ ჩამორჩებოდა 1990 წლის მაჩვენებელს, 2001- 2002 წლებში თითქმის 1999 წლის დონეზე დარჩა.

არაყისა და ლიქიორ-არაყის ნაწარმის წარმოება 1995 წელს შემცირდა 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით 8-ჯერ, 199 წელს 1996 წელთან შედარებით 1,9-ჯერ გაიზარდა. 2002 წელს 2001 წელთან შედარებით შემცირდა 3,1-ჯერ.

შამპანურის წარმოება 1995 წელს 1990 წელთან შედარებით 29,5-ჯერ შემცირდა, ხოლო 1998 წელს 1990 წელთან შედარებით წარმოება შემცირდა 28-ჯერ. 2002 წელს შეინიშნება მატება და 1999 წელთან შედარებით მისი რიცხვი გაიზარდა -1,8-ჯერ.

ლუდის წარმოება 1995 წელს 1990 წელთან შედარებით 14,5-ჯერ შემცირდა, ხოლო 1999 წელს 1998 წელთან შედარებით 1,3 ჯერ გაიზარდა. 2002 წელს 1999წელთან შედარებით 2,1-ჯერ გაიზარდა.

უალკოჰოლო სასმელების წარმოება 1999 წელს 1990 წელთან შედარებით 6,5-ჯერ შემცირდა.

მეხვეულის ნაწარმი 1995 წელს 1990 წელთან შედარებით 119,8-ჯერ შემცირდა, ხოლო პირველი კატეგორიის ხორცის წარმოება 1995 წელს 1990 წელთან შედარებით 1062,5-ჯერ შემცირდა.

კვების მრეწველობის დაცემა 1990 წლების შემდგომ ეჭვს არ იწვევს. კვების მრეწველობის ზემოთ დასახელებული პროდუქციიდან 11 პროდუქციის ზრდას ადგილი აქვს 1995 წლიდან. კერძოდ, ბურღულის, არყისა და ლიქიორ-არყის, ჩაის, შაქრის ფხვნილის, მცენარეული ზეთის, მოუხდელი რძის პროდუქციის, კარაქის, შამპანურის, ლუდის და უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების.

კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობა ნატურალურ გამოსახულებაში დარგების მიხედვით 2001-2002 წლებში ასახავს იმას, რომ კვების პროდუქციის წარმოებიდან 2002 წელს 2001 წელთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპი მაღალია პურისა და პურ-ფუნთუშეულის, საკონდიტრო ნაწარმის, ბურღულის, შაქრის ფხვნილის, მაკარონის, მცენარეული ზეთის, შამპანურის, ლუდის, მინერალური წყლების, მოუხდელი რძის პროდუქციის, ცხიმიანი ყველის, ნაყინის, კარაქის, მეხვეულის წარმოებაში.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით კვების მრეწველობაში პროდუქციის მოცულობა 1995 წელს 1990 წელთან შედარებით 37,3-ჯერ შემცირდა, 1996 წელს 1995 წელთან შედარებით 1,7-ჯერ, 1997 წელს 1996 წელთან შედარებით 1,2-ჯერ გაიზრდა, 1998 წელს 1997 წელთან შედარებით კვლავ შემცირდა (1,3-ჯერ), 1999 წლიდან იწყება მატება და 2002 წელს 1990 წელთან შედარებით მხოლოდ 15,1-ჯერ არის შემცირებული.

კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან მრეწველობაში 1990 წელს შეადგენდა 37,4%, 1995 წელს - 23%, 1996 წელს - 29,9%, 1997წელს-29,8%, 1998 წელს 31,2%, 1999წელს-29,1%, 2000 წელს - 28,5%, 2001 წელს - 26, 8%, 2002 წელს - 25,2%.

საქართველოში კვების მრეწველობის დარგში ხდებოდა დიდი საწარმოების რესტრუქტურისა და მცირე ბიზნესის განვითარება, რამაც ხელი შეუწყო ახალი მცირე საწარმოების ამოქმედებას. ორივე ფაქტორმა განაპირობა საწარმოთა რიცხვის ზრდა. თუ 1990 წელს მრეწველობაში მოქმედებდა 1365 საწარმო, 2002 წელს შეადგინა - 2988 ერთეული.

90-იანი წლების შემდგომ პერიოდში, ცალკეული კვების პროდუქტების ფაქტობრივ მოხმარება ერთ სულზე გაანგარიშებით საქართველოში მეტისმეტად დაბალია, თუმცა ზოგიერთი მათგანის, მაგალითად, პურის, ზეთისა და საქრის ფაქტობრივი მოხმარება ჭარბობს საარსებო საშუალებების რეკომენდირებულ ფიზიოლოგიურ ნორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ჩაისა და პურის მომხმარებელია[23].

2003-2006 წლებში საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების რეკომენდირებული ფიზიოლოგიური ნორმებიდან მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხორცის, რძისა და თევზის პროდუქტების მოხმარება.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სჭირდება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კვების მრეწველობის განვითარება. კვების მრეწველობის დარგებში მნიშვნელოვანია გაიზაროდეს ინვესტიციების მოცულობა უცხოური, კერძო, სააქციო კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე.

დღეისათვის ინვესტირებისათვის პერსპექტიულია ღვინის წარმოება, რომელიც 2004 წლის მონაცემებით, პირველ ადგილზე კვების, როგორც ადგილობრივი მოხმარების, ასევე საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში.

ყოველივე ზემოთქმული განსაზღვრავს კვების მრეწველობის წარმოშობის და განვითარების ისტორიულ ექსკურსს.

2.2 საქართველოში კვების მრეწველობის ფუნქციონირებისათვის

სანედლეულო ბაზის დახასიათება

სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვების მრეწველობას, რომელიც ნედლეულს უშუალოდ სოფლის მეურნეობიდან ან შესაბამისი დამამზადებელი პუნქტებიდან იღებს, გადამამუშავებს მას სასურსათო პროდუქტებად და აღნიშნული პროდუქტებით მოსახლეობას ამარაგებს.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მრეწველობის უზრუნველყოფა ნედლეულითა და სათბობენერგეტიკული რესურსებით.

კვების მრეწველობის პროდუქციის ზრდასთან ერთად ყურადღება ექცევა მისი ხარისხის ამაღლებას, ასორტიმენტის გაფართოებას და კვების პროდუქტების საკვები და საგემოვნო თვისებების გაუმჯობესებას.

ყოველივე ეს მოითხოვს კვების მრეწველობის ნედლეულის ბაზის განუწყვეტლივ განვითარებას.

ნედლეულს მიეკუთვნებიან სოფლის მეურნეობის პროდუქცია(ჭარხალი, ხორბალი, კარტოფილი, ბოსტნეული), ხოლო დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციას (შაქარი, ფქვილი და სხვ).

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის უმეტესობა ადამიანისათვის საკვებად არ გამოდგება და მათი გადამამუშავება აუცილებელია, რადგან:

- ✓ ნედლეულს დაბალი გემოვნური თვისებები აქვს;
- ✓ ზოგიერთი ნედლეული ჯანმრთელობისთვის საშიშ პათოგენურ მიკროორგანიზმებს შეიცავს;
- ✓ ადამიანის ორგანიზმი ძნელად ითვისებს ან ვერ ითვისებს;
- ✓ წყლის დიდი შემცველობის გამო მისი კალორიულობა დაბალია;
- ✓ ზოგიერთი ნედლეული შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, რაც საშიშია ადამიანის ორგანიზმისათვის [24];

კვების მრეწველობაში ნედლეული მისი მიღების წესის მიხედვით იყოფა:

- ✓ სამრეწველო, რომელიც მიიღება მიწის წიალიდან (მარილი, მინერალური წყლები) ან მიღებულია სამრეწველო გადამუშავების გზით (ზეთი, ფქვილი და სხვ);
- ✓ სასოფლო-სამეურნეო, რომელიც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში იწარმოება; ის თავის მხრივ იყოფა მცენარეულად (შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, თამბაქო) და ცხოველურად (ტყავი, მატყლი);

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებას დადებითი მხარეებიც კერძოდ, გადამუშავებისას ნედლეულს მთლიანად სცილდება არასაწარმოო, არასაკვები ნაწილი და მიღებულ პროდუქტს ადამიანი მთლიანად იყენებს. გარდა ამისა, უმჯობესდება პროდუქტის გემო, ფერი, არომატი და იზრდება კალორიულობა, მიწიერობა, ხარისხი. ფართოვდება მზა პროდუქციის ასორტიმენტი, რადგან კვების მრეწველობაში ერთი და იმავე ნედლეულისაგან შეიძლება დამზადდეს მრავალი სახის პროდუქტი.

საქართველოს კვების მრეწველობის ძირითად სანედლეულო ბაზას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რომელიც ამარაგებს მას აუცილებელი ნედლეულით.

საქართველოს ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები კვების მრეწველობისათვის ქმნიან აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის - ჩაის, ყურძნის, თამბაქოს, ხილის, ციტრუსების, ეთერზეთოვანი მცენარეების, ბოსტნეულის, ტუნგოს და სხვა კულტურების უხვად წარმოების უზარმაზარ შესაძლებლობებს.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების დონე, მისი ხასიათი და განლაგება დიდ ზეგავლენას ახდენენ კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, მათ განლაგებაზე, ჯერ კიდევ ომამდელ ხუთწლეულებში ჩამოყალიბდა კვების მრეწველობის ნედლეულის ბაზა, რომელიც უზრუნვეყოფდა რესპუბლიკაში კვების პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობებს. მაგალითად, თუ 1921 წელს საქართველოში ხილ-კენკრის

ნარგავების საერთო ფართობი შეადგენდა მხოლოდ 30,8 ათას ჰექტარს, ვენახების ფართობი - 30,0 ათას ჰექტარს და ჩაის პლანტაციების ფართობი - 1,0 ათას ჰექტარს, უკვე 1940 წელს ამ კულტურებს ეჭირა შესაბამისად 84,2, 69,8 და 49,6 ათასი ჰექტარი ფართობი.

დამახიათებელია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები.

კვების მრეწველობის საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ორგანიზაციაზე. ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია მიმდინარეობდა დამზადების ორგანიზაციების მეშვეობით, რომელიც აწვდის მრეწველობას გადამამუშავებისათვის და სავაჭრო ქსელს მოსახლეობაზე სარეალიზაციოდ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება პირდაპირ კავშირშია მის წარმოებასთან. მისი დამზადების ფორმები და მეთოდები საქართველოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შესაბამისად იცვლებოდა.

სოფლის მეურნეობის წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი, როგორც წესი, ბარდება სახელმწიფოს დამზადების სისტემის მეშვეობით და მიდის სამრეწველო გადამამუშავებასა და სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ.

როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაჩვენებლები, ასევე მათი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ ის მაინც არ იყო საკმარისი კვების მრეწველობის ზოგიერთ საწარმოთა სიმძლავრეების დასატვირთად, რადგან მათი სიმძლავრეების ზრდა გაცილებით მაღალი ტემპებით მიმდინარეობდა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება და დამზადება, ხოლო 1991 წლიდან რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების მოცულობა მისი წარმოების შემცირებით არის გამოწვეული.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით სადილების მომზადებისას დიდია დანაკარგები და უვარგისი ნარჩენების რაოდენობა, მაშინ როცა

გადამუშავებული პროდუქტები მთლიანად გამოიყენება და სადილების მომზადებასაც მცირე დრო სჭირდება.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მზა პროდუქტად გარდაქმნის ტექნოლოგია სხვადასხვაა და პირველ რიგში დამოკიდებულია ნედლეულის სახეზე. საქართველოში დაახლოებით 2000 სახის სასოფლო-სამეურნეო ნედლეული მზადდება, რომელთა უმეტესობას კვების მრეწველობა ამუშავებს და რადგან გადამუშავების ტექნოლოგია სხვადასხვაა, ასევე განსხვავებული იქნება ნედლეულის დანაკარგების სახეებიც.

ნედლეული გადამუშავებისას განციდის როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, მზა პროდუქციის გამოსავალი რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე ადებული იყო ნედლეული.

ამა თუ იმ პროდუქტის წარმოების დროს წარმოქმნილი დანაკარგები და ნარჩენები საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. სამომხმარებლო ღირებულების მიხედვით დანაკარგები და ნარჩენები სამ ჯგუფად იყოფა:

- ✓ არამატერიალური აბსოლუტური დანაკარგები;
- ✓ შეფარდებითი დანაკარგები (ნარჩენები);
- ✓ თანმდევი პროდუქტები;

არამატერიალური აბსოლუტური დანაკარგები წარმოებას აღარ უბრუნდებიან და საბოლოოდ იკარებიან მომხმარებლისთვისაც. ნედლეულის მიღების დროს განისაზღვრება მისი წონა და ხარისხი, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის უმეტესობა წარმოებაში ჩაშვების შემდეგაც განარძობს სიცოცხლეს, რის შედეგადაც ნედლეული ხარჯავს გარკვეული რაოდენობის ნახშირწყლებს.

შეფარდებითი დანაკარგები წარმოიქმნება, როგორც ნედლეულის შენახვის, ისე მისი გადამუშავებისას. ნარჩენები ეწოდება ისეთ მასალას, რომელიც უვარგისია ძირითადი პროდუქტის საწარმოებლად, მაგრამ სხვა რომელიმე პროდუქტის შესაქმნელად ვარგისია. შეფარდებითი ეწოდება

ისეთ ნარჩენებს, რომლებიც შესაძლოა განმეორებით გამოვიყენოთ ძირითადი პროდუქტის მისაღებად.

კვების მრეწველობის რიგი პროდუქტების წარმოქმნას თან სდევს ე.წ. თანდემვი პროდუქტების გამოყოფა, რომლებიც წარმოებისათვის არ წარმოადგენენ ძირითად პროდუქტს, მაგრამ მთლიანად გამოიყენებიან სხვა დარგებში.

წარმოქმნის ადგილის მიხედვით ყველა ნარჩენი სამ ჯგუფად იყოფა: ნედლეულის ნარჩენები, წარმოების ნარჩენები და მოხმარების ნარჩენები.

ნედლეულის ნარჩენები ეწოდება ისეთ ნედლეულს, რომელიც უკვე მიიღო კვების მრეწველობის საწარმომ, მაგრამ წარმოებაში არ ჩაშვებულა. მაგალითად: შაქრის ჭარხალი, რომელიც გადამუშავებამდე თვეობით ინახება.

წარმოების ნარჩენები წამროიქმნება საწარმოო პროცესების გავლისას. ნარჩენების სახე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ტექნოლოგიური პროცესის დროს წარმოიქმნა ის.

მოხმარების ნარჩენები წარმოიქმნიებიან მოხმარების შედეგად. მას მიეკუთვნება ასევე კვების მრეწველობის მზა პროდუქციისა და საზოგადოებრივი კვებისმიერ გამოყენებული მზა პროდუქციის ნარჩენები (პური, საჭმლის და სხვა სახით).

აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით კვების მრეწველობის ყველა ნარჩენი შესაძლებელია სამ ჯგუფად დავყოთ: მყარი, თხევადი და აირობრივი.

მყარი ნარჩენები - კვების მრეწველობის უმეტესი ნარჩენები მყარ მდგომარეობაში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ გადამუშავებისას ნედლეული განიცდის როგორც ქიმიურ, ისე ფიზიკურ ცვლილებებს, ნარჩენების უმეტესობა ინარჩუნებს მყარ მდგომარეობას.

თხევადი ნარჩენები - კვების მრეწველობაში დიდი რაოდენობით გამოიყენება წყალი ნედლეულისა და ტარის გასარეცხად, ეთერზეთების გამოსახდელად. მასალის ან რომელიმე ქიმიური ნივთიერების ნაწილი

გადადის წყალში, მიჰყვება მას, მთლიანად გამოდის წარმოების სფეროდან და საბოლოო ჯამში ხვდება კანალიზაციის მილში.

აირობრივი ნარჩენები - ნახშიროჟანგის ნარჩენის სახით გამოყოფა, რომელიც უტილიზაციას არ განიცდის, ჰაერს შეერევა და იკარგება. ნახშიროჟანგი გაბატონებული აირობრივი ნარჩენია, რადგან მისი გამოყოფა დუღილის პროცესთან არის დაკავშირებული.

კვების მრეწველობა მრავალფეროვანი სისტემაა და გამოყენებული ნედლეულიც მრავალფეროვანია. კვების მრეწველობის ყველა პროდუქტი ოთხ ჯგუფად იყოფა:

- ✓ მზა პროდუქცია, რომლის შექმნაში მონაწილეობს ნედლეულის მშრალი ნივთიერების მთლიანი რაოდენობა;
- ✓ მზა პროდუქცია, რომლის შექმნაში მონაწილეობას იღებს მშრალი ნივთიერების განსაზღვრული კომპლექსი;
- ✓ მზა პროდუქცია, რომლის შექმნაში მონაწილეობს ნედლეულის მშრალი ნივთიერების ერთი რომელიმე ქიმიური ნაერთი;
- ✓ მზა პროდუქცია, რომლის შექმნისთვისაც საკმარისი არ არის ნედლეულში მშრალი ნივთიერების შემცველობა, რადგან ნორმალური პროდუქტის საწარმოებლად აუცილებელია დამატებითი მახასიათებელი, რომელსაც ნედლეულის ფიზიკური მდგომარეობა ეწოდება.

პირველ ჯგუფში შედის გემოვნებითი პროდუქტები, რომელთა კალორიანობა დაბალია და ენერგიის წარმოქმნის თვალსაზრისით ადამიანის კვების რაციონში დიდ ყურადღებას არ იმსახურებს. ასეთებია: ჩაი, ყავა, თამბაქო და სანელებლების უმრავლესობა. მიუხედავად დაბალი კალორიანობისა აღნიშნულ პროდუქტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ჯანმრთელობისათვის, რადგან ხელს უწყობენ ორგანიზმის მიერ მიღებული საკვების უფრო რთულად ათვისებას.

ამ პროდუქტების მიღებაში მონაწილეობას იღებს ნედლეულის მშრალი ნივთიერების მთლიანი რაოდენობა, თუმცა არამატერიალური დანაკარგები გამოორიცხული არ არის. ამ შემთხვევაში ნედლეულის ხარისხი დამოკიდებულია მშრალი ნივთიერების რაოდენობაზე ნედლეულში. რაც უფრო მაღალია მისი რაოდენობა, უფრო მაღალი იქნება მზა პროდუქციის გამოსავალი.

მეორე ჯგუფის პროდუქტების შექმნაში მონაწილეობას იღებს არა მთელი მშრალი ნივთიერება, რომელიც ნედლეულშია წარმოდგენილი, არამედ მისი ნაწილი, სწორედ იმ კომპლექსის რაოდენობა, რომლის პასუხისმგებელია აღნიშნული პროდუქტის წარმოქმნაზე[25].

მესამე ჯგუფის პროდუქტების თვისებები ყალიბდება ნედლეულის მშრალი ნივთიერების ერთი რომელიმე შემადგენელი ქიმიური ნივთიერებისაგან.

მეოთხე ჯგუფის პროდუქტებში გაერთიანებულია ისეთი პროდუქტები, რომელთა ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არ არის ნედლეულში შემავალი მშრალი ნივთიერებების რაოდენობა.

ნარჩენების რაოდენობაზე დიდ გავლენას ახდენს ნედლეულის ხარისხი. ნედლეულის ხარისხის ამაღლებით ნარჩენების რაოდენობა მცირდება და მზა პროდუქციის გამოსავალი იმატებს.

ნედლეულის ხარისხი სკამაოდ დიდი რეზერვია სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის, მაგრამ მას ნაკლები ყურადღება ექცევა. კვების მრეწველობას ხშირად აწვდიან დაბალი ხარისხის ნედლეულს, კვების მრეწველოს მუშაკები ხშირად ჩივიან, რომ პირველ რიგში აღნიშნული ნედლეულით მარაგდება სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები, შემდეგ ის ორგანიზაციები, რომლებიც განაგებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვას და ბოლოს რაც დარჩება მიეწოდება კვების მრეწველობის საწარმოებს.

1921-1990 წლებში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზა. ამ პერიოდში ხილ-კენკროვანი

ნარგავების ფართობი 30,8 ათ. ჰექტარიდან გაიზარდა 36,0 ათ. ჰექტარიდან 105,9 ათ. ჰექტარამდე, ხოლო ყურძნის სასაქონლო წარმოება 76,0-დან 690,9 ათ. ტონამდე, ამ პერიოდში საგრძნობლად განვითარდა მეჩაიეობა და მეციტრუსეობა. ჩაოს ნარგავების ფართობი გაიზარდა 1,0 ათ. ჰექტარიდან 67,3 ათ. ჰექტარამდე, ხოლო ჩაის ფოთლის წარმოება - 55,0 ტონიდან 501,6 ათ. ტონამდე. 1921 წლამდე საქართველოში ციტრუსებით დაკავებული ფართობი შეადგენდა სულ 200 ჰექტარს, 1990 წელს კი მისმა ფართობმა 27,3 ათ. ჰექტარს მიაღწია, ხოლო მისი პროდუქციის წარმოება 29,8 (1940 წ) - დან 225,4 ათ. ტონამდე გაიზარდა.

1916-1985 წლებში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა პირუტყვის სულადობა და ხორცის წარმოება, მაგრამ სამწუხაროდ შემდგომ წლებში რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების გამო საგრძნობლად შეიცვალა სურათი, დაიწყო როგორც პირუტყვის სულადობის, ისე ხორცისა და რძის წარმოების კლება. მაგალითად, თუ 1916 წელს რესპუბლიკაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შეადგენდა 1301 ათ. სულს, 1985 წელს მან მიაღწია 1645,5 ათ. სულს, ხოლო 1990 წლისათვის მათი რაოდენობა შემცირდა 1298,3 ათ. სულამდე. ამავე პერიოდში ღორების რაოდენობა შეადგენდა 377 ათ. სულს. 11173,9 ათ. სულს და 880,2 ათ. სულს; ცხვარისა და თხის - 1866 ათ. სულს, 1979,6 ათ. სულს და 1618, 1 ათ. სულს. ხორცის წარმოება (დაკლული წონით) შეადგენდა 1916 წელს - 49, 9 ათ. ტონას[26].

1940-1991 წლებში ძირითადი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე და მისი ზრდის დინამიკაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 4.

კვების მრეწველობის საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ორგანიზაციაზე. ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია მიმდინარეობდა დამზადების ორგანიზაციების მეშვეობით, რომელიც აწვდის მრეწველობას გადამამუშავებისათვის და

სავაჭრო ქსელს მოსახლეობაზე სარეალიზაციოდ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება პირდაპირ კავშირშია მის წარმოებასთან. მისი დამზადების ფორმები და მეთოდები საქართველოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შესაბამისად იცვლებოდა.

სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი, როგორც წესი, ბარდება სახელმწიფოს დამზადების სისტემის მეშვეობით და მიდის სამრეწველო გადამამუშავებასა და სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ. როგორც, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაჩვენებლები, ასევე მათი დამზადება გასულ წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ ის მაინც არ იყო საკმარისი კვების მრეწველობის ზოგიერთ საწარმოთა სიმძლავრეების დასატვირთად, რადგან მათი სიმძლავრეების ზრდა

ცხრილი 4.

ძირითადი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 1940-1981 წლებში (ყველა კატეგორიის მეურნეობაში)

მაჩვენებლები	საშუალოდ წელიწადში					
	1940წ	1966-1970წწ	1976-1980წწ	1981-1985წწ	1986-1990წწ	1991წ
სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია მლნ.მან	417,1	1750,8	2796,7	3155,7	2975,8	2782,6
მარცვლეული ათ. ტ	537,5	642,0	687,0	601	638,7	557,3
შაქრის ჭარხალი ათ.ტ	71,5	138,0	125,0	102,1	462	7,7
მზესუმზირა ათ.ტ	11,2	15,5	11,0	8,0	7,8	2,8
ხილი და კენკრა ათ.ტ	112,8	294,0	464,9	652,1	654,9	418,6
ბოსტნეული ათ.ტ	103,8	285,0	525,0	589	566,8	362,8
ციტრუსები	29,8	58,5	204,4	289,6	286,8	201,8
ჩაის ფოთოლი	51,3	231,0	431,0	555,1	521,6	451,0
ყურძენი	150,0	436,3	717,5	786,9	658,8	518,3
ხორცი (დაკულული წონით)	75,0	98,5	139,2	154,7	172,2	137,6

რბე	357,8	494,4	608,5	663,5	718,1	562,3
-----	-------	-------	-------	-------	-------	-------

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999, თბილისი 1999.

გაცილებით მაღალი ტემპებით მიმდინარეობდა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება და დამზადება, ხოლო 1991 წლიდან რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების მოცულობა მკვეთრად შემცირდა, რაც ძირითადად მისი წარმოების შემცირებით არის გამოწვეული (ცხრილი 4).

სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდ ზიანს აყენებდა ზემდგომ ორგანოთა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური განკარგულებანი. მათი უხეში ჩარევები, რის გამოც ფაქტიურად არც ერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო არ იყო დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში.

ხშირად იცვლებოდა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმები და მეთოდები. გლეხმა დაკარგა რწმენა შრომის შედეგებისადმი.

1987 წლიდან რესპუბლიკის კვების მრეწველობაში აღარ აღირიცხება ნარჩენებისა და მეორადი რესურსების გამოყენებით მიღებული პროდუქციის ოდენობა. გამონაკლის წარმოადგენს ზოგიერთი ქვედარგი, სადაც ეს აღრიცხვა საკუთარი ინიციატივით კეთდება.

მთელ რიგ დარგებში ჯერ კდევ არ არის დადგენილი ნარჩენებიდან ნედლეულის გამოსავლიანობის ნორმატივები, ხშირად ნარჩენების რეალიზაცია ატარებს სტიქიურ ხასიათს და სხვ.

პერსპექტივაში კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად, გაიზრდება მეორადი რესურსების რაოდენობაც, ამიტომ აუცილებელია მათი ადგილზე გადამუშავების მიზნით საწარმოთა ტექნიკური უზრუნველყოფა.

კვების მრეწველობის ნარჩენებისა და მეორადი რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილი იქნება დამუშავდეს კვების მრეწველობის თითოეული ქვედარგის მიხედვით მეორადი ნედლეულის გადამუშავებისა და მის ბაზაზე პროდუქციის გამოშვების

მიზნობრივ-კომპლექსურ პროგრამები, რომლებშიც პირველ რიგში უმდა გათვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- ✓ საწარმოებში გაფართოვდეს მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გათვალისწინებით, კვების მრეწველობაში გამოიყენონ მოწინავე ქვეყნებისა და რესპუბლიკების გამოცდილება;
- ✓ საწარმოები აღიჭურვოს მეორეადი რესურსების გადამუშავებისათვის საჭირო პროგრესული მანქანა-მოწყობილობებით, გაუმჯობესდეს ნედლეულის გადამუშავების დონე;
- ✓ საწარმოებში მოწესრიგდეს ყველა სახის მეორადი რესურსების კალკულირება, ნარჩენებისა და მზა პროდუქციის ფასწარმოქმნა;

საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა, მიწაზე კერძო საკუთრების აღიარება მისი სხვადასხვა მოდიფიკაციით: ფერმერული მეურნეობები, კოოპერატივები, მცირე საწარმოები და სხვ, საშუალებას მოგვცემს საგრძნობლად გაიზარდოს გლეხის დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების გადიდებაში.

სასურსათო ბალანსისა და კვების მრეწველობის სანედლეულო რესურსების სწორი ფორმირების მიზნით პრიორიტეტი უნდა მიეცეს ორ ძირითად მიმართულებას:

- ✓ ერთის მხრივ, საჭიროა სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში ამაღლდეს ტრადიციული და სასურსათო მნიშვნელობის დარგების ხვედრითი წილი, კერძოდ: მარცვული მეურნეობის, მებოსტნეობის, ბარისა და სამთო მეცხოველეობის;

- ✓ მეორეს მხრივ, საჭიროა რესპუბლიკაში კვლავ ინტენსიურად განვითარდეს ისეთი მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება, რომლებისთვისაც საქართველოში დიდი ხელშემწყობი ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები არსებობს, კერძოდ: ყურძნის, ჩაის, ხილისა და ციტრუსების წარმოება. ამ ნედლეულის გადამამუშავება ერთ-ერთი ძირითადი პირობა უნდა იყოს პროდუქციის გარანტირებული ექვივალენტური გაცვლები სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, საერთაშორისო საბაზრო სისტემაში ჩაბმა და თანასწორუფლებიანი მონაწილეობა.

ამ თვალსაზრისით თანდათან უნდა ამაღლდეს ისეთი დარგების განვითარება, როგორცაა: მეაბრეშუმეობა, მეთევზეობა, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საქართველოს სპეციფიკური და უნიკალური პირობები.

ამ პრიორიტეტული დარგების განვითარებასთან ერთად, რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით, შეთანწყობილი უნდა იქნას ტექნიკური კულტურების პროდუქციის წარმოება. კერძოდ: მზესუმზრის, შაქრის ჭარხლის, სოის, ეთერზეთებისა და თამბაქოს.

2.3. საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოო სიმბლავრები და მისი შემცირების მიზეზების კვლევა

საწარმოო პოტენციალი რთულ და მრავალწახნაგოვან ეკონომიკურ კატეგორიას წარმოადგენს.

საწარმოო პოტენციალი რთული სისტემაა, პოტენციალის თითოეული ელემენტი კი ასრულებს თავის განსაკუთრებულ, შეუცვლელ ფუნქციას, რაც გამოწვეულია მისი როლით წარმოებაში.

საწარმოო პოტენციალის შემადგენელი დარგობრივი შესაძლებლობების მიახლოებული შეფასების ერთ-ერთ რაოდენობრივ მაჩვენებელს

წარმოადგენს საწარმოო სიმძლავრე, რომელიც გაინგარიშება საწარმოს, გაერთიანებისა და მრეწველობის ცალკეული დარგებისათვის.

საწარმოო სიმძლავრე წარმოადგენს საწარმოო ობიექტის (საამქროს, უბნის, საწარმოს და სხვ) უნარს გამოუშვას განსაზღვრული ასორტიმენტის მაქსიმალურად შესაძლებელი პროდუქციის მოცულობა ან შეასრულოს განსაზღვრული სახის სამუშაო დროის გარკვეულ მონაკვეთში, წარმოებისა და შრომის ნორმალური ორგანიზაციის პირობებში.

საწარმოო სიმძლავრის მაჩვენებელი, როგორც ასეთი, სრულად ვერ ასახავს საწარმოო პოტენციალის ყველა პოტენციურ შესაძლებლობას, ვინაიდან ის ახასიათებს შრომის საშუალებების შესაძლებლობებს მათი სამუშაო ძალასთან დაბალანსების გარეშე.

საწარმოო სიმძლავრე არ განისაზღვრება მრეწველობის მართვის ყველა დონეზე და სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. ის არ გაინგარიშება მატერიალური წარმოებების ყველა სფეროსთვის.

კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეში არის ამა თუ იმ წარმოებაში წლის განმავლობაში სახელმწიფო გეგმით განსაზღვრული ნომენკლატურის პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით გამოშვების შესაძლებლობა, მუშაობის დადგენილი რეჟიმისა და წარმოების საშუალებათა რაციონალურად გამოყენების საფუძველზე.

საწარმოს სიმძლავრე შეიძლება გამოისახოს ფულადი მაჩვენებლებითაც, ის ყოველთვის ვერ ასახავს იმ რეალურ შესაძლებლობას, რომელიც კონკრეტულ პირობებში შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ საწარმოს წარმოების საშუალებათა გამოყენებისა და განსაკუთრებით საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდების გამოყენების მხრივ.

საწარმოო სიმძლავრეების სწორად გაანგარიშებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი წარმოებისათვის. საწარმოო სიმძლავრეების გაანგარიშება საჭიროა: საწარმოო პროგრამის დასაბუთებისა და საერთოდ, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შედგენისათვის, კაპიტალურ დანადგებათა მოცულობის გაანგარიშებისა და წარმოებისათვის. მომავალ

პერიოდში საჭირო რაოდენობისა და შესაფერისი ტექნიკური აღჭურვილობის შერჩევისათვის. საწარმოო სიმძლავრეების გაანგარიშება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ წარმოების ცალკეულ ქვედანაყოფებს შორის დისპროპორცია და ცალკეული ქვედანაყოფის საწარმოო დავალების მოცულობის შემცირება.

მრეწველობის ცალკეული დარგი ხასიათდება ძირითადი ფონდების გამოყენების თავისებურებებით, რომელიც ცალკეული საწარმოს მიხედვით შეიმჩნევა.

განვიხილოთ კვების მრეწველობის წამყვანი ქვედარგების მაგალითზე საწარმოო სიმძლავრეების გაანგარიშება.

ღვინის მრეწველობაში სპეციალიზაციის დონის მიხედვით და საწარმოო სტრუქტურის თავისებურებებით შემდეგი ტიპის საწარმოებია:

- ✓ პირველადი მეღვინეობის ქარხნები;
- ✓ ღვინის გადამამუშავებელი და ჩამომსხმელი ქარხნები;
- ✓ კონიაკის ქარხნები;
- ✓ შამპანური ღვინის ქარხნები[27].

საწარმოო სიმძლავრეების გაანგარიშების დროს მხედველობაშია მისათიბი ტარის ერთდროული ტევადობა, საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა. ძირითადი საწარმოო მოწყობილობის მწარმოებლურობა და მუშაობის რეჟიმი. მათგან, საწარმოო ტარის ერთდროულ ტევადობაში ყველა სახის სტაციონარული ტარაჭურჭელი და კასრები იგულისხმება.

პირველადი მეღვინეობის ქარხნის საწარმოო სიმძლავრე განისაზღვრება სეზონზე გადასამუშავებელი ყურძნის რაოდენობით-ტონებში, ღვინო-მასალების შენახვისათვის არსებული ტარაჭურჭლის ერთდროული ტევადობით და ყურძნის გადამამუშავებელი მანქანა-მოწყობილობის სიმძლავრეების მიხედვით.

წარმოების პროცესში შრომის საშუალებები გვევლინებიან, როგორც ძირითადი საწარმოო ფონდები, ხოლო შრომის საგნები კი როგორც საბრუნავი საწარმოო ფონდები. ძირითად საწარმოო ფონდებს

შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ნატურალურ-ნივთობრივი ფორმა. ისინი მონაწილეობენ წარმოების პროცესში და თავისი ღირებულება ნაწილ-ნაწილ გადააქვთ მზა პროდუქტებზე ცვეთის ღირებულების ოდენობით.

მატერიალური წარმოების პროცესი გულისხმობს სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის: შრომის საშუალებების, შრომის საგნებისა და ცოცხალი შრომის არსებობას, მათგან შრომის საშუალებები და შრომის საგნები წარმოადგენენ წარმოების პროცესის მატერიალურ საფუძველს. ცოცხალი შრომის მეშვეობით შრომის საშუალებები უერთდებიან შრომის საგნებს, რის საფუძველზეც მიმდინარეობს წარმოების პროცესი ახალი პროდუქტის შესაქმნელად.

საბრუნავი ფონდები საწარმოო ფონდების ის ნაწილია, რომლებიც წარმოების ციკლში მთლიანად მოიხმარებიან და თავისი ღირებულება მთლიანად გადააქვთ დამზადებულ პროდუქტზე. საბრუნავი ფონდები ახლადდამზადებული პროდუქტის მატერიალურ საფუძველს შეადგენენ. ისინი წარმოების პროცესში იცვლიან ნატურალურ-ნივთობრივ ფორმას, ან მთლიანად კარგავენ მას.

საბრუნავი საწარმოო ფონდები წარმოების სფეროში მყოფი შრომის საგნებია, რომლებიც აღირიცხებიან ნატურალურ მაჩვენებლებში და ფულადი გამოხატულებით. ისინი ფუნქციონირებენ ნატურალური და ღირებულებითი ფორმით საწარმოო მარაგების, დაუმთავრებელი წარმოებისა და მომავალი პერიოდების ხარჯების სახით.

საწარმოებს ძირითადი და საბრუნავი საწარმოო ფონდები ერიცხებათ საწესდებო ფონდის სახით და მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან მათ შენახვასა და გამოყენების ეფექტიანობაზე.

საბრუნავ საწარმოო ფონდებთან ერთად ფუნქციონირებენ მიმოქცევის ფონდები მწარმოებლის საწყობებში მზა პროდუქციის სახით, ასევე მომხმარებლისათვის გაგზავნილი საქონლის და ბანკის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ფორმით.

საბრუნავი საწარმოო ფონდებისა და მიმოქცევის ფონდების ერთობლიობა ფულადი გამოხატულებით ქმნის წარმოების საბრუნავ საშუალებებს.

საბრუნავი საშუალებები განუწყვეტელ მოძრაობაში არიან. ფულადი ფორმიდან ისინი გადადიან საწარმოო მარაგებში, შემდეგ დაუმთავრებელ წარმოებაში, წარმოების სფეროდან ისევ გადადიან მიმოქცევის სფეროში, როგორც მზა პროდუქცია, ხოლო მისი რეალიზაციის შემდეგ კვლავ იღებენ ფულად ფორმას.

საბრუნავი ფონდები მოიცავენ საგნებს, საწარმოში მათი შემოსვლის მომენტიდან მზა პროდუქციის გამოშვებამდე. მზა პროდუქცია, როგორც საწარმოო საქმიანობის შედეგი, წარმოების სფეროდან გამოსვლის შემდეგ საბრუნავ ფონდებს არ მიეკუთვნება.

მრეწველობის საბრუნავი ფონდები ორ ჯგუფად იყოფა: საწარმოო მარაგებად და დაუმთავრებელ წარმოებად. პირველი მათგანი მოიცავს ნედლეულს, ძირითად და დამხმარე მასალებს, სათბობს, ნაყიდ ნახევარფაბრიკატებს და სხვ.

მეორე - საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატებს და მომავალი პერიოდების ხარჯებს, დანახარჯებს გამოსაშვებ პროდუქციაზე. დაუმთავრებელი პროდუქციის ღირებულებაში შედის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, რომელიც ამ პროდუქციის გამოშვებაზე ირიცხება.

განვიხილოთ საბრუნავი ფონდების ცალკეული ჯგუფები თავისი ელემენტებით.

საწარმოო მარაგები:

- ✓ ნედლეული და ძირითადი მასალები - შრომის საგნებია, რომლებიც ქმნიან გამოსაშვებ პროდუქტის მატერიალურ-ნივთობრივ საფუძველს. ისინი უშუალოდ შედიან მზა პროდუქტში. ასეთებია: ფქვილი - პურსაცხობ საწარმოებში,

- კაკაო - საკონდიტრო წარმოებაში, შაქრის ჭარხალი - შაქრის ქარხნებში და სხვ.
- ✓ ნაყიდი ნახევარფაბრიკატები - შემოტანილია წარმოების გარედან და დამატებით დამუშავებას მოცემულ საწარმოში ექვემდებარებიან.
 - ✓ დამხმარე მასალები - ისეთი შრომის საგნებია, რომლებიც შედიან პროდუქციაში და ამლევენ მას აუცილებელ დამახასიათებელ თვისებებს/მარილი, არომატული ნივთიერებები, შაქარი და სხვ/ან ხელს უწყობენ პროდუქციის დამზადებას ან გამოიყენებიან ტექნიკის მოვლა-შენახვაზე და ქიმიური ანალიზების ჩატარებაზე.
 - ✓ სათბობი - დამხმარე მასალებს განეკუთვნება, მაგრამ გამოყოფილია ცალკე ჯგუფად სახალხო მეურნეობაში მისი დიდი მნიშვნელობის გამო.
 - ✓ ტარა - განკუთვნილია პროდუქციის შესაფუთად, მისი გაფუჭებისაგან ან დაზიანებისაგან დაცვის მიზნით, აგრეთვე პროდუქციის ესთეტიკური სახის მისაცემად. ტარას განეკუთვნება ქილები, კასრები, ყუთები, ტომრები და სხვ.
 - ✓ სათადარიგო ნაწილები - რემონტისათვის ფუნქციონირებენ დეტალებისა და კვანძების სახით. ისინი აუცილებელია ფონდების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის განხორციელებისათვის.
 - ✓ მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნებია - სამეურნეო ინვენტარი, ინსტრუმენტები და მოწყობილობანი საერთო და სპეციალური დანიშნულებით. ისინი გამოიყენებიან რამდენიმე საწარმოო ციკლში და აუცილებელნი არიან მოწყობილობის ტექნიკური ექსპლუატაციისათვის. სათადარიგო ნაწილები და მცირეფასიანი, სწრაფცვეთადი საგნების დიდი ნაწილი ეკონომიკური ბუნებით ძირითად

ფონდებს უნდა განვაკუთვნოთ, რამდენადაც მათი ღირებულება ნაწილობრივ ძირითად ფონდების ღირებულებასთან ერთად გადაიტანება მზა პროდუქტზე ცვეთის შესაბამისად. აღრიცხვის და ფინანსირების გამარტივების აუცილებლობამ და აღნიშნული საგნების და შრომის საშუალებების მცირეფასიანობამ განაპირობეს მათი მიკუთვნება საბრუნავი ფონდებისათვის.

- ✓ დაუმთავრებელ წარმოებას განეკუთვნებიან შრომის საგნები, რომლებიც წარმოების პროცესში ჩართული არიან და იმყოფებიან ტექნოლოგიური დამუშავების განსაზღვრულ სტადიაზე, ჯერ კიდევ არ მიუღიათ დამთავრებული პროდუქციის სახე და ექვემდებარებიან ზემდგომ დამუშავებას მოცემულ საწარმოში. ფონდების ამ ჯგუფში შედის საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები.
- ✓ კვების მრეწველობაში მომავალი პერიოდის ხარჯებს განეკუთვნება მრეწველობის მიმდინარეპერიოდის ყველა დანახარჯი, რომლებიც შეტანილი იქნებიან პროდუქციის თვითღირებულებაში შემდგომ პერიოდში. ასეთი დანახარჯებია პროდუქციის ახალი სახეების ათვისებაზე გაწეული დანახარჯები, სათავასოს არენდის ხარჯები და სხვ.

საბრუნავი ფონდების ცალკეულ ჯგუფებსა და ელემენტებს შორის თანაფარდობა მათ საერთო ღირებულებასთან, გამოხატული პროცენტებში საბრუნავი ფონდების სტრუქტურას წარმოადგენს.

ის კვების მრეწველოსი სხვადასხვა დარგში განსხვავდება ერთმანეთისაგან. დამმუშავებელ მრეწველობაში დიდი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი ნედლეული და ძირითადი მასალები, მომპოვებელ მრეწველობაში ყველაზე მეტი ხვედრითი წონა მოდის დამხმარე მასალებზე, სათადარიგო ნაწილებზე, ინსტრუმენტსა და სწრაფცვეთად ინვენტარზე.

საბრუნავი საშუალებები წარმოადგენენ წარმოების სფეროში ფუნქციონირებად საბრუნავი ფონდებისა და მიმოქცევის სფეროში ფუნქციონირებად მიმოქცევის ფონდების ერთობლიობას.

საბრუნავი საშუალებების ერთი ნაწილი იმყოფება უშუალოდ წარმოების სფეროში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგში, რომლის მოცულობა ნორმირებულია. საბრუნავი საშუალებების მეორე ნაწილი ემსახურება მიმოქცევის სფეროს. მათი სიდიდე არ ნორმირდება (გარდა საწყობში არსებული მზა პროდუქციისა), რადგან სწრაფად ხორციელდება საბრუნავი საშუალებების გადასვლა სასაქონლო ფორმიდან ფულადში. მიმოქცევის ფონდების შექმნის ძირითად წყაროს ბანკის კრედიტები წარმოადგენს [28].

საბრუნავი საშუალებები განუწყვეტელ მოძრაობაში იმყოფებიან. ისინი გეგმაზომიერ წრებრუნვას ასრულებენ.

საბრუნავი საშუალებების ცალკეულ ელემენტებს და ნაწილებს შორის თანაფარდობა გამოხატული პროცენტები მათს საერთო ჯამთან გვიჩვენებს საბრუნავი საშუალებების სტრუქტურას. ის კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგში არაერთგვაროვანია.

კვების მრეწველობისათვის დამახასიათებელია მიმოქცევის სფეროს მომსახურე საბრუნავი საშუალებების მუდმივი შემცირება და წარმოების სფეროში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხვედრითი წილის ზრდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იკლებს საწყობში მყოფი მზა პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც გამოწვეულია მომწოდებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის მტკიცე ურთიერთობით.

საბრუნავი საშუალებების სტრუქტურის სხვადასხვაობა კვების მრეწველობის დარგებში განპირობებულია მომარაგება-გასაღების ორგანიზაციის და წარმოების ტექნოლოგიის თავისებურებით, საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის განსხვავებით, წარმოების მასალტევადობით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პირობებით და რიგი სხვა ფაქტორებით.

ცხრილი 5.

საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა კვების მრეწველობაში (%)

საბრუნავი საშუალებები	კვების მრეწველობა	მათ შორის				
		შაქრის	საკონდიტრო	მელვინეობის	ლიქიორ არყის	ცხიმ- ზეთის
1	2	3	4	5	6	7
წარმოების სფეროები (საბრუნავი ფონდები)	83,6	49,5	84,9	96,6	86,7	77,6
საწარმოო მარაგები	59,4	43,8	62,0	22,0	66,1	76,3
ნედლეული და ძირითადი მასალები	46,8	28,4	71,5	15,8	35,8	63,8
დაუმთავრებელი წარმოება და მომავალი პერიოდის ხარჯები	24,2	5,7	2,9	74,6	23,6	1,3
მიმოქცევის სფეროები	16,2	50,5	15,1	3,4	13,3	22,4
მზა პროდუქცია	6,9	40	7,0	1,4	5,7	12,9
გაგზავნილი პროდუქცია	5,6	42,3	3,7	0,3	1,8	3,6
ფულადი სახსრები	3,9	4,2	4,4	1,7	5,8	5,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999, თბილისი, 1999 წ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიმოქცევის სფეროში საბრუნავი საშუალებები ყველაზე მეტი ხვედრითი წილითაა (50,5 %) შაქრის მრეწველობაში წარმოდგენილი. მისი ძირითადი წილი მოდის გზაში მყოფ პროდუქციაზე, რამდენადაც აღნიშნული დარგის პროდუქცია შეიძლება ინახებოდეს ხანგრძლივ პერიოდში და დაექვემდებაროს შორ მანძილზე გადაზიდვას. მეღვინეობაში საბრუნავი საშუალებების 96,6% იმყოფება წარმოების სფეროში, მისი ხვედრითი წილი 74,6%-მდე აღწევს. მიზეზი ძირითადად ისაა, რომ ამ დარგში საწარმოო პროცესი გრძელდება თვეების მანძილზე. მიმოქცევის სფეროში სახსრების მოცულობა წარმოების პროცესში დანახრჯებთან შედარებით უმნიშვნელოა და 3,4%-ს შეადგენს. [29] საბრუნავი საშუალებების სტრუქტურაში ყველაზე მეტი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი ნორმირებული საბრუნავი საშუალებები (88, 0%), დანარჩენი 12% მოდის არანორმირებულ საბრუნავ საშუალებებზე (იხ. ცხრილი 6). კვების მრეწველობის დარგებს შორის ნორმირებული საბრუნავი საშუალებების დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევიან თამბაქოს (94,2), ღვინის (92,7) მრეწველობები. ნორმირებული და არანორმირებული საბრუნავი საშუალებების ფორმირებისათვის გამოიყენა დაფინანსების სხვადასხვა წყარო, ამასთან დაკავშირებით ყველა საბრუნავი საშუალება იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ✓ საკუთარი საბრუნავი საშუალებანი და მათთან გათანაბრებული საშუალებები;
- ✓ ნასესხები საბრუნავი სახსრები (კრედიტის სახით).

მათგან წარმოების საკუთარი საბრუნავი საშუალებების ანგარიშზე ფორმირებიან საწარმოო მარაგები და მზა პროდუქციის ნაშთები საწყობებში.

საკუთარი საბრუნავი საშუალებები კვების მრეწველობაში შეადგენენ ყველა საბრუნავი საშუალების დაახლოებით 20%.

ცხრილი 6.

გემოკვების მრეწველობაში ნორმირებულ და არანორმირებულ საბრუნავ საშუალებათა თანაფარდობა (%)

კვების მრეწველობის დარგები	საბრუნავი საშუალებები					
	ნორმირებული საშუალებები	სულ	არანორმირებული საბრუნავი საშუალებები (მათ შორის)			
			ფულადი სახსრები	სახსრები ანგარიშებზე	გაგზავნილი საქონელი	სხვა საბრუნავი საშუალებანი
გემოკვების მრეწველობა სულ	88,0	12,0	3,2	1,1	7,6	0,1
შაქრის მრეწველობა	86,5	13,5	1,1	0,4	12,0	-
საკონდიტრო	83,1	16,9	3,3	1,0	12,2	0,4
ღვინის	92,7	7,3	2,7	0,5	4,1	-
სპირტისა და ლიქიორ-არყის	85,0	15,0	4,7	1,0	9,3	-
ცხიმ-ზეთის	80,1	19,9	5,1	1,1	13,4	0,3
თამბაქო	94,2	5,8	0,8	0,8	4,2	-

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999, თბილისი 1999.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების წყაროებია:

- ✓ მოგება;
- ✓ საწესდებო ფონდის ნაწილი;
- ✓ საკუთართან გათანაბრებული საშუალებები;
- ✓ ბანკის კრედიტი საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივის მატებაზე;
- ✓ წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები;

კვების მრეწველობაში შექმნის წყაროების მიხედვით საბრუნავ საშუალებებს გააჩნიათ განმასხვავებელი თავისებურება. ისინი ფორმირდებიან ძირითადი საბანკო კრედიტების ანგარიშით, რომლის წილი 89,0 პროცენტია. ეს ციფრი ორჯერ აღემატება მთელი მრეწველობის მასშტაბით ანალოგიურ მაჩვენებელს. საკუთარ და მათთან გათანაბრებულ საშუალებებზე კვების მრეწველობაში მოდის მხოლოდ 7,6 %, მაშინ როცა მრეწველობაში ის 35,5 %. ცხიმ-ზეთის მრეწველობაში კრედიტის წილი 65,7, მეღვინეობაში 54,6, თამბაქოს მრეწველობაში - 90,6, ხოლო სპორტისა და ლიქიორ-არყის მრეწველობაში - 71,0 პროცენტს შეადგენს. ასეთივე სურათია შაქრისა და მრეწველობის სეზონური წარმოების დარგებში.

კვების მრეწველობის დარგებში საბრუნავი საშუალებების ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყარო მოგებაა. მის ანგარიშზე შექმნილი საფინანსო რეზერვი გამოიყენება საკუთარი საბრუნავი საშუალებების გადიდებისათვის და მათი არასაკმარისობის შემთხვევაში - შეფასებისათვის.

საწესდებო ფონდი წარმოადგენს ექსპუატაციაში შესვლის მომენტში წარმოებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ძირითად და საბრუნავ საშუალებებს, ფულადი ფორმით გამოხატულს.

წარმოების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფისა და პროდუქციის რეალიზაციისათვის სამრეწველო საწარმოებს გამოეყოფათ საბრუნავი საშუალებანი. მათი მოცულობა განისაზღვრება საწარმოს მინიმალური მოთხოვნილებით ნედლეულის, მასალების, სათბობის, ტარის და სხვა მატერიალურ ფასეულობათა მარაგებზე, დაუმთავრებელ წარმოებაზე, მომავალი პერიოდების ხარჯებზე, მზა პროდუქციაზე დადგინდება საბრუნავი საშუალებების ნორმირების გზით.

საბრუნავი საშუალებების ნორმირება არის ფულად სახსრებზე მინიმალური მოთხოვნილების მეცნიერულად დასაბუთებული გაანგარიშება, რომელიც აუცილებელია საწარმოსათვის მისი ნორმალური

მუშაობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე [30].

სწორი ნორმირება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ქმნის პირობებს საბრუნავი საშუალებების მიზნობრივი და ეკონომიური გამოყენებისათვის, ხელს უწყობს წარმოებასა და მიმოქცევაში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგების შემცირებას, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დასახული პროგრამების წარმატებით განხორციელებას.

საბრუნავი საშუალებების ნორმირება ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- ✓ ნორმები ტექნიკურად და ეკონომიკურად უნდა იყოს დასაბუთებული;
- ✓ ნორმირებას წინ უნდა უძღოდეს საწარმოო, მომარაგება-გასაღების და ფინანსური საქმიანობის მაჩვენებელთა ეკონომიკური ანალიზი.
- ✓ ნორმირებას წინ უნდა უძღოდეს საწარმოო, მომარაგება-გასაღებისა და ფინანსური საქმიანობის მაჩვენებელთა ეკონომიკური ანალიზი;
- ✓ საკუთარი საბრუნავი საშუალებების მინიმალურმა მოცულობამ უნდა უზრუნველყოს საწარმოო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა და პროდუქციის დროული რეალიზაცია;
- ✓ ნორმირება ხორციელდება საბრუნავი საშუალებების ყოველი ელემენტის მიხედვით, როგორცაა:
საწარმოო მარაგები ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, ნაყიდი ნახევარფაბრიკატების, სათბობის, ტარის, რემონტისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნებისა;
- ✓ საკუთრივ დამზადებული დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები;
- ✓ მომავალი პერიოდების ხარჯები;

✓ მზა პროდუქცია;

ნორმირება ხორციელდება ეტაპობრივად:

დასაწყისში განსაზღვრავენ ნორმატივებს საბრუნავი საშუალებების ყოველი ელემენტის მიხედვით, შემდეგ ანგარიშობენ ერთიან ნორმატივს - წარმოების საერთო მოთხოვნილების საბრუნავ საშუალებებზე.

სატრანსპორტო მარაგი განისაზღვრება ნედლეულის, ძირითადი მასალების და ნაყიდი ნახევარფაბრიკატების გზაში ყოფნის დროით, ე.ი. დოკუმენტების განადგობის მომენტიდან მატერიალური ფასეულობების მომხმარებელთან მისვლამდე.

სატრანსპორტო მარაგის შექმნის აუცილებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მომხმარებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტების განადგობა ხდება მატერიალურ ფასეულობათა მიღებამდე.

მოსამზადებელი მარაგი - ეს არის დრო, რომელიც აუცილებელია ნედლეულისა და ძირითადი მასალების მიღების, ჩამოტვირთვის, დახარისხების, საწყობში მიტანის და ლაბორატორიული ანალიზისთვის. ის ქრონომეტრაჟის საფუძველზე განისაზღვრება, ან აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე დახარჯულ დროზე არსებული ტიპობრივი ნორმებით.

ტექნოლოგიური მარაგი - ეს არის დრო, რომელიც აუცილებელია ნედლეულის მოსამზადებლად წარმოებისათვის. ეს დრო შეიძლება იყოს ნედლეულის გარკვეულ ხანს დება, შერევა და სხვ. ტექნოლოგიურ მარაგზე დრო ყალიდება ცალკეული მოსამზადებელი ოპერაციების ხანგრძლივობის გაანგარიშების გზით.

მიმდინარე სასაწყობო მარაგი - ეს არის ნედლეულის მიწოდებათა შორის ინტერვალების ხანგრძლივობა, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებათა საფუძველზე. მიმდინარე მარაგი აუცილებელია წარმოების ნედლეულით და მასალით უწყვეტი უზრუნველყოფისათვის. ეს მარაგი აუცილებელია წარმოების მატერიალური ფასეულობებით უზრუნველყოფისათვის ორ მორიგ მიწოდებას შორის პერიოდში.

დაუმთავრებელი წარმოების ნორმირებას განეკუთვნება ყველა ნაწარმი, რომელსაც გავლილი აქვს მოცემულ საწარმოში დადგენილი ტექნოლოგიის შესაბამისი დამუშავება, მათ შორის, საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ის მასალები, რომლებიც იმყოფებიან წარმოების პროცესში გამოყენებისათვის მომზადების სტადიაში არ განეკუთვნებიან დაუმთავრებელ წარმოებას.

დაუმთავრებელ წარმოებაში დაბანდებულმა საბრუნავი საშუალებების ნორმატივმა უნდა უზრუნველყოს წარმოების პროცესის რიტმულობა და მზა პროდუქციის თანაბარზომიერი გადაცემა საწყობში. დაუმთავრებელი წარმოების სახით საბრუნავი საშუალებების ნორმატივი განისაზღვრება იმ დარგებში, სადაც დაუმთავრებელი პროდუქციის მიხედვით დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს „დაუმთავრებელი წარმოების“ ანგარიშზე.

საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა მოიცავს:

- ✓ უშუალოდ საწარმოო პროცესის დროს (ტექნოლოგიური მარაგი);
- ✓ დასამუშავებელი ნავთობის სხვადასხვა სამუშაო ადგილზე ყოფნის დროს. დასამუშავებელი ნავთობები სამუშაო ადგილს მიეწოდებიან დროის განსაზღვრულ შუალედში (სატრანსპორტო მარაგი დაუმთავრებელ წარმოებაში);
- ✓ დასამუშავებელი ნაკეთობის ცალკეული ოპერაციებისა და საამქროების შუალედში ყოფნისას. ის გამოწვეულია მოწყობილობების მუშაობის რიტმის განსხვავების და საწარმოო პროცესის მიმდინარეობისას სხვა განსხვავებათა გამო(საბრუნავი მარაგი);
- ✓ დასამუშავებელი ნაკეთობების მასობრივ წარმოებაში ყოფნის დროს-სადაზღვევო მარაგების სახით რომელიმე ოპერაციის შეფერხების შემთხვევაში (სადაზღვევო მარაგი)
- ✓ თუ დაუმთავრებელ წარმოებაში დასამუშავებელი პროდუქციის სახე რამდენიმე ერთეულია და საწარმოო

ციკლის ხანგრძლივობაც საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან, გაანგარიშებას ახდენენ ნაკეთობის ყოველი ჯგუფის მიხედვით. ციკლის საშუალო ხანგრძლივობა მთელი წარმოების მასშტაბით გამოითვლება გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაში ცალკეული ჯგუფის ხვედრითი წონის მიხედვით, როგორც საშუალო შეწონილი.

საბრუნავი საშუალებების თანმიმდევრობით და განუწყვეტელ გადასვლას წარმოების სფეროდან მიმოქცევის სფეროში ეწოდება საბრუნავი საშუალებების წრებრუნვა.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია საბრუნავი ფონდებისა და მიმოქცევის ფონდების თანაფარდობაზე. რაც მეტია წარმოების სფეროში დაკავებული საბრუნავი ფონდების ხვედრითი წილი, მით უფრო ეფექტიანად გამოიყენება საბრუნავი საშუალებები.

ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ასევე საბრუნავი საშუალებების მოძრაობაზე დახარჯული დრო წრებრუნვის ყველა სტადიის გავლით, ასევე საბრუნავი საშუალებების ხანგრძლივობა ყოველ ფაზაში.

წარმოებაში საწარმოო სიმძლავრეთა სწორად გაანგარიშებას და მათი გამოყენების მაღალ დონეს უდიდესი სახალხო - მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენება გადამწყვეტ საშუალებას წარმოადგენს სამრეწველო პროდუქციის წარმოების მატების სახელმწიფო დავალების შესრულებაში.

საწარმოო სიმძლავრეთა გაანგარიშება მჭიდროდაა დაკავშირებული პროდუქციის წარმოების გეგმის შედგენასთან, რადგან პროდუქციის წარმოებისა და გამოშვების პროგრამის შესრულება არსებითად დამოკიდებულია საწარმოო სიმძლავრეებზე.

სამრეწველო საწარმოებში ძირითადი საწარმოო ფონდები წარმოადგენს წარმოების განხორციელების მატერიალურ პირობას, რომელზე მისი ხასიათი და მასშტაბია დამოკიდებული.

წარმოებაში არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების შეერთება სამუშაო ძალასთან გვაძლევს აღნიშნული საწარმოს საწარმოო სიმძლავრეებს.

ამრიგად, საწარმოო სიმძლავრეთა ცნება დინამიკურია და ახასიათებს მოცემული საწარმოს მიერ წლის განმავლობაში პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით წარმოების შესაძლებლობას[31].

ისეთ სამრეწველო საწარმოებში, სადაც წლის განმავლობაში მოსალოდნელია საწარმოო სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი ცვლილება, არჩევენ სამი სახის დაგეგმვის დროს: სიმძლავრის საწყისს, საბოლოოსა და საშუალოს.

- ✓ საწყისს სიმძლავრეში იგულისხმება სამრეწველო საწარმოში საწარმოო სიმძლავრეთა სიდიდე საგეგმო პერიოდის დასაწყისისათვის.

ის განისაზღვრება იმ სიმძლავრით, რომელიც გააჩნია ექსპლუატაციაში მყოფ მანქანა-მოწყობილობებს საგეგმო პერიოდის დაწყების წინ, ასევე იმ ღონისძიებათა გათვალისწინებით, რომელთა გატარების შედეგად მოსალოდნელია სიმძლავრეთა შეცვლა ამ მომენტისათვის.

- ✓ საბოლოო სიმძლავრე ეწოდება ისეთ სიმძლავრეს, რომელიც ექნება ექსპლუატაციაში მყოფ მანქანა-მოწყობილობას საგეგმო პერიოდის დამთავრებისას. საწყისი სიმძლავრიდან საბოლოო სიმძლავრის სიდიდის გადახრა შეიძლება მოხდეს საგეგმო პერიოდში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მწყობრში შესვლით მოდერნიზაციის საფუძველზე.

✓ საშუალო სიმძლავრე გაიანგარიშება, როგორც საშუალო შეწონილი, საგეგმო წლის ცალკეული პერიოდების მიხედვით გაანგარიშებული სიმძლავრეებიდან. უნდა გავითვალისწინოთ ცალკეულ პერიოდში ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მწყობრში შესვლის ან არსებული მწყობრიდან გამოსვლის შედეგად მოსალოდნელი ცვლილებები.

ცალკეულ შემთხვევაში წარმოებაში საწარმოო სიმძლავრეებზე გავლენას ახდენს საწარმოს ტიპი, ძირითადი საწარმოო პროცესების ორგანიზაციის ფორმები და საწარმოს მუშაობის რეჟიმი.

საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურად გამოყენების საუკეთესო პირობებია მასობრივ წარმოებაში, სადაც წარმოების უწყვეტობის პროცესი ხელს უწყობს მანქანა-მოწყობილობის თანაბარზომიერ და უწყვეტ დატვირთვას. ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი ფონდების მუშაობის შეთანწყობა სარემონტო სისტემასთან შესაძლებელს ხდის პროდუქციის გამოშვების სისტემატურ გადიდებას სიმძლავრეთა ინტენსიურად დატვირთვის ხარჯზე.

საწარმოო სიმძლავრეთა რაციონალურად გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენს წარმოების ორგანიზაციული მეთოდები. ნაკადური წარმოების დროს მცირდება მანქანა-მოწყობილობის გაცდენები მათი თანაბარი დატვირთვისა და ცალკეული საწარმოო უბნების პროპორციული მუშაობის გამო.

საწარმოო სიმძლავრეთა ეფექტურად გამოყენების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ასევე წარმოადგენს წარმოების რიტმული მუშაობა. წარმოების რიტმული მუშაობის პირობებში მანქანა-მოწყობილობის მაღალი მწარმოებლობა მიიღწევა საწარმოო პროცესის დაჩქარებით[32].

საწარმოო სიმძლავრეთა გაანგარიშებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს წარმოების მუშაობის რეჟიმს. მანქანა-მოწყობილობის მუშაობის დრო

გაიანგარიშება წელიწადში სამუშაო დღეთა, დღე-ღამეში ცვლების რაოდენობისა და ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

სხვა მდგომარეობაა სეზონურ საწარმოებში და განსაკუთრებით მრეწველობის ისეთ დარგებში, რომლებიც სეზონის განმავლობაში ცალკეული პერიოდების მიხედვითაც არათანაბარი დატვირთვით მუშაობენ. ასეთ საწარმოებს მიეკუთვნება კვების მრეწველობის მთელი რიგი დარგები (ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის, კონსერვისა და სხვ).

აღნიშნულ საწარმოთა პროდუქციის წარმოების გეგმა ეყრდნობა რაიონის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე, აგროტექნიკის, მოსავლის აღების ორგანიზაციასა და სხვა ცვალებად ფაქტორებზე. ამ პირობით კომპლექსის ცვალებადი ხასიათი მეტისმეტად ძნელს ხდის ამ საწარმოებისათვის ნედლეულის სისტემატურად თანაბარი რაოდენობით მიწოდებას, ამიტომ ასეთ საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა გაანგარიშება ხდება ნედლეულის მიღების უთანაბრობის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

ღვინის მრეწველობაში თავისი ბუნებრივი თავისებურებით მიეკუთვნება წარმოების გრძელი ციკლისა და შედარებით მოკლე სამუშაო პერიოდის დარგთა რიცხვს. საწარმოო ციკლისა და სამუშაო პერიოდს შორის ასეთი დიდი სხვაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტურობაზე.

სამრეწველო საწარმოში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების მანქანა-მოწყობილობის რაციონალურ დატვირთვას და პროდუქციის წარმოების მოცულობის სისტემატურ გადიდებას.

2.4. საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების

ეკონომიკური პრობლემები და მათი ანალიზი

საქართველოს ხანგრძლივი ისტორიული არსებობა გვაძლევს საფუძველს, რომ უხსოვარი დროიდან ვიფიქროთ მისი ეკონომიკური მდგომარეობის წარუმატებლობაზე.

მსოფლიო ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეუძლებელია დასახელდეს რაიმე გლობალური მოვლენა, რომელსაც საქართველოს გარეშე ჩაევლოს. მაგალითად, ბერძნული მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის განვითარება, რომელთა დაპყრობითი ომები, მაკედონელის, ცეზარის, კიროსის მხედარმთმთავრობით წარმოებული ომები და ა.შ.

შუა საკუნეებისათვის საქართველომ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია. ამ პერიოდში პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად მაღალ საფეხურზე იყო საქართველოს ეკონომიკაც.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა. ამ დროისათვის ვაჭრობის განვითარებას შედეგად მოჰყვა შემოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ ხელს საგარეო ვაჭრობის ზრდას უწყობდა ხელს: რუსეთიდან და უცხოეთიდან მეწარმე კაპიტალისტთა მოზიდვას, ხოლო თვით ქვეყნის შიგნით ფულადი კაპიტალის დაგროვებას. საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში წვრილ ხელოსნურ და შინამრეწველური სარეწების გვერდით თანდათან ჩნდება მსხილი კაპიტალისტური მანუფაქტურები. ამავე დროს საფუძველი ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებასაც ჩაეყარა[33].

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით დაიწყო ფოთი - თბილისის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც დამთავრდა 1872 წელს. მან გააადვილა როგორც მგზავრობა, ასევე ტვირთბრუნვა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქო-ბათუმის რკინიგზის დასრულებას 1833 წელს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ფუნქციონირებდა მრეწველობის სხვადასხვა დარგები, რომლებშიც დასაქმებული იყო 7 ათას კაცამდე. ჩამოყალიბდა იმ დროისთვის მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები: ლითონდამუშავება, ქიმიური მრეწველობა, ქაღალდის წარმოება და სხვ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებით შემცირდა საქართველოს ვაჭრობა, რამაც ეკონომიკის დასუსტება გამოიწვია. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდშიც (1908-1921 წ.წ.)

საქართველოს ეკონომიკაში დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ, 1921-1928 წლებში მნიშვნელოვანი ძვრები არ მომხდარა[34].

მრეწველობაში კრიზისულმა მოვლენებმა ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იჩინა თავი. მისი უპირველესი მიზეზი 80-იანი წლების ბოლოსათვის ინფლაციური პროცესების განვითარება იყო.

1991 წელს რუსი მეცნიერის ს. რიმანის გათვლებით სსრკ-ს ტერიტორიაზე ნაღდი ფულის სიდიდე მიმოქცევაში 139 მლრდ. მანეთი იყო და გარდაქმნის პერიოდში (1986-1990წ.წ.) გაიზარდა 2-ჯერ, მაშინ როცა პროდუქციის და მომსახურების მოცულობა მხოლოდ 1,4-ჯერ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მოცულობა 238 მლრდ. მანეთს შეადგენდა და იგივე პერიოდში 4-ჯერ გაიზარდა.

1991 წლის იანვარში იძულებითმა დანაზოგმა 5,5 მლრდ. მანეთი შეადგინა უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში და მით უმეტეს იმერეთის რეგიონში 1985 წელს ყველა წინა წელთან შედარებით ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი ემისიის დონე იყო. მიუხედავად ამისა მომდევნო ხუთწლეულში სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტებმა მოსახლეობის შემოსავლების დონე 2,6 მლრდ. მანეთით დაგეგმა, ვიდრე ხარჯები. ასეთი მაჩვენებელი წინა ხუთ წელიწადში 773 მლრდ. მანეთით იყო [35].

აღნიშნული უარყოფითი მაჩვენებლის მატება თითქმის 3,5-ჯერ მეტი სიდიდით დაიგემა, ხოლო პრაქტიკულმა რეალიზაციამ გაცილებით მაღალი სიდიდე აჩვენა, რის გამოც შეიქმნა დისპროპორციები, როგორც სამომხმარებლო ბაზარზე, ასევე სამრეწველო საწარმოთა მომარაგების მხრივ. საწარმოებს გააჩნიათ საბრუნავი საშუალებები ფულის სახით, მაგრამ ვერ ხდებოდა მისი რეალიზაცია, ხარჯვა. ამიტომ ეს საწარმოები ვერ უზრუნველყოფდნენ უმეტესწილად ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობებს, ხოლო ზოგჯერ ძირითად მაპროფილებელი პროდუქციის წარმოებასაც კი, რომლის მოცულობაც ცენტრალიზებულად განისაზღვრებოდა და მისთვის ნედლეულისა და მასალების მიწოდებაც.

ემისიური პროცესების უარყოფითი გავლენის შესუსტებისათვის 1990 და 1991 წლებში, განხორციელდა ფულის რეფორმა, რომელიც უშუალოდ საქართველოსაც შეეხო, რადგან იგი ჯერ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ სამანეთო ზონაში იმყოფებოდა აღნიშნული რეფორმები ეხებოდა მხოლოდ ნაღდი ფულის ნიშნებს და ამიტომ მნიშვნელოვანი ცვლილებები სამრეწველო საწარმოთა ანგარიშებზე არსებული ფულადი მასისათვის არ მოუხდენია. შესაბამისად რჩებოდა ის ურყოფითი მოვლენები, რაც გამოწვეული იყო თანხის არსებობით და მისი სასაქონლო დაუბალანსებლობით.

გაცილებით რთული მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რამაც კიდევ უფრო გააუარესა სამრეწველო საწარმოთა მომარაგება – ნედლეულით და მასალებით. როგორც რუსეთიდან, ასევე ხარჯვის სხვა რესპუბლიკებიდან გარკვეული პრობლემები გაჩნდა წარმოებული პროდუქციის გასაღების მხრივაც. ამას ემატებოდა ნაღდი და ანგარიშებში არსებული ფულადი მასების სხვადასხვა მსყიდველუნარიანობაც. ამიტომ 1991 წლიდან საქართველოში და მათ შორის იმერეთის რეგიონში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მცირდებოდა. თუმცა ეს შემცირება არც ისე მასშტაბური იყო და თავისუფლად ჯდებოდა ჩვეულებრივი საწარმოო კრიზისების გამოწვეული

ვარდნის პარამეტრებში. საწარმოთა ფუნქციონირების ასეთ შესაძლებლობებს განაპირობებდა მარაგებს საკმაო სიდიდეები სამრეწველო საწარმოებში, როგორც მატერიალურ ფასეულობათა სახით, ისე ანგარიშზე ფულადი მასის სახითაც.

აღნიშნული პროცესები კიდევ უფრო გარღმავდა საკუთარი ფულადი ნიშნების - კუპონების შემოღებამ და ე.წ. ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებამ.

1993-1994 წლებში ასეთი ლიბერალური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას არავითარი ეკონომიკური გამართლება არ მოეძებნება. საწარმოთა ანგარიშზე რიცხული თანხები მანეთიდან ავტომატურად გადადიოდა კუპონებზე, ხოლო კუპონის შემოღებისათვის 1993 წლის აპრილში ორასი კუპონით შეიძლებოდა 1 აშშ დოლარის ყიდვა, ან 1 კუპონით 1 მანეთის შექმნა, 1994 წლის დასაწყისისათვის ინფლაციამ ისეთ მაღალ ტემპებს მიაღწია, რომ აშშ დოლარის შესაძენად საჭირო იყო 2 მილიონ 300 ათასი კუპონი, ხოლო 1 რუსული რუბლისათვის _ 4 ათასი კუპონი. კუპონის შემოღების შემდეგ, დროებით ფულად ერთეულად, მისმა ინფლაციამ, არსებობის ორი წლის მანძილზე არნახული დონეს მიაღწია და მისი ღირებულება 38-40 ათასჯერ დაეცა.

ინფლაციის ასეთი ტემპი გაუმართლებელი საკრედიტო პოლიტიკის გატარებით იყო განპირობებული. აღნიშნულით საწარმოთა საბრუნავი სახსრები გაუფასურდა. ისინი ფაქტიურად სახსრების გარეშე დარჩენ და მარაგების ამოწურვის შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტეს. მომდევნო პერიოდში მართალია მოხდა კუპონის ნაწილობრივი გამყარება და დღევანდელი მოქმედი ვალუტის - ლარის შემოღების პერიოდისათვის (1995 წლის ოქტომბერი) 1 აშშ დოლარის შესაბამისობა კუპონთან ტოლი იყო 1:1300 ათასისა, მაგრამ ასეთი თანაფრდობაც, რა თქმა უნდა მიმდინარე უარყოფით პროცესებს ვერ შეაჩერებდა. ამიტომ საქართველოს მთლიანად და იმერეთის რეგიონის მრეწველობა ჩავარდა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში, რომლის დაძლევა უკვე ძალიან რთული შეიქნა. ამას ადასტურებს ისიც,

რომ ევროკომისიის მრჩეველთა ჯგუფის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებში, საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ყველაზე სავალალო შეფასებას სწორედ მრეწველობა იმსახურებს. აღნიშნულმა მრჩეველთა ჯგუფმა თავიანთი ანგარიში 1994 წლის დეკემბრისათვის მოამზადეს. მასში ხაზგასმით აღნიშნულია: „საქართველოს მრეწველობის დაქვეითებამ, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის დაშლით და აგრეთვე თვით საქართველოში არსებული ეკონომიკური ხასიათის პრობლემებით, ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ამჟამად მრეწველობის აღდგენის შესახებ მსჯელობა მოკლე პერიოდის განმავლობაში, შეუძლებელია. საჭიროა თავის შეკავება იმ ცდუნებისაგან, რომ ტექნიკური დახმარება იქნება ეს თუ კაპიტალდაბანდების პროექტებისათვის მხარდაჭერა, მიმართული იქნას წინათ არსებული სამრეწველო პოტენციალის ფორმალურად აღსადგენად. საწარმოებს არა აქვთ სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ თვით მოძებნონ ახალი დამკვეთებიც და მომწოდებლებიც და არ დაეყრდნონ სახელმწიფო საგეგმო სისტემას [36].

როდესაც საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას დაადგა, ის გულისხმობდა მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლას.

თავისუფლებამ და კონკურენციამ, საკუთრების ფორმების მრავალსახეობამ და თანასწორუფლებიანობამ, ფართოდ მოიკიდა ფეხი სამეურნეო საქმიანობაში.

თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრაქტიკა ნათლად მიგვანიშნებს საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების დიდ შესაძლებლობებზე, ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივებზე. [37]

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში აუცილებელია დამოუკიდებელმა, განახლებულმა საქართველომ დაამყაროს ეკონომიკური ურთიერთობები როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს კვების მრეწველობა წარმოადგენს ქვეყნის სახალხო მეურნეობის და მათ შორის, მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს და მას მიეკუთვნება წამყვანი ადგილი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და საბიუჯეტო შემოსავლების გადიდების საქმეში.

კვების მრეწველობის ეკონომიკა შეისწავლის საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების კონკრეტულ გამოვლინებას კვების მრეწველობაში.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, რაც უმეტესწილად განპირობებულია უმუშევრობის დაბალი დონით, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებულებით, ფასებისა და ფინანსური სექტორის სტაბილურობით.

მაკროეკონომიკა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი იმ პოლიტიკისა, რომელიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

მსოფლიო ეკონომიკის გამოცდილება, მათ შორის ამჟამად გლობალური ფინანსური კრიზისი, იმის ნათელი მაჩვენებელია, რომ საბაზრო ეკონომიკა ხშირად განიცდის რყევებს, რომლის დროსაც ცალკეულ ინდივიდებს, საოჯახო მეურნეობებისა და ფირმებს პესიმიზმი იპყრობს და ისინი ამცირებენ საქონლისა და მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებსა და მათ წარმოებას.

ფირმები თავიანთ თანამშრომლებს სამუშაოდან ითხოვენ და უმუშევრობის დონე იზრდება, რომელიც განაპირობებს მშრომელთა შემოსავლების შემცირებას და იმატებს მოსახლეობის პესიმიზმი.

ფასი, როგორც საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულება, გამოიყენება საქონელში განივთებული სზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის ირიბ საზომად. ფასი მიგვანიშნებს, რომ განსაზვრული რაოდენობის საქონლის ღირებულების ექვივალენტურია.

ფასი საქონლის ღირებულებას მხოლოდ მაშინ შეესაბამება, როცა მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ემთხვევა და როცა ასე არ არის, ხდება ღირებულებიდან ფასების გადახრა.

სამრეწველო საწარმოები თავის პროდუქციას რეალიზაციას უკეთებენ საბითუმო ფასებით. პროდუქციის ეკონომიკური ბრუნვიდან დამოკიდებულებითა და წმინდა შემოსავლის ელემენტების ჩართვის მიხედვით, საბითუმო ფასები იყოფა წარმოების ფასებად და მრეწველობის ფასებად. [38]

სოციალისტურ სახელმწიფოში მოქმედი ფასების სისტემა, ბუნებრივია ვერ პასუხობს საბაზრო ურთიერთობების პრონციპებს, მეურნეობრიობის რადიკალური რეფორმის მოთხოვნებს. ამიტომ, აუცილებელია მისი გარდაქმნა, ფასწარმოქმნის ლიბერალიზაცია - თავისუფალი ფასების შემოღება.

ფასწარმოქმნის სოციალისტური პრინციპიდან განსხვავებით, როდესაც ფასების დადგენა მიმდინარეობდა სოციალიზმის ეკონომიკური კანონების შესაბამისად, გეგმიურად, ღირებულებიდან გადახრით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროდუქციის ფასწარმოქმნაში გადამწყვეტი როლი ეკისრება ღირებულების კანონს, რომელიც წარმოადგენს წარმოების საშუალებათა და შრომის განაწილების რეგულატორს.

ამასთან, რჩება ისეთი მოთხოვნები, როგორცაა საბითუმო ფასებში საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახრჯების ასახვა, მოთხოვნა-მიწოდების და სხვა ეკონომიკური კანონების დაცვა, საწარმოთა ეკონომიკური დაინტერესება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში და ა.შ.

ფასების მექანიზმმა უნდა დააჩქაროს კვების მრეწველობის პროდუქციის სანედლეულო რესურსების წარმოების მოცულობის გადიდება, რაც ორგანულად დაკავშირებულია წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან.

მიზანი იმისა, რომ თავისუფალი (საბაზრო) ფასების გამოყენებამ უზრუნველყოს კვების პროდუქტების წარმოების მოცულობის ზრდადი ხარისხის ამაღლება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც განვითარებულია კონკურენცია და არსებობს საკუთრების ნაირსახეობა, მოქმედებენ ბაზრის, თავისუფალი ფასწარმოქმნის კანონები, რომელთა შეცნობა და გათვალისწინება აუცილებელია. მართალია, ფასებს მეწარმეები ადგენენ, მაგრამ საჭიროა გარკვეული კონტროლი სახელმწიფოს მხრიდანაც. ფასწარმოქმნის საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების კანონი და პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა. გარდა იმ გამონაკლისისა, რომელსაც სახელმწიფო მიიჩნევს ზოგიერთი სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტების ფასებზე, რადგან თანამედროვე ეტაპზე, კვების ყველა სახის პროდუქტზე ფასის დაწესება რთულია, რადგან საქართველოს არ შეუძლია აწარმოოს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი კვების მრეწველობის პროდუქცია (ზოგიერთი სახის გარდა), ამიტომ აუცილებელია პარალელურად ერთდროულად მოქმედებდეს თავისუფალი და ფიქსირებული ფასები.

ყოველ შრომით კოლექტივში, კერძოა ის თუ სახელმწიფო დაქვემდებარების, დამზადებული პროდუქციის ფასის დონე აძლევს სტიმულს წარმოებას, ვინაიდან სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება განსაზღვრავს საწარმოს განვითარების პერსპექტივაში, ობიექტური ფასების გარეშე საფუძველი გამოეცლება გაფართოებულ კვლავწარმოებას[39].

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე დასაშვებად მიგვაჩნია, ზოგიერთი სტრატეგიული დანიშნულების კვების პროდუქტებზე ფიქსირებული ფასების არსებობა, რომელიც სახელმწიფოს რეგულირებით მიმდინარეობს.

აღნიშნული საშუალებას იძლევა პროდუქციის დეფიციტის პირობებში შეიკავოს ფასების განუსაზღვრელი ზრდა, ხოლო წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად, საბაზრო ეკონომიკის პეორე ეტაპზე, ფასწარმოქმნა გადადის მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო ურთიერთობის კანონის მოქმედების ფაზაში.

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მიმზიდველ სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

მაკროეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია ეკონომიკური აღწერა და ანალიზი. თანამედროვე მაკროეკონომიკის მეცნიერების პირველი ამოცანაა სწორედ წარმოების, დასაქმების, ფასების და სხვა მოვლენებისა და კატეგორიების აღწერა.

ბოლო წლებში, მთლიანი შიდა პროდუქტი ზრდის დადებითი ტენდენციით ხასიათდება. 2014 წლის წინასწარი მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 4,8% შეადგინა.


2015 წელს ზრდის დადებითი ტენდენციები კვლავ შენარჩუნებული იქნება.

2014 წელს, ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 3,1 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2014 წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი 2,0 პროცენტს გაუტოლდა.

ამასთან, მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე მომხდარი ცვლილებები. 2013 წელს უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 0,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 14,6 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება მრეწველობას, 2014 წლის ოთხი კვარტლის მონაცემებით მრეწველობის ბრუნვის მოცულობამ 8 637,4 მლნ. ლარი შეადგინა. 2013 წელს სექტორის ბრუნვის მოცულობა 8 041,3 მლნ. ლარს გაუტოლდა. 2014 წლის ოთხი კვარტლის მონაცემებით მრეწველობის გამოშვების მოცულობამ 7 633,1 მლნ. ლარი შეადგინა.


ნახაზი 1.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის ოთხი კვარტლის მონაცემებით მრეწველობის გამოშვების მოცულობამ 7 633,1 მლნ. ლარი შეადგინა (პირველი კვარტალი - 1 656,8 მლნ. ლარი, მეორე კვარტალი - 1 811,4 მლნ. ლარი, მესამე კვარტალი - 2 094,3 მლნ. ლარი, მეოთხე კვარტალი - 2 070,6 მლნ. ლარი). 2013 წელს მრეწველობაში პროდუქციის გამოშვებამ 7 299,2 მლნ. ლარს მიაღწია.

ნახაზი 2.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის პირველ კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობამ 104 671 კაცი შეადგინა, მეორე კვარტალში - 106 785 კაცი, მესამე კვარტალში - 108 740 კაცი, მეოთხე კვარტალში - 107 097 კაცი. 2013 წელს დასაქმებულთა რაოდენობა სულ 112 752 კაცს გაუტოლდა.

მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა შრომის ანაზღაურებამ 2014 წლის პირველ კვარტალში 767,5 ლარი შეადგინა, მეორე

კვარტალში - 827,7 ლარი, მესამე კვარტალში - 876,6 ლარი, ხოლო მეოთხე კვარტალში - 929,4 ლარი.

ნახაზი 3.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის ოთხ კვარტალში დამამუშავებელ მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭირავს საკვები პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოებას - 48,2 % (3 083,7 მლნ); [40]

რაც შეეხება კვების მრეწველობაში, კერძოდ საკვები პროდუქტების (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოებაში დასაქმებულთა საშუალო თვიურ შრომის ანაზღაურებას, ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ - მზრდადია და ყველაზე მაღალი შრომითი ანაზღაურება დაფიქსირებულია 2013 წელს - 634, 4 ლარი, ხოლო ყველაზე დაბალი - 2002 წელს - 242, 3 ლარი.

ცხრილი 7.

კვების მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2006-2013 წლებში (ლარი)

წელი	საკვები პროდუქტების (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება
2006	242,3

2007	314,4
2008	439,1
2009	414
2010	449,7
2011	473,7
2012	549,6
2013	634,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2015 წლის აპრილში 2014 წლის აპრილთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 2,5 პროცენტი შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ცხრილი 8.


ინფლაცია 2014-2015 წლებში

2014-2015 წლები																
	2014												2015			
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV
ყოველთვიური ინფლაცია	0,8	0,2	-0,1	0,3	-0,3	-0,9	-0,6	0,5	1,2	0,3	-0,1	0,7	0,2	0,1	1,2	0,3
წლიური ინფლაცია	2,9	3,5	3,5	3,4	2,4	2,0	2,8	3,4	4,8	3,4	2,8	2,0	1,4	1,3	2,6	2,5
საშუალო ინფლაცია	-	0,3	0,8	1,2	1,4	1,6	1,8	2,2	2,7	2,9	3,1	3,1	2,9	2,8	2,7	2,6
	0,1															

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ნახაზი 4.

დამამუშავებელი მრეწველობა 2014 წლის I-IV კვარტალი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- ✓ სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფი: ფასები გაიზარდა 2,7 პროცენტით. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ხილსა და ყურძენზე (29,2 პროცენტი);
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 6,4 პროცენტით;
- ✓ ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ჯგუფი: ფასებმა მოიმატა 11,0 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა ალკოჰოლურ სასმელებზე (11,6 პროცენტი), ასევე თამბაქოს ნაწარმზე (10,3 პროცენტი).

2015 წლის აპრილში საშუალო წლიური ინფლაციის დონემ 2,6 პროცენტი შეადგინა. 2014 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 3,1 პროცენტს გაუტოლდა.

2.5. საქართველოს კვების მრეწველობის მიკროეკონომიკური პრობლემების გამოვლენა

მიკროეკონომიკური კვლევა ემყარება საერთო მეთოდოლოგიურ საფუძვლებს .

მიკროეკონომიკა მაკროეკონომიკის, იგივე საერთო ეკონომიკური თეორიის შემდგომი დიფერენცირებაა კონკრეტული ობიექტის დონეზე. ამიტომ, ბუნებრივია მიღებული შედეგები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ეკონომიკის საერთო პრინციპებთან[41].

მრეწველობა იმერეთის რეგიონში ბოლო ათწლეულში ეკონომიკის სხვა დარგების მსგავსად მძიმე კრიზისულ მდგომარეობაშია.

სახეზეა წარმოების როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი დაცემა, საწარმოო სიმძლავრეებისა და პერსონალის დაუტვირთობა.

შრეწველობის განვითარების ერთ-ერთი მიკროეკონომიკური პრობლემა უშუალოდ საწარმოთა მართვის დონეზეა, რადგან მათი ამჟამინდელი მმართველობითი აპარატი, პერსონალი და სხვ. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

საქართველოს საწარმოებში ამჟამად შექმნილი გარკვეულწილად უნიკალური სიტუაცია სპეციფიკურ მიდგომებს მოითხოვს, რომლებიც გამიზნული იქნება უშუალოდ მიკროეკონომიკური სუბიექტების გააქტიურებისაკენ.

სამამულო მრეწველობის აღორძინება მხოლოდ კონკრეტული სამრეწველო ერთეულების (სამრეწველო საწარმოების) გამოცოცხლებას შეუძლია, რაც თავის მხრივ ამ უკანასკნელთა მართვის საფუძვლიანმა გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს.

საწარმოთა მართვის გაჯანსაღების უპირველეს ეტაპად დასახული იქნა რესტრუქტურირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მართვის დირექტიული მეთოდების ეკონომიკური მეთოდებით ჩანაცვლება, მუშაკთა შრომის მოტივაციის ამაღლება, საწარმოს მოქნილობის და ადაპტირების

მაღალი დონე, ნოყიერი ნიადაგის შექმნა მმართველობითი, ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციებისათვის[42].

აღსანიშნავია, რომ რესტრუქტურისაცია ქვეყნის ზოგიერთ საწარმოში უკვე დაიწყო, მაგრამ იგი ე.წ. „ჭარბი ქონების“ რეალიზაციის ან კონსერვაციის, ზოგჯერ კი მსხვილ საწარმოთა მექანიკური დანაწევრების ნიშნით მიმდინარეობს, რომელსაც თან ახლავს შინაგანი სტრუქტურული ცვლილებების მართვისა და ორგანიზაციულ სისტემებში, რის გარეშეც სტრუქტურული დანაწევრებას პოზიტიური შედეგები არ მოაქვს. აუცილებელია საზღვარგარეთ ამ სფეროში უკვე დაგროვილი შესაბამისი გამოცდილების ადაპტირება ჩვენს პირობებში, ცხადია საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინება.

უცხოური გამოცდილების შესწავლა კი ცხადყოფს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე დასავლეთ მრავალი კომპანიისათვის დამახასიათებელი იყო ფართომასშტაბიანი რეორგანიზაციები დეცენტრალიზაციის მიმართულებით, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. სტრუქტურული ქვედანაყოფები გადადიან თვითნაზღაურებადი საწარმოო ერთეულების - ე.წ. „მოგების ცენტრის“, ანუ „სტრატეგიული სამეურნეო ცენტრების“ - რანგში. ისინი ფუნქციონირებენ როგორც საკმაოდ დამოუკიდებელი და მოქნილი მცირე ფორმები;

2. უშუალოდ საწარმოო და სხვა ოპერაციების დონეზე იქმნება ჯგუფური და ბრიგადული სტრუქტურები. თითოეული ასეთ მცირერიცხოვან ჯგუფში (არაუმეტეს 15-20 კაცის შემადგენლობით) რეალურადაა შემცირებული მუშაკის გაუცხოების ხარისხი საკუთარი შრომის შედეგებთან და პროცესებთან.

3. ფართოდ გავრცელდა მოწყობილობათა განლაგების შესაბამისი ე.წ. „უჯრედული“ ფორმა, რაც გულისხმობს ტექნოლოგიურად დასრულებული ნაკეთობის (მზა ნაწარმი, კვანძი) წარმოებისათვის საჭირო ყველა მანქანა-მოწყობილობის და ნედლეულის, აგრეთვე ყველა მუშაკის ერთად

დაჯგუფებას, რითაც მუშაკთა თითოეული რგოლი მთლიანად პასუხისმგებელი ხდება კონკრეტული კვანძის ან ნაკეთობის დამზადებაზე;

4. ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიზნით გამოიყენება შიდასაფირმოო მეწარმეების ანუ ინტრაპრენერობის სხვადასხვა ფორმები. ცალკეულ თანამშრომელთა პოტენციალად ფასეული სამეცნიერო-ტექნიკური იდეების მომგებიან საქმიან პროექტებად რეალიზებისათვის იქმნება ვენჩურული ფონდების ქსელი[43].

ასეთი ტიპის რეორგანიზაციების შედეგია მსხვილი სამრეწველო კომპანიის აგება ავტონომიური ქვედანაყოფების დეცენტრალიზებული კონგლომერატის სახით, სადაც უზრუნველყოფილია საშუალო რგოლის მენეჯერთა მოტივირების მაღალი ხარისხი და შენარჩუნებულია მჭიდრო კონტრაქტები მენეჯერთა და უშუალო, შემსრულებლებს შორის.

მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად წარმოების დაბალი ტექნიკური დონე გვევლინება.

წარმოების ეფექტიანობა, როგორც კატეგორია, დამახასიათებელია ნებისმიერი ეკონომიკური ფორმაციისათვის, მაგრამ მისი სოციალური არსი პრინციპულად ცვალებადია წარმოების წესსა და წარმოებითი ურთიერთობის ხასიათზე დამოკიდებულებით.

წარმოების ეფექტური ეფექტიანობა - ეს არის წარმოების პროცესის შედეგიანობა, რომელიც ზოგადი სახით განისაზღვრება შედეგის/ეფექტის/ფარდობით მის მიღებაზე გაწეულ დანახარჯებთან.

წარმოების შედეგს წარმოადგენს აუცილებელი ასორტიმენტისა და შესაბამისი ხარისხის პროდუქციის რაოდენობა. წარმოების შედეგები ყველაზე სრულად წარმოდგენილია იმ დარგის ფარგლებს გარეთ მოხმარებულ პროდუქციაში, სადაც ის არის წარმოებული.

დანახარჯებს წარმოადგენს წარმოების პროცესის გამოყენებული მატერიალური და შრომითი ხარჯები. რაც მეტია შედეგი მის მისაღწევად გაწეულ ხარჯებთან, მით მეტია ეფექტიანობა[44].

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია შევამციროთ ხარჯები შედეგის ერთეულზე ან გავზარდოთ შედეგი დანახარჯების ერთეულზე.

წარმოების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოქმედი საწარმოების ტექნიკურ გადაიარაღებასა და რეკონსტრუქციაზე. ახალი საწარმოების მშენებლობაზე დახარჯული საშუალებების ეფექტიანობაზე, ასევე ახალი ტექნიკის დანერგვაზე.

ამიტომ, წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა. მისი მაჩვენებლებია:

- ✓ წმინდა პროდუქციის ნამატის ფარდობა მის გამომწვევ კაპიტალურ დაბანდებათთან;
- ✓ ხვედრითი კაპიტალური დაბანდებანი ახლადამოქმედებული საწარმოო სიმძლავრეების ერთეულზე.
- ✓ კაპიტალური დაბანდებების გამოსყიდვა განისაზღვრება კაპიტალურ დაბანდებათა ფარდობით მოგების თანხასთან, რომელიც მიიღება აღნიშნულ დაბანდებათა შედეგად[45].

კვების მრეწველობის დარგებში გამოიყენება სპეციფიკური ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეების, მასალების, ნედლეულის, სათბობის, ენერჯის და შრომითი რესურსების გამოყენებას. მაგალითად: შაქრის მრეწველობაში ნედლეულის და მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებია: შაქარ-ფხვნილის გამოსავლიანობა 1ტ. გადამუშავებული ჭარხლიდან ან მისი შებრუნებითი მაჩვენებელი-ჭარხლის ხარჯი 1 ტ შაქრის ფხვნილის პროდუქციაზე; ჭარხლიდან შაქარ-ფხვნილის ამოღების კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება შაქრის გამოსავლიანობის ფარდობით ჭარხალში მის შემცველობასთან; აგრეთვე გამოიყენება პირობითი სათბობის, ელექტროენერჯის, კირის, ფილტრის ქსოვილის და სხვათა ხარჯვის

მაჩვენებლები, პროცენტებში, გადამამუშავებელი ჭარხლის მასასთან ან დამზადებული 1 ტ. შაქრის ფხვნილზე გაანგარიშებით.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება უწყვეტი პროცესია. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შიგასაწარმოო რეზერვების გამოვლინებას და გამოყენებას.

წარმოების ეფექტიანობის რეზერვების გამოვლენისა და რეალიზაციის პერსპექტივები დამოკიდებულია სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების ხარისხსა და პირობებზე.

ნებისმიერი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სწრაფი რეალიზაცია.

კვების მრეწველობა სპეციფიკური დარგია, რომელიც წარმოების სეზონურობით გამოირჩევა. სეზონურობა წარმოშობს ისეთი ფაქტორების გავლენას წარმოების ეფექტიანობაზე, რომელიც არ არის დამახასიათებელი წლის განმავლობაში თანაბრად მომუშავე საწარმოებისათვის[46].

სეზონურ დარგებში წარმოების ეფექტიანობის ყველა მაჩვენებელზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სასარგებლო ნივთიერების შემცველობა ნედლეულში. მაგალითად, როგორცაა შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, პომიდორი და მარცვლეული კულტურები. აღნიშნულ პროდუქტებში სასარგებლო ნივთიერებები მერყეობენ მეტეოროლოგიური, აგროტექნიკური და სხვა პირობების ზემოქმედების შესაბამისად.

სეზონურ საწარმოებში ეფექტიანობის მაჩვენებელია ნედლეულის 1 ტონიდან მზა პროდუქციის გამოსავლიანობა, ნედლეულიდან სასარგებლო ნივთიერების ამოღების კოეფიციენტი და სხვ. საწარმოო სიმძლავრე უფრო ხშირად განისაზღვრება გადამამუშავებული ნედლეულის მოცულობით და არა მზა პროდუქციით. შრომითი დანახარჯები იანგარიშება როგორც მზა პროდუქციის, ისე გადამამუშავებული ნედლეულის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ კვების მრეწველობაში წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორებიდან დიდ მნიშვნელობას იძენს

ნედლეულის ურთიერთშემცვლელების ფართო მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობა.

საქმე ეხება ერთი და იმავე პროდუქციის გამოსაშვებად ნედლეულის სხვადასხვა სახის გამოყენების შესაძლებლობას. მაგალიტად, ცხიმ-ზეტების მრეწველობა ნედლეულის სახით იყენებს მზესუმზირას, ბამბის, სელის და კანაფის თესლს; სპირტის მრეწველობაშ ნედლეულად გამოიყენება მარცვლეული კულტურები, კარტოფილი, შაქრის წარმოების ნარჩენები მელასის სახით და სხვ. ამასთან, ნედლეულის სტრუქტურის არასტაბილურობა განაპირობებს ისეთი მაჩვენებლების ცვლილებას, როგორცაა თვითღირებულება, მოგება, წარმოების რენტაბელობა. მაგალითად, სახამებელ-ბადაგის წარმოებაში სიმინდის ხვედრითი წილის გადიდება იწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდას, თვითღირებულების შემცირებას, წარმოების რენტაბელობის ამაღლებას[47].

წარმოების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს მზა პროდუქციის გამომუშავებაზე შიგადარგობრივი მიკროსტრუქტურის ცვლილება, რაც დამახასიათებელია სეოზნურად მომუშავე რიგირ საწარმოებისათვის. აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ მაგალითს: ხილბოსტნეულის საკონსერვო მრეწველობაში მზადება ხილის და ბოსტნეულის კონსერვები, რომატპროდუქტები, ნატურალური წვენები. იმავე საწარმოებში იწარმოება ხორცის, რძის, თევზის კონსერვები, საკონდიტრო ნაწარმი. მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესი სრულიად განსხვავებულია.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში პირელხარისხოვანი როლი ენიჭება ფაქტორებს, რომელიც დაკავშირებულია შრომითი რესურსების და სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებასთან, საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებასთან. ამასთან, მასალტევადობის შემცირება, ეკონომიის რეჟიმის დაცვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება- ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვებია. ნედლეულის, მასალების და სათბობის ხვედრითი დანახრჯების შემცირება, პროდუქციის

ყველა სახის გამოსაყენებელი თვისებების გაუმჯობესება-პროდუქციის მასალტევადობის შემცირების უმნიშვნელოვანესი პირობაა[48].

მასალტევადობის შემცირების რეზერვები ყველა დარგშია და მისი გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს წარმოების ეფექტიანობას. აღნიშნული რეზერვების გამოყენების რეალიზაციის მიღწევა შესაძლებელია წარმოებაში დანაკარგების ლიკვიდაციით, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერჯის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების ხარჯვის ნორმირებისა და აღრიცხვის სისტემის სრულყოფით.

პროდუქციის მასალტევადობის შემცირების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება. კვების მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორცაა შაქრის, სპირტის, საკონსერვო, მეღვინეობის მრეწველობა, - მიიღება ნარჩენები, რომელთა შემდგომი გადამუშავება ქიმიური და ბიოქიმიური მეთოდებით იძლევა მრავალ ძვირფასს პროდუქტს.

საწარმოთა სტაგნაციის გავლენით არსებული მაღალმწარმოებლური მოწყობილობების უმეტესობა ჩამოიწერა და ჯართის სახით ექსპორტირებულ იქნა, ხოლო დარჩენილ მოწყობილობებს თითქმის არ ჩატარებიათ კაპიტალური რემონტი და მოდერნიზაცია.

საწარმოთა უმეტესობაში ძირითად მოწყობილობათა საშუალო ასაკი 20-25 წლიანი პერიოდით განისაზღვრება. ყოველივე ამის გამო ვერ ხერხდება მსხვილსერიული და მასიური წარმოების ორგანიზება, რამდენადაც დამზადებული პროდუქცია მაღალი თვითღირებულებისაა, ხოლო პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრები მნიშვნელოვნად ჩამორჩება შესაბამის უცხოურ ანალოგებს. ხარისხობრივი პარამეტრებით ქართული მრეწველობის პროდუქცია ვერ შეედრება არა მარტო ბელგიური, იტალიური, ფრანგულ და სხვა განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში წარმოებულ პროდუქციას, არამედ იგი შეუსაბამობაშია

პოსტსაბჭოურთა სივრცეში წარმოებულ პროდუქციის ხარისხობრივ პარამეტრებთანაც.

ამასთან ადგილობრივ მოსახლეობაშიც იმპორტირებული პროდუქციის ხვედრითი წილი, მოხმარების საერთო რაოდენობაში ძალიან მაღალია, ექსპორტების შეფასებით, დაახლოებით 60-70%-ი. წარმოების ტექნიკური დონის ჩამორჩენილობა სამრეწველო საწარმოებში ბუნებრივია იწვევს გამოყენებული ტექნოლოგიის ჩამორჩენასაც. ამასთან ნაკლებად ხორციელდება გამოშვებული პროდუქციის დიზაინური დამუშავება და საკუთარი სტილის შეთავაზება მომხმარებლისათვის[49].

სამრეწველო საწარმოები დღეისათვის უმეტესად დაკავებულნი არიან მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომლებშიც ტექნიკური დონის ამაღლებისადმი მიმართული ღონისძიებები გამოიხატება ინდივიდუალური მოხმარების თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით.

დაბალი ტექნიკური მახასიათებლებითაა წარმოდგენილი არა მარტო მუშა-მანქანები და მოწყობილობები, არამედ არსებული ძირითადი კაპიტალის მთელი სპექტრი: ძლიერი მანქანა-მოწყობილობები, გადამცემი მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები და ტრანსპორტიორები, საშრობი და სამღებრო დანადგარები.

ტექნიკური დონის ამაღლება დღეისათვის შეუძლებელია თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის-პერსონალური და ჯგუფური მოხმარების კომპიუტერების გარეშე. მისი გამოყენებით შესაძლებელია არა მარტო ეკონომიკური განგაარიშებების სწრაფი განხორციელება, არამედ ნაწარმის კონსტრუქციის ოპტიმალური ვარიანტების, ინდივიდუალური კომპლექსის შემადგენლების, საამწყობო ერთეულების სხვადასხვა კომბინაცია არსებული პირობების გათვალისწინებით, ტარისა და შეფუთვის ეკონომიკური ვარიანტის ამორჩევა და სხვა მრავალი.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებითაა შესაძლებელი თანამედროვე პროგრესული მართვის ჩარხების გამოყენებაც, რომელიც საშუალებას

ილბევა მიუხედავად ჩარხების მაღალი ღირებულებისა, მასზე დამზადდეს სხვადასხვა ნომენკლატურის პროდუქცია მცირე პარტიებად, დაბალი ხვედრითი დანახაჯებით.

ტექნიკური დონის ამაღლებისადმი მიმართული ღონისძიებები მაშინაა გამართლებული, თუ ისინი მოითხოვენ დანახარჯების უფრო მცირე სიდიდეს, ვიდრე ტრადიციული მეთოდები. ოპტიმალური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკური საკითხების გადაჭრას ისეთნაირად, რომ იგი შეესაბამებოდეს მსოფლიოს სტანდარტებს და მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის მონაცემები ტექნიკური ბაზის მხრივ უნდა უთანაბრდებოდეს მოწინავე ქვეყნების ტექნიკურ შესაძლებლობებს.

ამდენად, წარმოების ტექნიკურ დონის ამაღლების საფუძვლად გვევლინება კონკრეტულ შემთხვევაში დამუშავების კონკრეტული მეთოდის შერჩევა და მისი პრაქტიკულად მიღწევის ტექნიკურ შესაძლებლობები[50].

მიკროეკონომიკური პრობლემები განვიხილოთ კახეთის რეგიონის მაგალითზე.

კახეთის აგრარული პროფილიდან გამომდინარე, არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის წილი უმნიშვნელოა როგორც რეგიონში წარმოებული დამატებით ღირებულებაში, ისე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. რეგიონის მონო-აგრარული სპეციალიზაციის შედეგად ურბანიზაციის დონე კახეთში დაბალია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უახლოეს მომავალში კახეთის ეკონომიკის ფოკუსის გადატანა ინდუსტრიაზე არ მოხდება. სოფლის მეურნეობის წილი რეგიონის დამატებით ღირებულებაში 2011 წლის მდგომარეობით 24%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც მრეწველობის წილი მხოლოდ - 9% იყო.

კახეთი მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი და უნიკალური რეგიონია. აქ მდებარეობს მევენახეობის უნიკალური მიკროზონები, სადაც

ტრადიციულად იწარმოება წარმოშობის ადგილის დასახელებისა და სხვა მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოები.

დღეს საქართველოს ვენახების 65-70% კახეთშია კონცენტრირებული. ვენახის (33 582 ჰა) ფართობის მიხედვით კახეთი პირველ ადგილზეა, მას იმერეთი და შიდა ქართლი მოსდევს [51].

ქართული ღვინის ექსპორტი 2006 წლიდან 2009 წლამდე რუსეთის ემბარგოს მკვეთრად

შემცირდა, ხოლო შედარებით სტაბილური ზრდა მხოლოდ 2010 და 2011 წლებშია.

ქართული ღვინო ექსპორტზე ძირითადად ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში გადის. 2005-2012 წლებში ყველაზე მეტი გაიყიდა უკრაინაში, ყაზახეთსა და ბელორუსიაში, ყველაზე ნაკლები კი - ყირგიზეთში, თურქმენეთში, უზბეკეთსა და მოლდავეთში.

საქართველოდან ექსპორტზე გადის ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლური სასმელებიც, კერძოდ ბრენდის /კონიაკი/ და ჭაჭის არაყი. 2009-2012 წლებში ამ პროდუქციის ძირითადი ბაზარი 10 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა. აქ ქართულ ბრენდს და ჭაჭის არაყს სტაბილურად მზარდი ჯამური გაყიდვები აქვს, თუმცა გაყიდვების ზრდა მხოლოდ უკრაინაში, ბელორუსიასა და უზბეკეთშია, დანარჩენ ქვეყნებში კი ექსპორტს ფრაგმენტული, კლებადი და არასტაბილური ხასიათი აქვს.

ჩამოსასხმელი სახით ღვინომასალების ექსპორტში წამყვანი ადგილი ისევ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უკავია. ამ კატეგორიის პროდუქციის ექსპორტის ყველაზე დიდი წილი უკრაინაზე,

ბელორუსიაზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე მოდის. 2009-2012 წლებში ექსპორტი მზრდადი და სტაბილურია. ჩამოსასხმელი ღვინო ექსპორტზე მცირე რაოდენობით გადის ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და ლატვიაში. 2009 და 2010 წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა ჩამოსასხმელი ღვინო ექსპორტზე გავიდა მხოლოდ ჩინეთში, თუმცა 2011 წელს კი გაყიდვები შეწყდა [52].

ქართული ღვინის ექსპორტში ყველაზე მნიშვნელოვანი წილი ადგილწარმოშობის (ა/წ) დასახელების ღვინოებზე მოდის, რომლებიც განსაკუთრებული მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში იწარმოება და მომხმარებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. 2009-2012 წლებში ა/წ ღვინოების ექსპორტი მზარდია და 3,2 მლნ ბოთლიდან 6 მლნ ბოთლზე გაიზარდა. ა/წ ღვინოებს ქართული ღვინის მთლიან ექსპორტში სტაბილური წილი უკავიათ, რომელიც 27,4-29,5% შორის მერყეობს, ხოლო ა/წ ღვინოების მთლიან ექსპორტში კახეთში წარმოებულ ა/წ ღვინოებს 79-82% უკავიათ. კახეთში მრავალი საოჯახო ღვინის მარანია, რომელიც მცირე და საშუალო ზომის ღვინის წარმოებას წარმოადგენს. მარნების ნაწილი ტრადიციული არქიტექტურით არის აშენებული, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებია დამონტაჟებული, თუმცა საწარმოების უმრავლესობა მაინც კუსტარულია. საოჯახო მარნების მიერ წარმოებული ღვინის რეალიზაცია წელიწადში 40-160 ტონას შედგენს. რეალიზაციიდან მიღებული თანხა შინამეურნეობებისთვის საკმაოდ კარგი შემოსავლის წყაროა. მცირე მწარმოებლებს უჭირთ წარმოების გაფართოება, ღვინის ხარისხის უზრუნველყოფა და სარეალიზაციო ბაზრის ათვისება. თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა საოჯახო ღვინის მარნების განვითარებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს. საოჯახო მარნებს სერიოზულ კონკურენციას უწევენ ღვინის მსხვილი კორპორაციების მიერ დაარსებული საწარმოები. ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ზომის მეღვინეობის განვითარებას.

ექსპორტის პოტენციალის ზრდის და მცირე და საშუალო წარმოების განვითარებისთვის საჭიროა არა მარტო ბაზრის ათვისება, არამედ ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ქმედებები.

რაც შეეხება მარცვლეული კულტურების წარმოებას კახეთში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რასაც საფუძვლად მიწის ნაყოფიერება და მარცვლეული კულტურების მრავალფეროვნება უდევს.

ხორბლის ნათესი ფართობისა და წარმოების თვალსაზრისით კახეთი წამყვანი რეგიონია საქართველოში. სხვა რეგიონებთან შედარებით კახეთში ყველაზე მეტი ფართობი ხორბლის ნათესებს უკავია, თუმცა წლების მიხედვით მისი ფართობი თანდათან იკლებს. 2007 წელს კახეთში, ყველაზე მეტი, 62 ათასი ტონა ხორბალი აწარმოეს, 2009 და 2010 წლებში მოსავლის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, ხოლო 2012 წელს კვლავ გაიზარდა[53].

ცხრილი 9.

ხორბლის წარმოება რეგიონების მიხედვით, ათასი ტონა

რეგიონი/წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
საქართველო	69,7	74,9	80,3	53,9	48,4	96,8	80,7
შიდა ქართლი	8,5	4,7	11,3	19	11,1	23,8	8,5
კახეთი	42,7	62	52,7	22,2	23,6	47,1	53
ქვემო ქართლი	14,1	5,5	12,4	8,7	9,8	17,3	14,9
სხვა რეგიონები	4,4	2,7	3,9	4	3,9	8,6	4,3
კახეთის წილი, %	61,3	82,8	65,6	41,2	48,8	48,7	65,7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიუხედავად იმისა, რომ კახეთში, ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, ხორბლის ნათესი ფართობი მეტია, ძალიან დაბალია მისი საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა. კახეთის რეგიონში სათესლე ხორბლის წარმოების და სათესლე მეურნეობების საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუმცა ქვეყნის მასშტაბით სათესლე ხორბლის გამოყენების მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა რაოდენობით გამოიყენება რეგიონში სათესლე ხორბალი. კახეთში დარაიონებული და ფართოდ გავრცელებული ჯიშებია: უფხო 1, კოპერი, სპარტანკა და ა.შ.

კახეთში საშემოდგომო მარცვლეული კულტურებიდან მეორე ადგილზეა ქერის კულტურა, რადგან იგი ცხოველთა ძირითად საკვებად გამოიყენება. ადგილზე წარმოებულ ქერს ქართული ლუდის მრეწველობა არ იყენებს და მხოლოდ იმპორტირებულ ნედლეულზეა ორიენტირებული.

2006-2011 წლების შედარებისას ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ კახეთში მეტ-ნაკლებად სტაბილურია სიტუაცია ქერის ნათესების მხრივ, ხოლო სამცხე-ჯავახეთში გარკვეული კლება შეინიშნება, თუმცა

წარმოებული ქერის ოდენობით კახეთი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ რეგიონს. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე რეგიონი მეცხოველეობის უმსხვილესი მხარეებია, ქერის წარმოება აქ საკმაოდ პრიორიტეტულია და წარმოების გაზრდის დიდი პოტენციალიც არსებობს. დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ფერმერებს ქერი შედარებით დიდი რაოდენობით მოჰყავთ, კახეთის სხვა მუნიციპალიტეტების ფერმერები კი ქერის კულტურას საკუთარი პირუტყვის საკვებად აწარმოებენ[54].

ცხრილი 10.

ქერის წარმოება რეგიონების მიხედვით, ათასი ტონა

რეგიონი/ნელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
საქართველო	30,6	40,3	49,3	19,9	23,3	30,3	20,7
შიდა ქართლი	3	6,2	4,7	3,6	3,3	9,5	7,3
კახეთი	12,4	12	18,7	3	6,7	9,4	5,9
ქვემო ქართლი	4,4	2,2	0,6	1,3	0,4	0,8	2,9
სამცხე-ჯავახეთი	10,2	19,7	24,6	11,6	12,9	10,4	4,1
სხვა რეგიონები	0,6	0,2	0,7	0,4	0	0,2	0,5
კახეთის წილი, %	40,5	29,8	37,9	15,1	28,8	31,0	28,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სიმინდი უმნიშვნელოვანესი კულტურაა საქართველოში. 2006 წლიდან კახეთი სიმინდის ნათესი ფართობით მესამე ადგილზეა რეგიონებს შორის და მხოლოდ იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს ჩამორჩება.

რეგიონში სიმინდის კულტურას ძირითადად მეცხოველეობის სექტორში იყენებენ, უმნიშვნელოა ე.წ. თეთრი სიმინდის წარმოების მაჩვენებელი. სიმინდის ღერო კი ზამთარში ცხოველთა საკვებად გამოიყენება, მისგან სილოსს ამზადებენ. დარაიონებული და მაღალკონდიციური სათესლე მასალა მკვეთრად გაზრდის სიმინდის წარმოების მოცულობას და ფერმერთა შემოსავალს.

2010 წლიდან კახეთში სიმინდის წარმოება სახელმწიფოს მიერ იქნა სტიმულირებული. ქვეყანაში იმპორტით შემოვიდა სიმინდის ჰიბრიდული ჯიში კომპანია „პიონერი“-სგან. ეს სიმინდი ხელშეკრულებით და სათანადო პირობებით დაურიგდათ ადგილობრივ ფერმერებს. ლაგოდეხის

მუნიციპალიტეტში კი მოეწყო სიმინდის საშრობი საწარმო სრული ტექნოლოგიური ციკლით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა პროგრამამ ფერმერთა მოლოდინი ვერ გაამართლა, წარმოებული სიმინდი სპირტის რექტიფიკატის წარმოებისთვის გამოიყენეს. დღეს ყვარელსა და თელავში არსებული სპირტის მწარმოებელი ფირმები ადგილზე წარმოებულ სიმინდსა და მცირე რაოდენობით ხორბალს სწორედ ამ დანიშნულებით იყენებენ.

მზესუმზირა კახეთის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურაა, განსაკუთრებით დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებისთვის. ტრადიციულად, ამ კულტურის წარმოება მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო როგორც ფერმერული მეურნეობების, ასევე შინამეურნეობებისთვის. ბოლო 10 წლის განმავლობაში მზესუმზირის ნათესი ფართობები მკვეთრად შემცირდა და დღეს მას მხოლოდ მცირე ფართობი უკავია[55].

მზესუმზირის ნათესი ფართობი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. დაბალია საჰექტარო მოსავლიანობის მაჩვენებელი - 700-950 კგ/ჰა და წარმოებული პროდუქციაც. მზესუმზირის წარმოებას, ისე როგორც დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, შინამომხმარების ხასიათი აქვს, თანაც ორი დანიშნულებით: პირველი სათესლედ - კვლავწარმოებისთვის, ხოლო მეორე მზესუმზირის ზეთის წარმოებისთვის. კახეთის სოფლებში არსებულ „კუსტარულ“ ზეთსახდელებში მზესუმზირის ზეთი საკვები დანიშნულებით იწარმოება, ხოლო მისი ნარჩენისგან „კოპტონი“ მზადდება, რომელიც ცხოველებისა და ფრინველებისთვის მაღალკალორიული საკვებია.

ცხრილი 11.

მუნიციპალიტეტი	მზესუმზირის ნათესი ფართობები		
	სახნავი სულ, ჰა	მიწა მზესუმზირის ფართობი, ჰა	ნათესი მზესუმზირის წილი სახნავი მიწის სავარგულში, %
ახმეტა	16354	885	5,4
გურჯაანი	19288	205	1,1
დ/წყარო	50514	3306	6,5
თელავი	16327	243	1,5
ლაგოდეხი	24971	70	0,3
საგარეჯო	29575	865	2,9
სიღნაღი	22675	2169	9,6
ყვარელი	16534	52	0,3
სულ	196237	7795	4,0

წყარო: პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია კახეთის რეგიონში

2004-2005 წლებში კახეთში 35 ათას ჰექტარზე მეტი მზესუმზირა ითესებოდა, აქედან მზესუმზირის ნათესი ფართობის 45-50%, ანუ 17 ათასი ჰექტარი დედოფლისწყაროში იყო.

მცირემოსავლიანობის მიუხედავად, მზესუმზირის წარმოების მხრივ, დედოფლისწყარო მაინც წამყვანი ზონა იყო და არის.. იყო პერიოდი, როცა საქართველოში წარმოებული მზესუმზირის 80-85% კახეთზე, ძირითადად კი დედოფლისწყაროზე მოდიოდა.

მზესუმზირის წარმოებას დიდი პოტენციალი გააჩნია, რადგან ადგილობრივ ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება მცენარეულ ცხიმზე მოთხოვნა, რაც ძირითადად იმპორტის ხარჯზე კმაყოფილდება. დღეს მზესუმზირის წარმოების ძირითადი წილი 95-98% ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, დანარჩენი კი - 2-5% სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უკავიათ[56].

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაკეთებული იმპორტ-ექსპორტის 2010 წლის შედარებითი ანალიზით, მცენარეული ზეთი იმპორტით 51 ქვეყნიდან, ძირითადად კი უკრაინიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან შემოდის. 2007 წელს ქვეყანაში

იმპორტირებული ზეთი მთლიანი მოხმარების 96%-ს შეადგენდა, ხოლო ადგილობრივი წარმოების ზეთი კი - 4%-ს. მცენარეული ზეთის ადგილობრივი მწარმოებლები არიან: შ.პ.ს. ქარვა, შ.პ.ს. მამონტი, შ.პ.ს.

ბათოილი, შ.პ.ს. გეორგი და სხვები, აქედან ქართული ბრენდები მხოლოდ ქარვა და ოქროს კანდელია.

ცხრილიდან კარგად ჩანს იმპორტირებულ მცენარეულ ზეთსა და ადგილობრივ წარმოებას შორის არსებული მკვეთრი სხვაობა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის მაჩვენებელი 2007 წელს 1100 ტონას აღწევს, ამავე პერიოდში საკმაოდ დიდია იმპორტირებული მცენარეული ზეთის რაოდენობა 31 385 ტონა. დღეს მზესუმზირის ზეთის ადგილობრივი წარმოება ძალიან უმნიშვნელოა იმპორტირებულ ზეთთან შედარებით. ადგილობრივი მზესუმზირის ზეთი 1 ლიტრი 3-6 ლარი ღირს, რომელიც კუსტარულად მოწყობილ საწარმოებში იხდება. სამწუხაროდ, აქ გამოხდელი ზეთი იმპორტირებული სიმინდის ან სხვა კულტურიდან მიღებული ზეთის ფალსიფიცირებისთვის გამოიყენება, ანუ საქართველოში შემოტანილ უცხოურ მცენარეულ ზეთებს უმატებენ აქ წარმოებულ მზესუმზირის ზეთს და ადგილობრივ აგრარულ ბაზრებში იყიდება როგორც „მზესუმზირის ზეთი“.

კახეთის რეგიონში არსებობდა ძლიერი სათესლე და ჯიშთა გამოცდის მეურნეობები - ყოფილი მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ულიანოვკის საცდელი მეურნეობა, აგრეთვე წნორის, ბაკურციხის, თელავის ჯიშთა გამოცდისა და სათესლე მეურნეობები, რომლებიც ფერმერებს დარაიონებული და ელიტური სათესლე მასალით უზრუნველყოფდნენ, მაგრამ დღეს ამ ტიპის მეურნეობები აღარ არსებობს. კახეთის რეგიონი, რომელსაც იმ კატეგორიის მიწის რესურსები გააჩნია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მარცვლეული კულტურების მაღალ მოსავლიანობას და პროდუქციის უმაღლეს ხარისხს უზრუნველყოფს, დღეს სრულად არაა ჩართული ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფაში[57].

კარტოფილი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელსაც მოსახლეობის კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კარტოფილის მწარმოებელი წამყვანი რეგიონები სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლია. მართალია, კახეთში

მეკარტოფილეობას ძირითადად საოჯახო წარმოების ხასიათი აქვს, მაგრამ აქ არსებული ნაყოფიერი ნიადაგები და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები, რითაც განსაკუთრებით გამოირჩევა თუშეთი და გომბორის უღელტეხილზე მდებარე სოფლები, ამ კულტურის წარმოების საშუალებას იძლევა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მეკარტოფილეობის სექტორში ადგილობრივ კარტოფილის წარმოებას 42,6-89,5% უკავია სხვადასხვა წელს, 2006 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში დინამიკურად იზრდება, ხოლო იმპორტირებული კარტოფილის წილი კი მკვეთრად მცირდება და 2010 წელს 0,8%-ს იკავებს, თუმცა 2011 წელს 15,2%-მდე იზრდება.

საქსტატის მონაცემებით, ქვეყნის ბაზარზე კარტოფილის მოთხოვნას ნაწილობრივ აკმაყოფილებს ადგილობრივი წარმოება, ძირითადად სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი.

მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილის ადგილობრივ ბაზარზე ეს რეგიონები დომინირებენ, კახეთსაც აქვს გარკვეული პოტენციალი, განსაკუთრებით ბიო-კარტოფილის სეგმენტზე დამკვიდრებისა. დედოფლისწყაროს, თუშეთისა და გომბორის უღელტეხილზე მდებარე სახნავი მიწის სავარგულები დიდი პოტენციალის მქონე ზონებს წარმოადგენს არა მარტო კარტოფილის, არამედ სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ბიოპროდუქტების წარმოებისთვისაც.

კახეთში მრავალი სახეობის ხილი იწარმოება, აქ არსებული აგროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგები მეხილეობის განვითარების კარგ საფუძველს იძლევა. ამ მხრივ დიდი პოტენციალი აქვს გურჯაანის, ლაგოდეხის, ნაწილობრივ თელავის, სიღნაღისა და ყვარლის კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია მუნიციპალიტეტს. გურჯაანი ძირითადად ატმის მწარმოებელია, ლაგოდეხი კი - ხურმის, ქლიავის, ვაშლისა და სხვა სახეობის ხილის. შესანიშნავი სანედლეულო ბაზა აქვს საკონსერვო მრეწველობას, თუმცა იგი გაფართოებას და ბაზრის

მოთხოვნების შესაბამისად დივერსიფიცირებას საჭიროებს. თესლოვანი ხილის წარმოებაში კახეთს უმნიშვნელო ადგილი უკავია, ხოლო კურკოვანი ხილის წარმოებაში რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს - 9,6-38% (2006-2011 წლებში). კურკოვანი ხილის ძირითადი წილი მოდის ატმის კულტურაზე, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ატმის წარმოების მხრივ კახეთი წამყვანი რეგიონია საქართველოში, მისი წილი 39,6-76,8%-ს შორის მერყეობს. კახეთში ატმის მწარმოებელი ძირითადი ზონა გურჯაანია, შემდეგ მოდის თელავი, სიღნაღი და ყვარელი. ატმის წარმოება უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. რეგიონში თესლოვანი ხილის წარმოებას ნაკლები ყურადღება ექცევა, თუმცა ამ თვალსაზრისითაც კახეთს საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს. გარდა იმისა, რომ კახეთი კურკოვანი ხილის, განსაკუთრებით ატმის მწარმოებელი რეგიონია, აქ წლის სხვადასხვა სეზონზე მრავალი სახეობის ხილი მოდის, რომელიც საკონსერვო მრეწველობისთვის კარგ სანედლეულო ბაზას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსერვო მრეწველობას კახეთში ის სპეციფიკა ახასიათებს, რომ გვალვის ან სეტყვის გამო შესაძლოა ხილის სხვადასხვა სახეობის მოსავალი განადგურდეს, რაც საკონსერვო მრეწველობისთვის წყვეტას ნიშნავს, მაგრამ აქ არსებული ნიადაგები და აგროკლიმატური პირობები სანედლეულო ბაზის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა, რაც ამ რისკს შეამცირებს.

კახეთის სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობას ტრადიციულად წამყვანი ადგილი ეკავა. აქ არსებული სამოვრებისა და სათიბების დიდი მასივები და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები ამ დარგის განვითარებისთვის საუკეთესოა. მიუხედავად იმისა, რომ კახეთს მცირე წილი უკავია ქვეყნის მეცხოველეობის მთლიან სულადობაში, ამ დარგის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს და დედაქალაქთან მისი სიახლოვე რეგიონის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

კახეთ მეხუთე ადგილზეა იმერეთის, სამეგრელოს, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის შემდეგ და მისი წილი 9 % შეადგენს.

კახეთის მეცხოველეობის სექტორში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, მათი სულადობა 2012 წლის მონაცემებით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

კახეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებს შორის კი ყველაზე მცირე სულადობა ჰყავს თელავს - 8.6 ათასი სული, ხოლო ყველაზე მეტი საგარეჯოს 24.6 ათასი სული, მას მოსდევს ლაგოდეხი, დ/წყარო, სიღნაღი და ყვარელი.

კახეთში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მაღალია, განსაკუთრებით შინამეურნეობებში, სადაც ეს მაჩვენებელი 99,3-99,8%-ს შორის მერყეობს, დანარჩენი წილი კი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უკავიათ.

კახეთის თითოეულ მუნიციპალიტეტს გააჩნია პირუტყვის გადასარეკი ტრასები, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ზამთრის და ზაფხულის საძოვრებს როგორც რეგიონის შიგნით, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებთან. გადასარეკი ტრასები შემდეგი ინდიკატორებით იზომება: ტრასის, ცხოველთა სადგომების, ტრასის ფართობის (ჰექტრებში), ტრასის სიგრძის (კილომეტრებში) მიხედვით. სამწუხაროდ, ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე არსებული განუკითხაობა მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს როგორ ფერმერებს, ისე სახელმწიფოს. კერძოდ, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების გავრცელება რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით, არაკეთილსაიმედო ეპიზოოტიური გარემო და რეგიონის მეცხოველეობის დარგში რისკების ზრდის ტენდენცია.

კახეთი საქონლის ხორცის წარმოების მხრივ მეოთხე ადგილზეა იმერეთის, სამეგრელოს, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის შემდეგ. 2006-2011 წლებში ხორცის წარმოება კახეთის რეგიონში იკლებს 2010 წლამდე, 2011 წელს კი ზრდაა. ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ცვლილება სახელმწიფო აღრიცხვიანობის მოწესრიგებითაა განპირობებული. [56]

ხორცს რეგიონში აწარმოებენ ოფიციალურად მოქმედი ცხოველთა სასაკლაოები, რომელთაც შესაბამისი ნებართვა გააჩნიათ. თელავში, სოფელ ყარაჯალას სასაკლაო, რომელიც USAID პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, სეზონურობის გათვალისწინებით დღეში 2-4 ტონა, ხოლო თვეში 60-120 ტონა საქონლის ხორცს უწევდა რეალიზებას. აქ მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზი და სამაცივრე კამერა. ასევე აღსანიშნავია ლაგოდების, ველისციხის, იორმულანლოსა და ვარდისუბნის სასაკლაოები, ასევე ბაკურციხე-თბილისის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე ხორცის სარეალიზაციო პუნქტები, სადაც იკვლება პირუტყვი და ხორცის რეალიზება ამ უბნებიდანვე ხდება. რეგიონში მოქმედ სხვა სასაკლაოებზე არსებული სიტუაცია უკიდურესად მძიმეა: სრულად არის დარღვეული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; მოუწყობელია საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემები; ხორცის შესანახად არ არის მოწყობილი სამაცივრე კამერები; ადგილზე არ მუშაობს ლაბორატორიული შემოწმების პუნქტები; სასაკლაოები არ არის იზოლირებული ბაზრობების ტერიტორიიდან; მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოების არარსებობა და სურსათის უვნებლობის სამსახურის უუნარობა პროდუქციის ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით. რძის წარმოების თვალსაზრისით კახეთს მცირე წილი უკავია, ვიდრე იმერეთს ან ქვემო ქართლს ან დანარჩენ რეგიონებს, მაგრამ კახეთის მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა და შესაბამისად, წარმოების გაზრდის პოტენციალიც გააჩნია. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში კარგად ჩანს კახეთის წილი ქვეყნის სხვა რეგიონებს შორის[58].

კახეთის წილი ქვეყნის რძის საერთო წარმოებაში 6,1-6,8% ფარგლებში მერყეობს, თუმცა მას ზრდის პოტენციალი გააჩნია. რძეზე სტაბილური მოთხოვნა მზარდია და რეალურად ადგილობრივ ბაზარზე ნატურალურ რძეზე დეფიციტია, ეს კი ხელსაყრელ ბიზნეს გარემოში მერძეული მესაქონლეობის განვითარების ერთგვარი წინაპირობაა.

ადგილობრივი ფერმერი, რომელსაც 3-6 ან მეტი სული ძროხა ჰყავს, თავად აწარმოებს სულგუნს ან სხვა სახეობის ყველს და უფრო მეტ მოგებას იღებს.

კახეთში ტრადიციულად რძის მწარმოებელი წამყვანი ზონებია ახმეტა, საგარეჯო, სიღნაღი, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო, დანარჩენი მუნიციპალიტეტებშიც აწარმოებენ რძეს, მაგრამ მათი წარმოების მოცულობა მცირეა ზემოთ აღნიშნულ ზონებთან შედარებით.

რძის და რძის პროდუქტების ადგილობრივი კომპანიები, როგორც არის „სანტე“, „ეკოფუდი“, „სოფლის ნობათი“ და სხვა კახეთის რეგიონში რძეს არ შეისყიდებიან, რადგან მათ ყოველდღიურ მოთხოვნას კახეთი ვერ აკმაყოფილებს, თუმცა ქვეყნის ვერც სხვა რეგიონები აწვდიან საკმარის რძეს და ეს კომპანიები დეფიციტს რძის ფხვნილის გამოყენებით ივსებენ.

მეღორეობა საქართველოს მეცხოველეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. დღეს მეღორეობის წამყვანი რეგიონებია იმერეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი და ზემო სვანეთი, მათ შორის კახეთი.

ღორის ხორცის წარმოებას კახეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ადგილობრივ ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა, რომელიც პიკს დეკემბერსა და იანვარში აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ღორის ხორცი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე იმპორტირებული, ქვეყანაში ადგილზე წარმოებულზე მაინც დიდი მოთხოვნაა. დღეს ქვეყანაში წარმოებული ღორის ხორცის საერთო რაოდენობაში კახეთის წილი 10,5-14,1%-ის ფარგლებში მერყეობს.

ღორის ხორცის მწარმოებლები ძირითადად წვრილი შინამეურნეობები არიან, შესაბამისად რეალიზებული ხორციდან შემოსავალი მწარმოებელთა ამ სეგმენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეხორცეული მიმართულების განვითარებას ხელს შეუწყობს ეპიზოტიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მეღორეობის, ისე როგორც მეცხოველეობის სხვა დარგების განვითარებას ხელს რამდენიმე ფაქტორი უშლის, კერძოდ:

- ✓ ხორცის ხარისხის კონტროლის სამართლებრივი ნორმების არასრულყოფილება;
- ✓ რეგიონსა და ქვეყანაში არაკეთილსაიმედო ეპიზოოტიური მდგომარეობა;
- ✓ რეგიონსა და ქვეყანაში ვეტერინარული სისტემის არაეფექტურობა;
- ✓ საკვები ბაზის დაბალკალორიულობა და წარმოებული საკვების სიძვირე;
- ✓ მაღალპროდუქტიული ჯიშების ნაკლებობა;
- ✓ სურსათის ხარისხის კონტროლის სისტემის არაეფექტურობა;
- ✓ ხორცის წარმოებისა და სარეალიზაციო პუნქტებში სათანადო ინფრასტრუქტურის დაბალი დონე;
- ✓ ადგილობრივ ხორცის ბაზარზე მონოპოლიური კომპანიების დიდი ზეგავლენა.

მეცხვარეობას, ისე როგორც ზოგადად მეცხოველეობას, კახეთში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. ტრადიციულად კახეთში ამ საქმიანობას ახმეტის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს ფერმერები მისდევდნენ, რადგან ზამთრის საძოვრებისა და საზაფხულო იალაღების დიდი მასივები ამ დარგის განვითარების ფართო შესძლებლობას იძლეოდა და დღესაც ასეა.

წინა წლებთან შედარებით დღეისათვის ცხვრის სულადობა შემცირებულია. მეცხვარეობის თვალსაზრისით უმთავრეს რეგიონს რეალურად კახეთი წარმოადგენს, მას მოსდევს ქვემო ქართლი, რომელსაც წინა წლებში ცხვრის დიდი სულადობა არ ჰყავდა, მაგრამ ბოლო 12 წლის განმავლობაში ეს დარგი რეგიონში სტაბილურად ვითარდება.

კახეთის მუნიციპალიტეტებს შორის მეცხოველეობის თვალსაზრისით ლიდერობენ ახმეტა 67 .5 ათასი სული და საგარეჯო 96 ათასი სული ცხვრით. მას შემდეგ, რაც არაბულ ქვეყნებში თუმურ ცხვარზე მოთხოვნა გაჩნდა, ცხვრის სულადობამ მკვეთრად იმატა და კიდევ უფრო

გამრავლების მოტივაცია გაჩნდა, მაგრამ ცხოველთა საშიში დაავადებების გავრცელება დიდ რისკს წარმოადგენს ექსპორტისთვის.

ცხვრის ხორცის წარმოებას და მოხმარებას ძირითადად ადგილობრივი ხასიათი აქვს. ამ ხორცის იმპორტი სხვადასხვა სახეობის კონსერვების ან პროდუქტების სახით ხდება, დანარჩენი კი ადგილზე იწარმოება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 4 წელია, ქვეყნიდან ცოცხალი ცხვრის ექსპორტი მიმდინარეობს და მას სახორცე დანიშნულება აქვს, რეგიონში ცხვრის ხორცის დამამზადებელი და გადამამუშავებელი საწარმო არ არსებობს.. აქვე აღსანიშნავია, რომ კველევის პერიოდში ექსპორტის მონაცემების მოძიება შეუძლებელი იყო. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს წარმოებული ცხვრის ხორცის რაოდენობა, სადაც წამყვანი ადგილი ისევ კახეთს უჭირავს, მას მოსდევენ ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი[59].

მეცხოველეობის დარგებს შორის მეცხვარეობა ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია, რადგან ცხვრის ნამატი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდია, ცხვრის ყველის წარმოება მისი მაღალი ფასის გამო საკმაოდ მომგებიანია, აგრეთვე ცხვრისგან მიღებული მატყლი შესანიშნავ ნედლეულს

წარმოადგენს საფეიქრო მრეწველობისთვის, მართალია, წინა წლებთან შედარებით დღეს მატყლის ფასი დაბალია, მაგრამ გარკვეულ შემოსავალს მაინც იძლევა.

ამ დარგში არსებული პრობლემები მისი განვითარების შესაძლებლობებს ზღუდავს. პრობლემები კი შემდეგი სახისაა:

- რეგიონსა და ქვეყანაში არაკეთილსაიმედო ეპიზოოტიური მდგომარეობა;
- რეგიონსა და ქვეყანაში ვეტერინარული სისტემის არაეფექტურობა;
- ფერმებში, აგრეთვე რძისა და ყველის წარმოებისას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების

✓ დაუცველობა;

- საზაფხულო და ზამთრის საძოვრების დაბალკალორიულობა, საძოვრების ნაწილობრივი

✓ გაუდაბნობა;

- სურსათის ხარისხის კონტროლის სისტემის არაფექტურობა;
- ხორცის წარმოებისა და მის სარეალიზაციო პუნქტებში სათანადო ინფრასტრუქტურის

✓ დაბალი დონე;

ადგილობრივ ბაზარზე ფრინველის ხორცზე, განსაკუთრებით კი ქათმის ხორცსა და კვერცხზე სტაბილურად მზარდი მოთხოვნაა. ადგილობრივი წარმოება, ფაქტობრივად, ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც დეფიციტი იმპორტირებული ხორცით ივსება.

ფრინველის ოდენობა რეგიონების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, კახეთს მცირე წილი - 15-17,1% უკავია ფრინველის საერთო რაოდენობაში, წამყვანი ადგილზე კი ქვემო ქართლია, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა შიდა ქართლშია.

მეფრინველეობაზე უარყოფითი გავლენა იქონია 2005-2006 წლებში ქათმის გრიპმა, რომლის გამოც მკვეთრად შემცირდა როგორც ფრინველის, ისე კვერცხის რაოდენობა[60].

მეფრინველეობას კახეთში ძირითადად შინამეურნეობრივი ხასიათი აქვს, ასევე ფუნქციონირებს მეფრინველეობის ორი ფაბრიკა: საგარეჯოში, სოფელ პატარძელსა და თავად საგარეჯოში, რომელსაც ძირითადად მეკვერცხეობის მიმართულება გააჩნია. მეხორცეული მიმართულებით კახეთში, ისე როგორც სხვა რეგიონებში, ბროილერის ჯიშის ქათმები გამოჰყავთ და ისიც მხოლოდ საოჯახო მეურნეობებში. მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკა იყო თელავში, რომელიც დღეს გაჩერებულია. კახეთს აქვს დიდი პოტენციალი, მიაწოდოს ქათმის ხორცი დედაქალაქს და ქვეყნის მსხვილ ქალაქებს და იმპორტი ნაწილობრივ ჩაანაცვლოს.

ფრინველის ხორცის წარმოებაშიც მცირე წილი უკავია კახეთს, რომელიც 10,1-12,1%-ს შორის მერყეობს. წამყვან ადგილზე კი იმერეთი და სამეგრელოა, ყველაზე მცირე მოცულობა კი შიდა ქართლშია. როგორც კახეთში, ისე მთელსაქართველოში მეფრინველეობას მეკვერცხეული მიმართულება და შინამეურნეობრივი ხასიათი აქვს. ფაქტობრივად, ფრინველის ხორცის ადგილობრივი წარმოება საკმაოდ მცირეა და ბაზრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რაც იმპორტირებული ქათმის ხორციტ ბალანსდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ადგილობრივი წარმოება 2006-2011 წლებში სტაბილურია და 12,9 ათას ტონას არ აღემატება, ხოლო იმპორტი 2006 წლიდან 2007 წლამდე თითქმის ორმაგდება, დანარჩენ წლებში კი სტაბილურად იზრდება და მაქსიმუმს - 40,8 ათას ტონას 2010 წელს აღწევს. ფრინველის ხორცის იმპორტი 57%-დან 77,6%-მდე გაიზარდა, მასზე მოთხოვნა კი კვლავ მზარდია. ეს ამ დარგის გაძლიერების საფუძველს იძლევა.

კვერცხის წარმოებაში რეგიონებს შორის კახეთის წილი 13,6-18,1%-ს შორის მერყეობს, მაგრამ კლებითი ტენდენციით, 2006 წელს 18,1% იყო, ხოლო 2010 წელს 13,6%-მდე ჩამოდის, 2011 წელს კი კვლავ იმატებს.

კახეთის წილის ასეთი კლება გამოწვეულია ქვემო ქართლში მეფრინველეობის ფაბრიკებში კვერცხის წარმოების ზრდით. ამ რეგიონში სახელმწიფომ და ინვესტორთა მცირე ჯგუფმა ეფექტურად აამოქმედეს კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე კვერცხის მსხვილი მიმწოდებელია.

